საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 იანვარი პარასკევი 2013 №007 (13 923) ფასი 80 თეთრი

# პირველი ქართველი მსოფლიოს თასის ფინალში



11

# დვალიშვილის პერსპექტივა რუსეთში?



2

## ლუკა კურტანიძე პოლიციის აკადემიის პრორექტორად დაინიშნა



**ლუკა კურტანიძე** პოლიციის აკადემიის პრორექტორად დაინიშნა, - აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს" შსს-ს პრესსამსახურში დაუდასტურეს .

ლუკა კურტანიძის განცხადებით, ის თავის სპორტულ გამოცდილებას პოლიციის აკადემიის სტუდენტებს გაუზიარებს და ამავდროულად, სპორტული ვარჯიშების ინოვაციური მეთოდების დანერგვასაც აპირებს.

ლუკა კურტანიძე პოლიციის აკადემიის პრორექტორის თანამდებობის გარდა, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტსაც ინარჩუნებს

www.interpressnews.ge

## მამები და შვილები TIME LINE-ში
# ბებეტო და მათეუსი



16

# თუ ჰაინკესი წავა...
## ვინ ჩაიბარებს ბაიერნს?



7

# ბარსა ისევ უმწვრთნელოდ
## ტიტო ვილანოვა გუნდს, შესაძლოა, ექვსი კვირით დააკლდეს



9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ლეგიონი



ლადო დვალიშვილი

# დვალიშვილი რუსეთში?

ბოლო დროს ერთ-ერთი აქტუალური თემა **ლადო დვალიშვილის** ტრანსფერი გახდა. საქართველოს ნაკრების 26 წლის თავდამსხმელი ბოლოს პოლონეთში, ვარშავის „პოლონიაში" თამაშობდა.

მაგრამ სად გააგრძელებს კარიერას, ჯერაც უცნობია. არის ინფორმაცია, რომ დვალიშვილი ამჟამინდელი კლუბის დატოვებასა და უკრაინის ჩემპიონატში გადაბარგებაზე ფიქრობს, რადგან „პოლონიას" ფინანსური პრობლემები აქვს და გუნდის სხვა ლიდერების მსგავსად, ახალ კლუბს ეძებს. ლადომ "პოლონიას" რამდენიმე თვის ხელფასის გადაუხდელობისთვის ფიფაში უჩივლა და დადებითი პასუხის შემთხვევაში (რაც სავსებით რეალურია), თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

პოლონური ინტერნეტპორტალი "სპორტ.პლ" ამტკიცებდა, რომ ქართველი თავდამსხმელის გადაბირება შვეიცარიულ, რუსულ და უკრაინულ კლუბებს სურდათ. ზაფხულში უკრაინული „ზარია" ეპატიჟებოდა, მაგრამ პოლონეთში წავიდა. ახლა ისევ აღმოსავლეთისკენ იყურება.

მართალია, ამტკიცებენ, რომ ლადო ვარშავის "ლეგიაში" გადადის, მაგრამ შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, კარიერა რუსეთის პრემიერლიგაში გააგრძელოს. ის ბოლო დროს აქტიურად თანამშრომლობს **მამუკა ჟულელთან**, რომელსაც კავშირი აქვს ხაბაროვსკის "სკა-ენერგიასთან". ამ კლუბის მთავარ მწვრთნელად დანიშნული **გიორგი დარასელიასთან** კი დვალიშვილი ჰაიფას "მაკაბში" ვარჯიშობდა.

თუმცა, დვალიშვილი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში წასვლას არ გეგმავს. ჟულელს ახლო ურთიერთობები აქვს ვლადიკავკაზის "ალანიასთანაც" და გვითხრეს, რომ ეს და კიდევ რამდენიმე რუსული კლუბის ვარიანტი განიხილება.

თუმცა, ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია, ვლადიკავკაზურ კლუბში სამმა ქართველმა ფორვარდმა რომ ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ "ალანიამ" უკვე დაიმატა არმენის "ვიტესის" თავდამსხმელი **გიორგი ჭანტურია**, "დაუგავას" მეგოლე და ლატვიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი **მამუკა ლონლაძე** კი კლუბს ანთალიაში შეკრებაზე გაჰყვება.

**მერაბ მამულაშვილი**

საკლუბო რეიტინგი

# ქართული ოთხეული უცვლელი განლაგებით

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ მორიგ საკლუბო რეიტინგში საქართველოს კვლავ სამი წარმომადგენელი ჰყავს. ჩვენი კლუბებიდან საუკეთესო შედეგი გორის "დილას" აქვს, რომელიც რეიტინგში ევროპის ლიგის პლეი ოფამდე მისვლით ალზევდა. "დილა" ოთხი პოზიციით დაწინაურდა და დღეისთვის 145-ეა.

ქართული კლუბებიდან მეორე შედეგი აქვს რუსთავის "მეტალურგს", რომელიც 312-ედან 338-ე ადგილამდე დაქვეითდა; 393-ეა საქართველოს მოქმედი ჩემპიონი "ზესტაფონი". ფეროელები წინა რეიტინგში 335-ე ადგილზე იყვნენ; 425-ე საფეხურზეა ქუთაისის "ტორპედო", რომელიც ერთი თვის წინ 456-ე იყო. როგორც ხედავთ, რეიტინგში არ არის ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი და უმაღლესი ლიგის ერთპიროვნული ლიდერი თბილისის "დინამო", რისი მიზეზიც ის არის, რომ მიმდინარე ევროთასებმა მის გარეშე ჩაიარა.

რეიტინგის ლიდერობას არავის უთმობს "ბარსელონა", მეორე ადგილზე კი განვლილი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული "ჩელსია". საუკეთესო ათეულში ყველაზე მეტი, სამი წარმომადგენელი ესპანეთს ჰყავს. ათ საუკეთესო კლუბში სამხრეთ ამერიკას მხოლოდ ორი წარმომადგენელი ჰყავს, დანარჩენ ადგილებზე კი ევროპელები განლაგდნენ.

**ხეათეული ასე გამოიყურება:**

1. ბარსელონა (ესპანეთი)
2. ჩელსი (ინგლისი)
3. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
4. ატლეტიკო (ესპანეთი)
5. კორინთიანსი (ბრაზილია)
6. ბაიერნი (გერმანია)
7. რეალი (ესპანეთი)
8. იუვენტუსი (იტალია)
9. დორტმუნდი (გერმანია)
10. ლიონი (საფრანგეთი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ირაკლი მესხია: სამი წლით მეტალისტში

## ქართველი უჟგოროდში მაინც ითამაშებს

პირველი ლიგის გუნდის კიევის „ობოლონის" შემტევი ნახევარმცველი **ირაკლი მესხია** უკრაინის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის, ხარკოვის "მეტალისტის" ფეხბურთელი გახდა. ინფორმაცია მოთამაშის ოჯახში გაგვიმხილეს – საკითხი გადაწყვეტილია და შეთანხმება მალე ოფიციალურად გაფორმდება, მესხია ხარკოვული კლუბის ღირსებას სამი წლით დაიცავს.

ბოლო ორი დღის განმავლობაში მესხიაზე მეორედ ვწერთ. "ლელომ" უკვე გაცნობათ, რომ 19 წლის ქართველი ფეხბურთელი კარიერას უკრაინის პრემიერლიგის კლუბში გააგრძელებდა. მას დონეცკის „მეტალურგსა" და მარიუპოლის „ილიჩივეცში" იწვევდნენ, მაგრამ საბოლოოდ, მესხიამ არჩევანი ხარკოვის "მეტალისტის" სასარგებლოდ გააკეთა.

თუმცა, ორი დღის წინანდელი ინფორმაცია ტყუილი არ ყოფილა და მესხია უჟგოროდის "გოვერლა-ზაკარპატიეში" მართლაც ითამაშებს. პირველი წრის შემდეგ, კარპატელები უკრაინის პრემიერლიგაში ბოლოსწინა მე-15 ადგილზე არიან და გავარდნის კანდიდატები არიან. გაუგებარი იყო, "ობოლონის" მოთამაშე რამ აიძულა, კონტრაქტი ისეთ გუნდთან გაეფორმებინა, როდესაც სავსებით შესაძლებელია, ნახევარ წელიწადში უჟგოროდელებმა ისევ პირველ ლიგაში იასპარეზონ. ახლა ყველაფერი გასაგებია: ხარკოველები ფეხბურთელს ხელშეკრულებას გაუფორმებენ, მაგრამ ჯერ ძირითადში ვერ ათამაშებენ, მისი სათადარიგოთა სკამზე დასმა არ სურდათ და ამიტომ, იჯარით "გოვერლა-ზაკარპატიეში" გაუშვეს. ირაკლი უახლოეს პერიოდშიც სეზონისწინა მოსამზადებელ ეტაპს სწორედ კარპატელებთან ერთად გაივლის.

შეგახსენებთ, რომ შემტევი ნახევარმცველი მესხია უკრაინის მოქალაქეა, 2012 წელს ქვეყნის 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ კუზნეცოვმა** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სამივე შეხვედრაში ათამაშა.

გუშინ კი კიევის "დინამოს" ბაზაზე, კონჩე-ზასპეში **სერგეი კოვალეცმა** უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები შეკრიბა – მის მიერ გამოძახებულ მოთამაშეთა შორის ირაკლი მესხიაც არის. კოვალეცის გუნდი იანვრის ბოლოს (19-27 იანვარი) პეტერბურგში გაემგზავრება და "თანამეგობრობის თასზე" ჯგუფიდან გასასვლელად ლიტვას, მოლდოვასა და თურქმენეთს დაუპირისპირდება. თუმცა, მანამდე კოვალეცი ფეხბურთელებს დააკვირდება და მხოლოდ 17 იანვარს გადაწყვეტს, პეტერბურგში ვის წაიყვანს.

უკრაინაში პოპულარულმა ტელეკომენტატორმა **სერგეი მოროზოვმა** მესხიას გამოძახება ასე შეაფასა: *"დღეს უკრაინაში შემოქმედებითი სტილის მოთამაშეთა კატასტროფული დეფიციტია. ბურიაკები აღარ გვყავს, მით უფრო, ახალი თაობის მოთამაშეთა შორის. ამიტომ, ლოგიკურია, კოვალეცმა არჩევანი მესხიაზე რომ შეაჩერა. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკის სტილის მიმდევარი არ არის და "მუშებზე" მეტად შემოქმედებით მოთამაშეებს ენდობა. მესხია კი თავის თაობაში ამ თვისებებით აშკარად გამორჩეულია".*

**მერაბ მამულაშვილი**

უცხოელების გუნდი საქართველოს ჩემპიონატში



# გახსოვთ უჩე?

## ნიგერიელმა საქართველოში საფეხბურთო ბიზნესი დაიწყო

**პირველად შარშან ვნახე ისეთი გუნდი, თერთმეტივე ფეხბურთელი შავკანიანი რომ იყო და იცით, სად?**

**რა თქმა უნდა, ჩვენთან, საქართველოში. მეორე ლიგაში არის ასეთი გუნდი: UC BEST. საყველპურო ინგლისური ჩვენთან ბევრმა იცის და ალბათ ისიც გეცოდინებათ, რომ BEST ჩვენებურად საუკეთესოს ნიშნავს, მაგრამ UC რაღა უნდა იყოს? და საერთოდ, როგორ გაჩნდა აფრიკელების საფეხბურთო კლუბი საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში?**

90-იანი წლების მეორე ნახევარი იქნებოდა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში პირველი აფრიკელი ლეგიონერი რომ გამოჩნდა. ნიგერიელი **უჩე უვაკვე** ბათუმის „დინამოში" ჩაირიცხა, სადაც დიდი ხნით არ გაჩერებულა და უკრაინაში გადაბარგდა. უვაკვემ ფეხბურთის თამაშით დიდად ვერ მოგვაწონა თავი, მისგან განსაკუთრებული არაფერი გვინახავს, მაგრამ უჩე საქართველოში დაბრუნდა და საფეხბურთო საქმიანობის გაგრძელება ჩვენთან ისურვა.

UC BEST სწორედ უჩე უვაკვეს კლუბია, რომელიც 2011/12 წლების სეზონისთვის შეიქმნა. უჩე კლუბის პრეზიდენტი გახლავთ, გუნდის მწვრთნელიც ნიგერიელი იყო, UC BEST- ში მუშაობდა მწვრთნელად **მალხაზ მახარაძეც**, რამდენიმე დღის წინ კი უჩემ UC BEST-ის გაწვრთნა **ოთარ მგელაძეს** ანდო.

ქართველი ფეხბურთელები სად აღარ მიდიან უკეთესი ჯამაგირისთვის, მაგრამ არიან ისეთებიც, ცხოვრების მოსაწყობად, კარიერის შესაქმნელად საქართველოში რომ ჩამოდიან. დღეს უკვე არავის უკვირს თბილისის ქუჩებში მოსიარული აფრიკელები, შავკანიანები აქ ფეხბურთის სათამაშოდაც ჩამოდიან.

*„ამ გუნდის გაწვრთნა უჩე უვაკვემ შემომთავაზა, ჩვენი მიზანი ფეხბურთელების გადამზადება, მათი უკეთეს ლიგაში გადასასვლელად ჩამოყალიბება გახლავთ. უვაკვესთვის ეს საქმიანობა ბიზნესია, თვითონაც თბილისში ცხოვრობს და საკუთარი კლუბიდან ფეხბურთელების გასხვისებას უცხოეთშიც აპირებს"* - გვითხრა ოთარ მგელაძემ.

ამ დროისათვის მწვრთნელის განკარგულებაში რვა აფრიკელი და ამდენივე ქართველია, UC BEST თებერვლიდან მუხრანში, „გაგრას" ბაზაზე ივარჯიშებს და ითამაშებს.

ფეხბურთელების რეექსპორტი ერთია, ოღონდაც უვაკვეს გუნდის მიზანი მხოლოდ ეს არ არის. მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონაში 14 გუნდი თამაშობს, პირველ ადგილზეა „ქართლი 2011", რომელსაც UC BEST რვა ქულით ჩამორჩება.

*„კლუბის პრეზიდენტმა ის მიზანიც დაგვისახა, რომ ეს რვაქულიანი ჩამორჩენა უნდა აღმოვფხვრათ, რაც ადვილი ნამდვილად არ იქნება, „ქართლი 2011" -ში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიცაა, ადრე გორის „დილას" შემადგენლობაში უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშია"* - განგვიმარტა მგელაძემ.

UC BEST-ის ახალი მწვრთნელის თქმით, მან საკმაოდ ნორმალური გუნდი ჩაიბარა. *„ მეორე ლიგაში UC BEST-ის ორი მატჩი ვნახე. აფრიკელი ფეხბურთელები ქართველებთან შედარებით ფიზიკურად უფრო ღონიერები არიან. მეორე ლიგის კვალობაზე კარგი გუნდი გვეთქმის, „ქართლი 2011"-ს სოლიდური ფორა აქვს, მაგრამ ჩვენსა ჩვენსას ვეცდებით. UC BEST-ის ლეგიონერებს მხოლოდ ნიგერიელები არ შეადგენენ, აქ არიან კოტდიუვარელებიცა და განელებიც. UC BEST-ს სამიოთხი ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, ახლავე რომ შეუძლიათ საქართველოს უმაღლეს ლიგაში თამაში".*

მოკლედ, საინტერესო უნდა იყოს, როგორი გუნდი იქნება მწვრთნელშეცვლილი UC BEST და როგორ წარმოაჩენენ თავს აფრიკელი ლეგიონერები. სავიზო რეჟიმი უჩეს იმის საშუალებას აძლევს, რომ უპრობლემოდ ჩამოიყვანოს ჩვენთან შავკანიანები. საერთოდ, ფეხბურთელების რეექსპორტი სარფიანი საქმე უნდა იყოს, საქართველოს უმაღლესი ლიგის არაერთმა კლუბმა იხეირა ამით, თუნდაც ექსდინამოელი **დიდიე ოვონოს** მაგალითი ავილოთ, მაგრამ საქართველოს მეორე ლიგიდან თუ არის შესაძლებელი რეექსპორტით ფულის შოვნა, ამას დრო გვიჩვენებს.

*„ყველანაირ ფინანსურ საკითხებს კლუბში უჩე უვაკვე უძღვება. მეორე ლიგის კვალობაზე გუნდს ნორმალური პირობები აქვს, ფეხბურთელები ხელფასის გარდა პრემიასაც კი იღებენ"* - გვითხრა მგელაძემ.

ერთი-ორი კარგი უჩე ალბათ არ აწყენდა ქართულ საკლუბო ფეხბურთს, სადაც უმაღლესი ლიგის გუნდის ფეხბურთელს შეკრების დროს იატაკზე უწევს წოლა. არ ვიცი, რა ხელფას-პრემიას უხდის უვაკვე აფრიკელებს, მაგრამ მათი აქ ჩამოყვანა და შენახვა ხურდა რომ არ დაჯდება, თქმა არ უნდა.

რაც შეეხება აბრევიატურას UC - უჩე უვაკვეს სრული სახელი ლათინურად ასე იწერება: Uchechukwu Uwakwe, სახელის პირველ ნაწილში რაც დომინირებს, კლუბის აბრევიატურასაც ის წარმოადგენს.

ინტერნეტში ამ კაცზე ბევრს ვერაფერს მოიძიებთ გარდა იმისა, რომ მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს - ნიგერიული და ქართული.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამგზავრო → სამზადისი

## ბათუმის ანთალიის მზეს მიეფიცხება


გია გურული

რასა იქმს ბათუმის „დინამო"? ამ კითხვაზე მკაფიო პასუხი ჯერ არ არსებობს. ამ დროისთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ **გია გურულის** გაწვრთნილი გუნდი 15 იანვარს შეიკრიბება ბათუმში, მერე კი ვარჯიშებს ქობულეთში ჩაატარებს.

ვინ დატოვებს ბათუმის "დინამოს" და როგორ გაძლიერდება გუნდი, რომელიც ცხრილში ბოლოდან მეორე ადგილზეა - ჯერ ამაზე ჩქამი არ ისმის, ცნობილია მხოლოდ ის, რომ თებერვალში ბათუმის "დინამოს" უცხოური შეკრება ექნება, სავარაუდოდ ანთალიაში.

ბათუმელთა გუნდში ერთი-ორი ისეთი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, დღეს-ხვალ მოწინავე ქართულ გუნდებში რომ ამოჩნდებიან - ეს საკითხი თებერვლამდე, გუნდის შეკრებაზე წასვლამდე გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

## ზიმბრუში ქართველებს ელიან

შესაძლოა, მალე მოლდოვის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კლუბში, კიშინიოვის "ზიმბრუში" ორი ქართველი ფეხბურთელი ჩაირიცხოს. ორივე 20 წლის არის: პირველი თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობის თავდამსხმელი **კოტე გაბაშვილი** გახლავთ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი წინა სეზონში იჯარით ცხინვალის "სპარტაკში" თამაშობდა.

მეორე კი ლისაბონის "ბენფიკას" დუბლშემადგენლობის ყოფილი ვიცე-კაპიტანი **ბაქარ მირცხულავაა**. მცირე ხნის წინ ვწერდით, რომ მირცხულავა უგუნდოდ იყო დარჩენილი. „ბენფიკადან" წამოსული მცველი ამბობდა, რომ საქართველოში დაბრუნება დიდი შეცდომა იყო, ფაქტობრივად, ერთი სეზონი გაუცდა და ბოლოს არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქუთაისის „ტორპედოს" ვერ შეეწყო და კლუბი დატოვა, დეკემბერში თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობდა, ნელ-ნელა ფორმაში შედიოდა, მაგრამ პირობებზე ვერ შეთანხმდა და კლუბი დატოვა.

შეგახსენებთ, რომ პირველ წრეში "ზიმბრუსთან" კონტრაქტი **ლევან კორღალიძემ** გაწყვიტა და კარიერა რუსთავის "მეტალურგში" გააგრძელა, მეორე ქართველი, ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი **თორნიკე სტეფნიაშვილი** კი დღემდე ირიცხება, მაგრამ, შესაძლოა, შეკრებაზე კრივოი როგის "კრივბასს" გაჰყვეს.

**მერაბ მამულაშვილი**


ბაქარ მირცხულავა


კოტე გაბაშვილი

ლეგიონერი

## ქართველებმა ახალ წელს გაუძლეს

### ჯგერენაია ილიჩივეცშია

საახალწლო დასვენება დასრულებულია და უკრაინულმა კლუბებმა სეზონისთვის მზადება დაიწყეს. პრემიერლიგელი "ილიჩივეცის" ფეხბურთელები ჯერჯერობით მარიუპოლში ვარჯიშობენ.

მარიუპოლელებთან ერთად დაიწყო სეზონისთვის მზადება **თორნიკე ოქრიაშვილმა**. უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ნაკრების 20 წლის შემტევი ნახევარმცველი დონეცკის "შახტარს" არ დაუბრუნდება.

ორიოდე დღის წინ უკრაინაში ჩავიდა და უკვე "ილიჩივეცში" ვარჯიშობს 19 წლის მარცხენა მცველი **გიორგი ჯგერენაია**. შეგახსენებთ, რომ ჯგერენაიაც, ოქრიაშვილის მსგავსად, "გაგრას" გაზრდილია. გიორგის ჯერ კიდევ მოუწევს იმის დამტკიცება, რომ უკრაინის პრემიერლიგის კლუბში მოხვედრას იმსახურებს - საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი ზამთრის შეკრებას მარიუპოლელებთან ერთად გაივლის. მხოლოდ ამის შემდეგ იტყვის "ილიჩივეცის" მთავარი მწვრთნელი **ივან ბალანი**, დატოვებს თუ არა კლუბში. მისი დადებითი პასუხის შემთხვევაში, უკრაინული და ქართული კლუბების მეპატრონეებს შორის ტრანსფერზე მოლაპარაკება დაიწყება.

ისე, უცნაური კი არის, "ილიჩივეცმა" შეკრება შობა დღეს, 7 იანვარს რომ დაიწყო. მოთამაშეებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს. ამის შემდეგ ივან ბალანმა საწვრთნელი ვარჯიშები დაიწყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო, იძულებული გახდა, სტადიონზე დაგეგმილი საწვრთნელი პროცესი დარბაზში გადაეტანა. ჯერჯერობით, ვარჯიშზე 16 მოთამაშე გამოცხადდა. მწვრთნელმა ისინი 4 გუნდში გადაანაწილა და პატარა კარში (1,5 მეტრი სიგრძე, 1 მეტრი სიგანე) მინი-ფეხბურთი, შემდეგ კი გასართობად, კალათბურთი და ხელბურთი ათამაშა. ოქრიაშვილი და ჯგერენაია ერთად, "მწვანეების" გუნდში მოხვდნენ და "ყვითლებთან" 2:2 ითამაშეს - ორივე გოლი თორნიკემ გაიტანა. თუ რომელ გუნდში იყო **დავით თარგამაძე**, ამის შესახებ მარიუპოლელთა ვებგვერდი არ იუწყება. საღამოს კი მოთამაშეებმა ზღვისპირა პარკში დათოვლილ ბილიკებზე ირბინეს.

და რაც მთავარია: ივან ბალანის თქმით, აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელმა შვებულების დროს მიცემული დავალება კეთილსინდისიერად შეასრულა და ზედმეტი წონა ერთსაც არ აღმოაჩნდა. ცხადია, ამან ქართველების გამო დაგვაინტერესა. ჩვენი სამზარეულოს გადამკიდე, საახალწლოდ ყველაზე მეტი პრობლემა ხომ ჩვენს მოთამაშეებს ექმნებოდათ. საბედნიეროდ, თარგამაძემ და ოქრიაშვილმა ამ ცდუნებას გაუძლეს, ჯგერენაიას კი წონის პრობლემა ნამდვილად არ აწუხებს.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი



## ახალწვეული და ახალი მწვრთნელი

"ზესტაფონმა" 2013 წლის პირველი ვარჯიში ჩაატარა. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა ზესტაფონში, საკუთარ ბაზაზე ივარჯიშა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** წვრთნის წინ ფეხბურთელებს ახალი ასისტენტი, **კახა გოგიჩაიშვილი** წარუდგინა.

სუსხიანი ამინდის მიუხედავად, ვარჯიშმა შეუფერხებლად ჩაიარა. აქცენტი ფეხბურთელთა ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე გაკეთდა. შეკრების მეორე დღიდან "ზესტაფონი" ორჯერადი ვარჯიშების რეჟიმზე გადადის.

"ზესტაფონის" შემადგენლობაში პირველად ივარჯიშა გუნდის ახალწვეულმა **ლევან კუტალიამ**, მცირე ტრავმების გამო კი ჯერჯერობით, უქმად არიან **თორნიკე აფციაური, ზაალ ელიავა, ლევან შარიქაძე, თემურ ღონღაძე** და **თორნიკე გრიგალაშვილი**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

P.S. *გუშინ გვიან ცნობილი გახდა, რომ „ზესტაფონი" დატოვა გერმანელმა ლეგიონერმა [illegible].*

პირველი ლიგა

## გურია ძლიერდება, იქრიბება და... მაჟორიტარის იმედზეა

ლანჩხუთის „გურია" სეზონის განახლებისთვის მზადებას 20 იანვრიდან ადგილზე დაიწყებს. წინა შემადგენლობას ოთხი მობურთალი გამოაკლდა — **გია თოდუა, ალექსანდრე ლალაძე, დათა რაფავა** და **ლევან იაშვილი**. როგორც კლუბის წარმომადგენლები აცხადებენ, ოთხი-ხუთი გამოცდილი ფეხბურთელით გაძლიერებას გეგმავენ — „გურია" რამდენიმე უმაღლესლიგელის დამატებას გეგმავს. თებერვლის დასაწყისიდან შეკრებას გრიგოლეთში, საკუთარ ბაზაზე გაივლიან. მთავარი მწვრთნელის, **თემურ ლორიას** განკარგულებაში 30-მდე ფეხბურთელი იქნება, საიდანაც ძირითად ბირთვს სწორედ შეკრების დასრულებისას შეარჩევენ.

რაც შეეხება ფინანსებს, კლუბს მაჟორიტარი დეპუტატის **თემურ ჩხაიძის** მხარდაჭერის იმედი აქვს. მან ერთხელ უკვე გაუწოდა დახმარების ხელი „გურიას", რისი დამსახურებაც გახლავთ ის, რომ გასულ წელს არანაირი დავალიანება არ დარჩენიათ. კლუბის ლეგენდარული კაპიტანი ლანჩხუთელ ქომაგებს იმედს აძლევს, რომ „გურიის" ძველი დიდების დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს.

შეგახსენებთ, რომ „გურია" პირველი ლიგის A ზონას ერთპიროვნულად ლიდერობს და უახლოეს მდევარ „სასკოს" 4 ქულით, ხოლო მთავარ კონკურენტ „გაგრას" 7 ქულით უსწრებს. უმაღლეს ლიგაში ზონიდან მხოლოდ ერთი გუნდი გადადის.

**მამუკა ქანთარია**
**ლანჩხუთიდან**

სიტუაცია

## ბურდული და დემეტრაძე სიონს ჩაიბარებენ?

### გიორგის სამომავლო გეგმებზე ციხეში ველაპარაკე...

**ლადო ბურდულმა** კარიერა შარშან ცხინვალის "სპარტაკში" დაასრულა. საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილმა ნახევარმცველმა მწვრთნელობა იმ ასაკში გადაწყვიტა, როდესაც თამაში კიდევ შეეძლო, მაგრამ ეს მისი პრინციპული გადაწყვეტილება იყო და 2012 წელს "ბ" კატეგორიის სამწვრთნელო ლიცენზია მიიღო.

32 წლის ბურდულის გვარმა ამ კონტექსტში გაიჟღერა კიდეც. ჯერ გავრცელდა ხმები, თითქოს, 32 წლის ბურდულის კანდიდატურა ფოთის "კოლხეთის" მთავარ მწვრთნელად განიხილებოდა.

ბოლო ამბავი კი "ლელოს" გუშინ აცნობეს: ბოლნისის "სიონში" ახლა გაუგებარი ვითარებაა. გუნდის დაფინანსების საკითხები დამოკიდებულია იმაზე, ბოლნისის გამგებლად **გიორგი დაუშვილი** დარჩება თუ მას ახალი ხელისუფლების წარმომადგენელი შეცვლის. როგორც ამბობენ, კლუბში სწორედ ლადო ბურდულის გამოჩენას ელიან. ოღონდ ამ შემთხვევაში ლაპარაკია მის არა მთავარ მწვრთნელად, არამედ კლუბის ერთ-ერთ მმართველ პირად დანიშვნაზე. თუ ასე მოხდა, შესაძლოა, 13 იანვრის შემდეგ "სიონში" მუშაობას **გიორგი დემეტრაძეც** შეუდგესო, ასე იციან კლუბში. იმიტომ, რომ გიორგი ჯერ კიდევ ციხეშია, მაგრამ მას ამნისტია შეეხო და ალბათ, 13 იანვარს ჰაერს უკვე თავისუფლებაზე ჩაისუნთქავს.

ჭორ-მართალში გასარკვევად ლადო ბურდულს დავუკავშირდით: "ბოლო დროს მეც ბევრი ჭორი მოვისმინე. არ დავმალავ, ფოთში მუშაობაზე "კოლხეთის" ხელმძღვანელობა მართლაც მელაპარაკა, რადგან "ბ" ლიცენზია მაქვს და მწვრთნელობა მსურს. მაგრამ ეს საქმე შეჩერებულია, დღეს კლუბში სოსო ფილია მუშაობს და ის არავის მოუხსნია. ბოლნისში კი არმაზ ჯელაძეა და როგორც ვიცი, პერსპექტიული სპეციალისტია. ასე რომ, "კოლხეთსა" და "სიონში" ჩემს მისვლაზე ლაპარაკი ჭორია. თუმცა, გიორგი დემეტრაძე ციხიდან რომ გამოვა, და მჯერა, ეს მალე მოხდება, ცხადია, ფეხბურთს უნდა დაუბრუნდეს. არ დავმალავ, ციხეში გიორგის გასამხნევებლად ფეხბურთელების ჯგუფი რომ შევედით, პირადად დავინტერესდი და ვკითხე, რას აპირებდა გამოსვლის შემდეგ. ცხადია, ის ფეხბურთში უნდა დასაქმდეს, მაგრამ ალბათ, მოედანს აღარ დაუბრუნდება. საკმარისი გამოცდილებაც აქვს, ავტორიტეტიც და ცოდნაც, რომ კლუბში დასაქმდეს, მაგრამ სად და რა როლში, კლუბის ხელმძღვანელად თუ მწვრთნელად, მომავალი გვაჩვენებს".

**მერაბ მამულაშვილი**


DINAMO TBILISI 1925

# დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლა იწყებს მიღებას!

**დინამოს საფეხბურთო სკოლა იფუნქციონირებს კლუბის საფეხბურთო აკადემიის ბაზაზე.**

დინამოს საფეხბურთო სკოლაში საწვრთნელი პროცესი 1 მარტიდან დაიწყება.
დინამოს საფეხბურთო სკოლაში ფეხბურთელის მიღება იწარმოებს 6-დან 14 წლის ჩათვლით
დინამოს საფეხბურთო სკოლაში, სწავლების ყოველთვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს.

**დინამოს საფეხბურთო სკოლაში მიღების წესი**

გთხოვთ ანკეტის ელექტრონული ვერსია შეავსოთ და გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: info@fcdinamo.ge

ანკეტის მიღება, შევსება და ჩაბარება ასევე შესაძლებელია დინამოს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე. მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, ბორის პაიჭაძის ქუჩა.

დინამო არენა. მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი N2

რეგისტრაციის მიღების პირველი ეტაპის ბოლო ვადაა 15 თებერვალი.

მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ დინამოს ოფიციალურ ვებგვერდს: http://fcdinamo.ge/

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპის შეჯამება

ვიტ ჯორჯია (თბილისი), ადგილი IX

# გუნდი, რომელიც სტუმრად უკეთესია



ვიტ ჯორჯიას კაპიტანი გიორგი ვასაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

"ვიტ ჯორჯია" მიმდინარე სეზონში ზუსტად იმ შედეგს აჩვენებს, როგორსაც ამ გუნდისგან ველოდით. თავიდანვე ნათელი იყო, რომ კლუბი, რომელიც ახლო წარსულში საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოდა და ამ მიზნისთვის ორჯერ მიუღწევია, ამჯერად მოკრძალებულ ამოცანებს შეეჭიდებოდა. ბოლო რამდენიმე სეზონია, ვეტერინართა მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა. წინა სეზონში "ვიტ ჯორჯიამ" ამას საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში მიაღწია და საამისოდ ახლაც სერიოზული ბატალიები ელის, თუმცა ვიტელებმა ჩემპიონატის პირველ ეტაპზე იმდენი შეძლეს, რომ თამამად შეგვიძლია, გადარჩენისთვის ბრძოლაში ერთ-ერთ ფავორიტად მოვიხსენიოთ.

ნაკლებად მოსალოდნელი იყო, "ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო ექვსეულის საგზური მოეპოვებინა, თუმცა **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა ჩემპიონატი რიხიანად დაიწყო – გორის "დილას" სძლია. ამას ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია მოჰყვა, რამაც ნათელი გახადა, რომ სეზონის მეორე ნახევარს "მცხეთა პარკის" ბინადრები ქვედა ექვსეულში გაატარებდნენ.

"ვიტ ჯორჯია" ამ სეზონში რამდენიმე ხმაურიანი სენსაციის შემოქმედი გახდა. ამ მხრივ გასახსენებელი მართლაც ბევრია – გასვლითი გამარჯვება "დილასთან", ასევე სტუმრად ძლეული რუსთავის "მეტალურგი" და "ზესტაფონი"... არც თბილისის "დინამოსთან" მიღწეული ფრე არის ხელწამოსაკრავი შედეგი. სამაგიეროდ, ვეტერინარები მეტად არასტაბილურად გამოიყურებოდნენ უშუალო კონკურენტებთან ბრძოლაში და რომ არა ქვედა ექვსეულის ბინადრებთან დაკარგული ძალიან ბევრი ქულა, "ვიტ ჯორჯიას" უმაღლეს ლიგაში დარჩენა უკვე დაბევებული ექნებოდა. თუმცა ახალგაზრდული გუნდისთვის არასტაბილური ასპარეზობა დამახასიათებელია და სწორედ ამას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, ხმაურიან გამარჯვებას გუნდი არცთუ ძლიერ მეტოქესთან წაფორხილებას რომ მოაყოლებდა ხოლმე.

მიმდინარე ჩემპიონატში "ვიტ ჯორჯიას" თამაშის კიდევ ერთი თავისებურება ის არის, რომ გაცილებით უკეთესი შედეგი აჩვენა სტუმრად, ვიდრე შინ. პირველ ეტაპზე მოპოვებული ხუთი გამარჯვებიდან ვიტელებმა ოთხს გასვლით შეხვედრებში მიაღწიეს.

"ვიტ ჯორჯიას" კურსი უცვლელია და გუნდი კვლავ ძალიან ახალგაზრდულია. როგორც ყოველთვის, ვეტერინართა შემადგენლობაში ამჯერადაც მოიძებნებიან პერსპექტიული ბიჭები, რომლებსაც კარიერის მაღალ დონეზე გაგრძელების პოტენციალი აქვთ. იმის თქმა კი ძნელია, როდის ეყოლება "ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდი. ჯერჯერობით, ამის ნიშნები არ ჩანს. თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ "ვიტ ჯორჯია" ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ქართულ კლუბად რჩება და უმაღლეს ლიგას გარკვეულ ხიბლსაც მატებს.

აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ "ვიტ ჯორჯიამ" საქართველოს თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური ეტაპი წარმატებით დასძლია და მერვედფინალში მისი მეტოქე ცხინვალის "სპარტაკი" იქნება.

### მეკარე

"ვიტ ჯორჯიას" გამოკვეთილი პირველი ნომერი **ნიკა დაუშვილია**, რომელსაც ბოლო დროს შესამჩნევი პროგრესი აქვს და ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მეკარეა. ვეტერინარებს ამ პოზიციაზე პრობლემები არ აქვთ, 23 წლის დაუშვილი მათ კარს საიმედოდ იცავს.

### დაცვა

პირველი ეტაპის მატჩების უმრავლესობა "ვიტ ჯორჯიამ" ხუთკაციანი დაცვით ჩაატარა და თუ სტატისტიკას გადავხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ სიახლემ გაამართლა. 22 მატჩში კოჭლაშვილის გუნდმა 29 ბურთი მიიღო. ქვედა ექვსეულის ბინადართაგან ამაზე უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ "მეტალურგს" აქვს.



მერაბ კოჭლაშვილი

### ნახევარდაცვა

სხვა რგოლების მსგავსად, ძირითადი ბირთვი შუა ხაზშიც მკვეთრად იყო გამოკვეთილი. **გურამ გურეშიძე, გიორგი ვასაძე** და **გიორგი კორიფაძე** ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ხვდებოდნენ, თუმცა თავის გამოჩენის შესაძლებლობა სხვა ახალგაზრდებსაც ეძლეოდათ.

### თავდასხმა

5 გოლით "ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო ბომბარდირი **ბესიკ ჩიმაკაძეა**, რომელიც დიდი ალბათობით, კლუბს შეიცვლის. რამდენიმე მატჩი მას ტრავმის გამო გაუცდა და 2-2 გოლით ვიტელთა მონაგარში საკუთარი წვლილი **ელგუჯა ლობჯანიძემ** და **ლაშა გაბრიჭიძემაც** შეიტანეს.

### საუკეთესო მატჩი

"ვიტ ჯორჯია" იმდენი სენსაციის ავტორად მოგვევლინა, რომ რომელიმე კონკრეტული შეხვედრის გამოყოფა გაგვიჭირდება. ვეტერინართა ოთხი გამორჩეული მატჩი კი უკვე ვახსენეთ.

### ლიდერი

"ვიტ ჯორჯია", უპირველესად, გუნდური თამაშით გამოირჩევა და როცა ტრავმის ან დისკვალიფიკაციის გამო ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები აკლია, ამით გუნდის თამაშს გამოუსწორებელი ზიანი არ ადგება. თუმცა ვიტელთა ლიდერად მაინც გურამ გურეშიძე უნდა დავასახელოთ. 23 წლის საყრდენს უკვე საკმარისი უმაღლესლიგური გამოცდილება აქვს იმისთვის, რომ "ვიტ ჯორჯიას" წამყვანი ფიგურა იყოს. ამ ფუნქციას გურეშიძე უმეტეს შემთხვევაში დამაჯერებლად ასრულებს.

### მიზანი

"ვიტ ჯორჯიას" პროგრამა-მინიმუმიცა და პროგრამა-მაქსიმუმიც უმაღლეს ლიგაში დარჩენაა. მეორე ეტაპი, როგორც იცით, ათი ტურისგან შედგება, კოჭლაშვილის გუნდი კი ბოლოსწინა, ანუ გასავარდნ ადგილზე მყოფ ბათუმის "დინამოს" ცხრა ქულით უსწრებს. ეს საკმაო უპირატესობაა, მაგრამ არც ბათუმელებთან და არც სხვა კონკურენტებთან ბრძოლა იოლი არ იქნება. ფაქტია, რომ "ვიტ ჯორჯიას" მიზნის მიღწევის კარგი შანსი აქვს, მაგრამ ყველაზე უკეთ თვითონ ამ გუნდის წევრებმა იციან, რომ მოდუნება არაფერს არგებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

### ვიტ ჯორჯიას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

| | | |
|---|---|---|
| I ტური | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| II ტური | მერანი-ვიტ ჯორჯია | 1:0 |
| III ტური | ვიტ ჯორჯია-ჩიხურა | 0:1 |
| IV ტური | სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| V ტური | ვიტ ჯორჯია-ზუგდიდი | 0:0 |
| VI ტური | დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია | 5:0 |
| VII ტური | ვიტ ჯორჯია-ზესტაფონი | 2:3 |
| VIII ტური | მეტალურგი-ვიტ ჯორჯია | 0:2 |
| IX ტური | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:3 |
| X ტური | დინამო (ბთ)-ვიტ ჯორჯია | 0:1 |
| XI ტური | ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | 2:0 |
| XII ტური | ვიტ ჯორჯია-დილა | 0:2 |
| XIII ტური | ვიტ ჯორჯია-მერანი | 0:0 |
| XIV ტური | ჩიხურა-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| XV ტური | ვიტ ჯორჯია-სიონი | 0:0 |
| XVI ტური | ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XVII ტური | ვიტ ჯორჯია-დინამო (თბ) | 1:1 |
| XVIII ტური | ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია | 1:2 |
| XIX ტური | ვიტ ჯორჯია-მეტალურგი | 0:1 |
| XX ტური | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XXI ტური | ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | 1:1 |
| XXII ტური | კოლხეთი-ვიტ ჯორჯია | 1:1 |

მეკარე: ნიკა დაუშვილი – 22;

მცველები: ჯემალ გოგიაშვილი – 21 (1), დავით ხურცილავა – 21, გიორგი გეთიაშვილი – 21, ლაშა კასრაძე – 18, ოთარ ჯავაშვილი – 16, გურამ ადამაძე – 11 (1), რევაზ ლანიაშვილი – 9, ბადრი ტეტუნაშვილი – 3, დავით უბილავა – 1;

ნახევარმცველები: გურამ გურეშიძე – 22 (1), გიორგი ვასაძე – 20 (1), გიორგი კორიფაძე – 20 (1), ირაკლი ღიბრაძე – 16 (1), შოთა დავლაშელიძე – 16, გიგა ჯულელი – 9;

თავდამსხმელები: ბესიკ ჩიმაკაძე – 16 (5), ელგუჯა ლობჯანიძე – 15 (2), ლაშა გაბრიჭიძე – 14 (2), ბექა ზაქრაძე – 7, ლევან კუხალეიშვილი – 4.

მწვრთნელი: მერაბ კოჭლაშვილი

| | | სული | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| *9* | ***ვიტ ჯორჯია*** | ***22*** | ***5*** | ***7*** | ***10*** | ***15*** | ***29*** | ***22*** | ***11*** | ***1*** | ***5*** | ***5*** | ***7*** | ***12*** | ***8*** | ***11*** | ***4*** | ***2*** | ***5*** | ***8*** | ***17*** | ***14*** |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიგის თასი. ნახევარფინალი. გამოხმაურება




ჩელსისთან სუონსის გამარჯვებას საფუძველი მიგელ მიჩუმ ჩაუყარა

# ჩელსის დიაგნოზი სჭირდება

**ჩელსი–სუონსი 0:2**

**გოლები:** 0:1 მიჩუ (39), 0:2 გრემი (90)
**ჩელსი:** ტერნბული, კოული, ივანოვიჩი, კეჰილი, ასპილიკუეტა, ლუისი, რამირესი (71. ლამპარდი), მატა, ოსკარი (83. მარინი), აზარი, ტორესი (81. ბა)
**სუონსი:** ტრემელი, რანხელი, ჩიკო, უილიამსი, ბ. დევისი, ბრიტონი, დე გუზმანი, კი, რუტლეჯი (62. ტიენდალი), ერნანდესი, მიჩუ (83. გრემი)

„ბრედფორდსა“ და „ასტონ ვილას“ შორის ლიგის თასის პირველი 1/2-ფინალური მატჩის (3:1) დასრულების შემდეგ ყველა ქვედალიგელი გუნდის წარმატებასა და თავდადებაზე ლაპარაკობდა. თუმცა საშინელ ფორმაში მყოფი ბირმინგემული კლუბისგან უკვე ცოტა რამ თუ არის გასაკვირი. ეს კიდევ არაფერი. თურმე მეორე შეხვედრაშიც არანაკლები მოულოდნელობა გველოდა. „ჩელსიმ“ „სუონსისთან“ „სტემფორდ ბრიჯზე“ ორი ბურთის სხვაობით დათმო და ფინალში გასვლის მცირე შანსიღა შეინარჩუნა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ „პენსიონერების“ რიგებში ალბათ კარიერის ყველაზე სუსტი თამაში ჩაატარა **ბრანისლავ ივანოვიჩმა**, ვის ორ შეცდომასაც **როს ტერნბულის** კარში ამდენივე გოლი მოჰყვა. ახლა თქვენი ნებართვით პირდაპირ მატჩის შემდგომ კომენტარებზე გადავალთ.

**რაფა ბენიტესი** (ჩელსი): *„გუნდმა კარგად იმუშავა, მაგრამ ასეც ხდება ხოლმე. მსგავსი თამაშების შემდეგ მოვლენების დაწვრილებითი ანალიზია საჭირო. დარწმუნებული ვარ, ასეთ დონეზე რომ გვეთამაშა 10-დან 9 შემთხვევაში მოვიგებდით. ხომ ნახეთ, უამრავი მომენტი შევქმენით, მარტო პირველ ტაიმში 2-3 გოლის გატანა გვმართებდა. მეორე ნახევარშიც ჩვენ ვაკონტროლებდით სიტუაციას. დავიდ ლუისსა და დემბა ბას შეეძლოთ გათანაბრება. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ დაცვაში ორი შეცდომა დავუშვით და ორჯერვე დავისაჯეთ. ყველა გუნდი და ყველა ფეხბურთელი ცდება. ეს პრობლემა არ არის. მთავარია, რომ შემდეგ მის გამოსწორებას ცდილობდეს. ბრანისლავ ივანოვიჩსაც ასე მოუვიდა. ფანების რეაქციის მესმის, მაგრამ რომ მოგვეგო, ჩემი საკადრო გადაწყვეტილებები ნამდვილად არავის გაახსენდებოდა“.*

**მიკაელ ლაუდრუპი** (სუონსი): *„ვინ შეხვდებიან ფინალში, „ჩელსი“ და „ასტონ ვილა“? იმედი მაქვს, „ბრედფორდი“ და „სუონსი“. კლუბისთვის ჩვენ უკვე დავწერეთ ისტორია. გამარჯვება „ენფილდსა“, „ემირიტსზე“ უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს, მაგრამ „სტემფორდ ბრიჯზე“ ევროპის საკლუბო ჩემპიონთან მიღწეული წარმატება მაინც განსაკუთრებულია. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ჩვენგან მიჩუს ყიდვა იანვრის სატრანსფერო ბაზარზე, ვფიქრობ, ცოტას თუ შეუძლია. ესპანეთში ასეთი ორი კლუბია, იტალიაში არც ერთი არ არის, სხვები კი ამ ეტაპზე კი არ ყიდულობენ ვარსკვლავებს, ყიდიან. ერთადერთს, ალბათ, „ბაიერნს“ თუ მიუწვდება ხელი. ფეხბურთელს მოსწონს ჩვენთან და სულაც არ მეშინია, რომ მალე დაგვტოვებს. ყოველ შემთხვევაში სეზონის მეორე ნახევარში ის ნამდვილად ჩვენთან იქნება, მერე კი ვნახოთ“.*

ვარსკვლავი

# გულწრფელი ბრაზილიელი

**9 იანვარს „ლივერპულის“ საყრდენი ნახევარმცველი ლუკას ლეივა 26 წლის გახდა. კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა ფეხბურთელთან მცირე ინტერვიუ შემოგვთავაზა, სადაც სამხრეთამერიკელი თავის ცხოვრებაზე საკმაოდ საინტერესოდ ლაპარაკობს. მაშ ასე:**



### სკოლა

კარგი მოსწავლე ვიყავი. ძალიან მიყვარდა სკოლაში სიარული და ყოველთვის გამორჩეული ვიყავი სპორტული თვალსაზრისით. ყველაზე მეტად მათემატიკა მიყვარდა.

### კერპები

რომარიო და რონალდო. პირველმა ფანტასტიკურად ჩაატარა 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი, მეორემ კი 2002-ის ფინალში დუბლი შეასრულა. ფეხბურთს მიღმა ჩემი კერპი ფორმულა 1-ის პილოტი აირტონ სენა იყო.

### ყველაზე დიდი სიამაყე

ეს დღე ორი წლის წინ იყო, როცა ჩემი შვილი პედრო ლუკასი დაიბადა. ეს გახლდათ საუკეთესო, რაც კი ჩემს ცხოვრებაში მომხდარა. ძალიან ემოციური მომენტი იყო. მომწონს მამის როლი.

### ვერ ვიტან

ინგლისური ჩაი რძით ნამდვილად საშინელებაა. არ არსებობს საჭმელი, რომელსაც ვერ ვიტან, მაგრამ უპირატესობას ბრაზილიურ სამზარეულოს ვანიჭებ. მიყვარს ლობიო, ბრინჯი, ხორცი. იმას, რაც არ მიყვარს უბრალოდ არ ვჭამ.

### დამოკიდებულება საგნებზე

უპირველესად დამოკიდებული ვარ ჩემს მობილურ ტელეფონზე. წარმოდგენა არ მაქვს, რას გავაკეთებდი მის გარეშე. ის ნამდვილად ჩემი საუკეთესო დამხმარეა. ტელეფონი რომ არა, ჩემი ცხოვრება ორგანიზებული ნამდვილად არ იქნებოდა.

### არ ვვარგივარ

ფეხბურთში... ვხუმრობ. საჭმელების მომზადება ნამდვილად არ მეხერხება და არც მიყვარს. თუკი იძულებული ვარ, რამე მოვიმზადო, ყველაზე მარტივს ვარჩევ ან შესაძლოა, სულაც მშიერი ვიყო.

### მეშინია

გველის. ძალიან პატარა იქნება ის თუ უზარმაზარი, ეს სულ ერთია. ვერ ვიტან და მორჩა. თუმცა ინგლისში მათი პოვნა ნამდვილად ძნელია. მეშინია სიკვდილისაც.

### ყველაზე დიდი იარა

მარცხენა მუხლზე მაქვს. ის მას მერე დამრჩა, რაც „ჩელსისთან“ შეხვედრაში ჯვარედინი მყესები გავიწყვიტე. მოხარული ვარ, რომ ამხელა პაუზის შემდეგ შევძელი ფეხბურთში დაბრუნება.

ამბები

## ვილამ მზერა იტალიას მიაპყრო

„ასტონვილას“ დიდ გასაჭირზე ბევრი დაგვიწერია. ბირმინგემული კლუბი უმწვავეს კრიზისშია და დაგვეთანხმებით, რომ შემადგენლობის სერიოზული შევსების გარეშე **პოლ ლამბერტის** გუნდს პრემიერლიგაში დარჩენა გაუჭირდება. შოტლანდიელი სპეციალისტი „ინტერიდან“ **ფელიპე კოუტინიოს** ყიდვას ან იჯარით წაყვანას აპირებს. ინფორმაციას 20 წლის ბრაზილიელი ნახევარმცველის აგენტი **კაკაუ ბარბოსა** ადასტურებს: *„დიახ, „ინტერმა“ წინადადება ნამდვილად მიიღო, მაგრამ ინგლისელებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ნამდვილად ვერ ვხედავ რეალურ საფუძველს იმისთვის, რომ ჩემმა კლიენტმა ამ შეთავაზებაზე თანხმობა თქვას“.* Sky Sports-ის ინფორმაციით კი, „ასტონ ვილას“ გარდა კოუტინიოს გადაბირებას „საუთჰემპტონიც“ აპირებს.

## ჩელსიმ სიტის პირველობა დაუთმო

სტატისტიკოსებმა 2012 წლის განმავლობაში პრემიერლიგის კლუბების მიერ ფეხბურთელების ხელფასებში გადახდილი თანხები დააჯამეს და აღმოაჩინეს, რომ „მანჩესტერ სიტი“, პირველად უკანასკნელი წლების განმავლობაში, უპირობოდ გალიდერდა. „ქალაქელთა“ სახელფასო ფონდმა 200 მილიონ ფუნტს გადააჭარბა. მეორე ადგილზე „ჩელსია“ 171 მილიონით, რაც 18 მილიონით ნაკლებია შარშანდელი მონაცემებზე. მესამე ადგილი 160 მილიონით „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაიკავა. „ჩელსის“ მენეჯმენტმა სახელფასო ფონდის კლება იმით ახსნა, რომ კლუბში მაქსიმალურად ცდილობენ უეფას ფინანსური ფეარ პლეის წესებისა და სტანდარტების დაცვას. „სტემფორდ ბრიჯზე“ **რომან აბრამოვიჩის** მისვლის შემდეგ კლუბმა კალენდარული წელიწადი პირველად დაასრულა დადებითი ბალანსით. საბოლოო რიცხვებზე წერა ჯერ ადრეა, მაგრამ წინასწარი მონაცემებით მოგებამ მხოლოდ 1,4 მილიონი ფუნტი შეადგინა.

## ნენე ვესტ ჰემს მოუნდა

SKY SPORTS-ის ცნობით, „ვესტ ჰემს“ „პარი სენ-ჟერმენში“ ათვალწუნებული ბრაზილიელი შემტევი ნახევარმცველის, 31 წლის **ნენეს** შეძენა აქვს განზრახული. „ჩაქუჩებს“ ბუნდესლიგური „შალკეს“ სახით სერიოზული კონკურენტი ჰყავთ. პარიზელები ვეტერანს 8 მილიონ ევროდ აფასებენ. გუნდის გამოცვლა ყველაზე მეტად თავად ფეხბურთელს უნდა, რადგან ის პსჟ-ს წლების განმავლობაში ლიდერობდა და ახლა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ეუცხოება.

## წმინდანებმა შოუ შეინარჩუნეს




მიმდინარე სეზონის ერთ-ერთმა უმთავრესმა აღმოჩენამ, „საუთჰემპტონის“ 17 წლის მარცხენა მცველმა **ლუკ შოუმ** კლუბთან ახალი 4,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. დაგვეთანხმებით, რომ 17 წლის ბიჭისთვის პრემიერლიგის გუნდში დამკვიდრება (თუნდაც ის გრანდი არ იყოს), უკვე სერიოზული მიღწევაა. მისით **არსენ ვენგერი** იყო დაინტერესებული. ფრანგს „საუთჰემპტონიდან“ ნიჭიერი თინეიჯერების წაყვანის გამოცდილება უკვე აქვს. ვენგერმა 2006 წლის იანვარში **თეო უოლკოტი** იყიდა, 2012 წლის ზაფხულზე კი **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი**. ტრანსფერის დროს ორივე მათგანი 17 წლის იყო. *„პრეზიდენტ კორტეზეს პირადად მოველაპარაკე მომავალ თანამშრომლობაზე. მინდა, რომ ყოველგვარ ჭორს წერტილი დავუსვა და განვაცხადო, რომ ჩემი მომავალი „საუთჰემპტონთან“ არის დაკავშირებული. ნამდვილად არ ვაპირებ სხვაგან სათამაშოდ წასვლას,“* - განაცხადა ლუკ შოუმ.

## გაუმჯობესებული წინადადება ფელაინის

GOAL.COM-ის მტკიცებით, მიუხედავად „ევერტონის“ პოზიციისა, „ჩელსი“ **მარუან ფელაინის** შეძენაზე უარს არ ამბობს და მზადაა, 24 წლის ბელგიელი ცენტრალური ნახევარმცველის შესაძენად 30 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. როგორც ირკვევა, მარუანის კონტრაქტის გამოსასყიდად ლივერპულური კლუბი მეტს უბრალოდ ვერ მოითხოვს, რადგან ეს თანხა ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. აქამდე დედაქალაქელები 22 მილიონის გადახდაზე იყვნენ თანახმანი.

## ახალი კონტრაქტი დისტენს




„გარდიანი“ წერს, რომ „ევერტონმა“ 35 წლის ფრანგ ცენტრალურ მცველ **სილვენ დისტენს** ხელშეკრულების 2014 წლის ივნისამდე გაგრძელება შესთავაზა. ასაკის მიუხედავად მას მთხოვნელები არ აკლია. „სანდერლენდს“ ის **კარლოს კუელიარის** შემცვლელად სჭირდება, „ქუინზ პარკს“ კი იანვარში **რაიან ნელსენი** დაშორდა. უკანასკნელებს დისტენის ყიდვა იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სურთ. აქვე გეტყვით, რომ „რეინჯერები“ ნელსენის შემცვლელად „ტოტენჰემის“ ფრანგ ცენტრალურ მცველ **ვილიამ გალასსაც** განიხილავენ.

## მეტი სკაუზერი ენფილდზე

„ლივერპულში“ ორადორი ფეხბურთელი თამაშობს, რომლებიც დაიბადნენ, გაიზარდნენ, ფეხბურთის თამაშიც აქ ისწავლეს და მთელი კარიერა მერსისაიდის ნაპირზე აქვთ გატარებული. ალბათ ყველანი ხვდებით რომ ლაპარაკი გვაქვს **ჯეიმი კარაგერსა** და **სტივ ჯერარდზე**. *„მითხარით, ვის მიიჩნევთ ინგლისის ბოლო 5-6 წლის საუკეთესო ფეხბურთელებად. ჩემი აზრით, აქ პასუხი ცალსახა უნდა იყოს – უეინ რუნი და სტივ ჯერარდი. ისინი ორივენი სკაუზერები არიან. ძალიან მინდა, რომ გუნდში რაც შეიძლება ბევრი ადგილობრივი ფეხბურთელი ვიხილო. არ მითხრათ, რომ ამ ქალაქში ნიჭიერი ბიჭების მონახვა პრობლემა იქნება. არც იმ ფეხბურთელებს დავივიწყებთ, რომლებიც ჩვენთან ტერიტორიულად არიან ახლოს დაბადებულ-გაზრდილნი. ლივერპულელებს განსაკუთრებული ლტოლვა აქვთ ფეხბურთისადმი. ჩვენ სწორედ ისეთებს ვეძებთ, რომლებიც კლუბს სამომავლოდ გამოადგებიან,“* – განაცხადა Goal.com–თან ინტერვიუში „წითლების“ 38 წლის მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა.**

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

20-წლამდელთა კოპა ამერიკა

# მოულოდნელი დასაწყისი



არგენტინელები მატჩის შემდეგ




| A ჯგუფი | |
|---|---|
| **პარაგვაი-კოლუმბია** | **0:1** |
| გოლი: 0:1 ჯ. კორდობა (35). | |
| **არგენტინა-ჩილე** | **0:1** |
| გოლი: 0:1 ნ. კასტილიო (22). | |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩილე | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 2. კოლუმბია | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 3. ბოლივია | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| 4. არგენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 5. პარაგვაი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

გუშინ, არგენტინის ქალაქ მენდოსაში, 20-წლამდელთა კოპა ამერიკა დაიწყო, რომელიც ამავდროულად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიც გახლავთ. პირველ შეხვედრაში ერთმანეთს პარაგვაისა და კოლუმბიის ახალგაზრდული გუნდები შეხვდნენ და გამარჯვება კოლუმბიამ, **ჯონ კორდობას** გოლის წყალობით მოიპოვა – მექსიკური "ხაგუარესის" 19 წლის ფორვარდმა, **ხუან ნიეტოს** პასით ისარგებლა და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა.

პირველი სათამაშო დღის მთავარი მატჩი კი მოგვიანებით შედგა. ტურნირის მასპინძელმა ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა და ჩილეს ნაკრებთან წააგო, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 17 წუთი ჩილე მოედანზე 9 კაცით იყო.

"ალბისელესტეს" ჯადოსნური ოთხეული (**ლანსინი, იტურბე, სენტურიონი, ვიეტო**) თავიდანვე მოედანზე იყო, მაგრამ მასპინძლებმა სტუმართა კარგი დაცვის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. მატჩის ერთადერთი გოლი 22-ე წუთზე, **ნიკოლას კასტილიომ** თავური დარტყმით გაიტანა, საგოლე პასი კი "სევიალის" უნიჭიერესმა ნახევარმცველმა, 18 წლის **ბრიან რაბელიომ** მიითვალა.

გაშვებული გოლის შემდეგ, არგენტინა უპირატესობას დაეუფლა, ბრაზილიელმა არბიტრმა **სანდრო მეირა რიკიმ** სტუმრებს ჯერ **სესარ ფუენტესი** (44-ე წუთზე), შემდეგ კი მანუელ ბრავო (73-ე წუთზე) გაუძევა, მაგრამ მასპინძლებმა ვერც ამით ისარგებლეს. საბოლოოდ, 0:1 და ტურნირი საკმაოდ დიდი სენსაციით დაიწყო. მომდევნო ტურში არგენტინა პარაგვაის ეთამაშება, ჩილე კი ბოლივიას, რომელიც პირველ ტურში ისვენებდა.

B ჯგუფში კი ბრაზილია-ეკვადორის და ურუგვაი-პერუს მატჩები დღეს გამთენიისას შედგა და მათ შესახებ ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ.

ქვირა ციფრებში

# გოლეადორები, სენსაციები და მორიგი რეკორდი

**193** გოლი "ჩელსის" რიგებში. ეს მართლაც საოცარი მიღწევა არა რომელიმე ფორვარდს, არამედ "არისტოკრატთა" ლეგენდა **ფრენკ ლამპარდს** ეკუთვნის. "საუთჰემპტონთან", ასოციაციის თასზე მოგებულ შეხვედრაში (5:1) გატანილი გოლის წყალობით, 34 წლის ნახევარმცველი **კერი დიქსონს** წამოეწია და "ჩელსის" ყველა დროის ბომბარდირებში მეორე ადგილზე გადავიდა. პირველ ადგილზე მყოფი **ბობი ტემბლინგის** გადასასწრებად, ლამპარდს მხოლოდ და მხოლოდ 10 გოლი სჭირდება, მაგრამ ვეტერანს დიდი დრო არ აქვს, რადგან ლონდონელთა ხელმძღვანელები მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებენ, ხელშეკრულებას კი ვადა სეზონის ბოლოს გასდის.

"ჩელსის" მე-8 ნომერმა ინგლისის თასის ბოლო 30 შეხვედრაში, უკვე მე-20 გოლი გაიტანა და გარდა ამისა, ამ ტურნირზე მთლიანად ლონდონური გუნდი თამაშობს საოცრად: "ჩელსის" თასზე უკვე 24 მატჩია, არ წაუგია და ბოლო 4 გათამაშებიდან 3 აქვს მოგებული (2009, 2010 და 2012 წლებში).

**39** ქულა პირველი წრის შემდეგ – ასეთი შედეგი "ლაციოს" აქამდე მხოლოდ ორჯერ ჰქონდა და რომაულმა გუნდმა ორივე სეზონში სკუდეტო მოიგო. 1999/2000 წლების სეზონში, **სვენ გორან ერიქსონის** გუნდმა ამდენივე ქულა მოაგროვა, ხოლო 1973/74 წლების სეზონში **ტომაზო მაესტრელის** "ლაციოს" ანგარიშზე ერთით მეტი ქულა იყო. აღსანიშნავია, რომ რომაელებს, ისტორიაში მეტი სკუდეტო არც მოუგიათ.

გარდა ამისა, **ვლადიმირ პეტკოვიჩს** შეუძლია იამაყოს იმით, რომ **ჟოზე მოურინიოს** შემდეგ, დებიუტანტი მწვრთნელისთვის საუკეთესო სტარტი აიღო. პორტუგალიელმა, თავის პირველ სეზონში, მილანის "ინტერს" პირველი წრის შემდეგ 41 ქულა მოაგროვებინა.

"ლაციოს" მეკარე **ფედერიკო მარკეტის** მშრალი სერია კი 606-ე წუთზე დასრულდა. "ლაციალეს" მეკარე ყოფილმა გუნდმა, "კალიარიმ" დაამწუხრა. მარკეტიმ ამ შედეგით **ფელიჩე პულიჩის** აჯობა, ვინც 1974 წლის სკუდეტოს მომგები გუნდის წევრი იყო, სამაგიეროდ 29 წლის მეკარეს ცოტა დააკლა **ლუკა მარკეჯანის** რეკორდამდე, რომელიც 744 წუთს შეადგენს.

მიუხედავად გაშვებული გოლისა, "ლაციომ" ის შეხვედრა მაინც მოიგო და რომაელებს უკვე 12-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვთ.

**15** წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც საფრანგეთის თასის მოქმედი მფლობელი ბოლოს გამოეთიშა ტურნირს 1/16 ფინალურ ეტაპამდე. კვირას კი ამ არასაპატიო მიღწევის ავტორი "ლიონი" გახდა, რომელმაც პენალტების სერიაში მესამე დივიზიონის აუტსაიდერ "ეპინალთან" წააგო.

"ოლიმპიკი" არ იყო ერთადერთი გრანდი, რომელსაც ქვედა დივიზიონის კლუბთან გაუჭირდა – "პარი სენ ჟერმენმა" შვიდგოლიან თრილერში შეძლო მეხუთე დივიზიონის ბინადრის, "არასის" დამარცხება (4:3). სხვათა შორის, პარიზელებმა ამ სეზონში, ერთ შეხვედრაში სამი გოლი პირველად გაუშვეს.

**4** ოქროს ბურთი ზედიზედ – **ლეო მესის** კიდევ ერთი რეკორდი. არგენტინელი გახდა პირველი ფეხბურთელი, ვისაც ეს პრიზი 4-ჯერ აქვს მოგებული. მესიმ ხმათა 41 პროცენტი დააგროვა, მეორეზე გასულმა **კრიშტიანო რონალდომ** 23, ხოლო **ანდრეს ინიესტამ**, რომელიც მესამე იყო, მხოლოდ 10.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ მესიმ 2012 წელს 91 გოლი გაიტანა და 22 საგოლე პასი გააკეთა, ეს ყველაფერი კი 69 შეხვედრაში მოახერხა. "ბარსელონას" 10-იანმა, მორიგი ოქროს ბურთის მიღებამდე, 2013 წლის ანგარიშის გახსნაც მოასწრო –"ესპანიოლთან" მოგებულ შეხვედრაში (4:0) ერთი გოლი გაიტანა. მესიმ პრიმერაში თავის გამოჩენა უკვე ზედიზედ მერვე შეხვედრაში შეძლო, რაც მისი პირადი რეკორდია.

**3** გოლი "რეალის" კარში – "სოსიედადის" ნახევარმცველი **ჩაბი პრიეტო**, გახდა პირველი ფეხბურთელი **ვალტერ პანდიანის** შემდეგ, ვინც "სანტიაგო ბერნაბეუზე" მეტოქის რანგში ჰეთთრიქის შესრულება შეძლო. ურუგვაელმა პანდიანიმ, "რეალს" სამი გოლი 2007 წელს გაუტანა.

გარდა ამ სამი გოლისა, პრიეტოს "ბერნაბეუზე" 2005 წელს დუბლიც აქვს შესრულებული და ბოლო 15 წელიწადში, ის გახლავთ ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც "რეალის" საშინაო არენაზე, ორი ან მეტი გოლის გატანა ორჯერ მოახერხა.

მიუხედავად 3 გაშვებული გოლისა და მეკარე **ადანის** ნაადრევად (მე-6 წუთზე) გაძევებისა, "რეალმა" ეს მატჩი მაინც მოიგო, თუმცა სიხარულის საბაბი მადრიდში ნაკლებად აქვთ, რადგან მათი მთავარი მეტოქე "ბარსელონა" რეკორდს რეკორდზე ამყარებს. კატალონიელებმა ზედიზედ 36-ე შეხვედრაში გაიტანეს გოლი, რაც ლა ლიგის ახალი რეკორდია. გარდა ამისა, თუ მომავალ ტურში "ბარსა" "მალაგასთან" არ წააგებს, **ტიტო ვილანოვას** გუნდი კიდევ ერთ რეკორდს დაამყარებს, კერძოდ, "ბარსელონა" პრიმერას ისტორიაში, პირველი წრის შემდეგ, საუკეთესო შედეგის მფლობელი გახდება.



ეპინალის ბედნიერი ფეხბურთელები

ამბები

ეროვნული

# პალმეირასმა რიკელმეს კონტრაქტი შესთავაზა



ხუან რომან რიკელმეს ბევრი მთხოვნელი ჰყავს

სერია B-ში გავარდნილმა "პალმეირასმა", არგენტინელ **ხუან რომან რიკელმეს** 3-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა. 34 წლის არგენტინელმა, წინა კვირას "ბოკა ხუნიორსის" დატოვების სურვილი გამოთქვა, სან პაულოს წარმომადგენელი კი არგენტინელი პლეიმეიკერის შეძენით დიდი ხანია დაინტერესებულია.

*"მარკეტინგის დეპარტამენტი ერთ-ერთ ბიზნესმენთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ჩვენ იმ თანხის მიღება გვსურს, რომლითაც რიკელმეს ხელფასს გადავუხდით,"* – განაცხადა "ლანსნეტთან" საუბრისას "პალმეირასის" მარკეტინგის განყოფილების უფროსმა, **როდრიგო ჯემალმა**.

ფეხბურთელების ანაზღაურების დაფინანსება მესამე პირის მიერ, ბრაზილიაში საკმაოდ აპრობირებული მეთოდია. მაგალითად, "სან პაულომ", **ლუსიოსთან** კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, ხელშეკრულება ავტომობილების დილერ კომპანიასთან და "ვისა"-სთან დადო – სწორედ ეს კომპანიები გადაუხდიან ლუსიოს ხელფასს.

ხუან რომან რიკელმეს შეძენით, "პალმეირასის" გარდა, კიდევ რამდენიმე ბრაზილიური გუნდია დაინტერესებული. მათ შორის ერთ-ერთი "ფლუმინენსე" გახლავთ, რომლის ლიდერმა, **დეკუმ** მის გუნდში არგენტინელის შესაძლო მისვლაზე კომენტარი გააკეთა:

*"ნამდვილად არ ვიცი საქმის დეტალები და რა სტადიაშია მოლაპარაკებების პროცესი, მაგრამ თუ რიკელმე ჩვენთან გადმოვა, ყველას ძალიან გაგვიხარდება, რადგან ის უმაღლესი დონის და უდიდესი გამოცდილების ფეხბურთელია".*

პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, ლიბერტადორესის თასის შესახებაც ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ "ფლუმინენსე" ჯგუფში ჩილეს "უაჩიპატოსთან", ვენესუელის "კარაკასთან" და "გრემიო"-"ლდუ კიტოს" გამარჯვებულთან მოხვდა.

*"ლიბერტადორესის თასზე გამარჯვება ჩემი ოცნება გახლავთ. ეს ტურნირი არასდროს მომიგია და იმედი მაქვს, კარიერის ბოლოს, ამ თასის აწევას შევძლებ, თუმცა ფეხბურთში წინასწარ ვერაფერს გათვლი და რამდენიც უნდა ივარჯიშო და როგორ კარგადაც უნდა ითამაშო, წაგების შანსი ყოველთვის არსებობს. ლიბერტადორესზე ბევრი ძლიერი გუნდია და მათაც ზუსტად ისევე სურთ გამარჯვება, როგორც ჩვენ"* – განაცხადა 35 წლის ფეხბურთელმა.

# ელიაში ფლამენგოში გაანათხოვრეს

მადრიდის "ატლეტიკოს" ყოფილი ფეხბურთელი, ბრაზილიელი **ელიაში**, რომელიც ამჟამად ლისაბონის "სპორტინგის" საკუთრებაა, 2013 წლის ბოლომდე "ფლამენგოში" ითამაშებს. ელიაში "ატლეტიკოში" 2010 წელს, "კორინთიანსიდან" გადავიდა, მაგრამ სეზონში მხოლოდ 15 მატჩი ჩაატარა და შემდეგ ის პორტუგალიაში გაყიდეს. "სპორტინგმა" კლუბისთვის სარეკორდო, 9 მილიონი ევრო გადაიხადა, მაგრამ 27 წლის ბრაზილიელმა ფეხი ვერც პორტუგალიაში მოიკიდა, სადაც წელს მინდორზე მხოლოდ 9-ჯერ გავიდა და ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანა.

ელიაშმა პრესის და გულშემატკივრის ყურადღება "კორინთიანსში" თამაშის დროს მიიპყრო, სადაც ნახევარდაცვაში **ჟუსილეისთან** შესანიშნავი ტანდემი შექმნა და გუნდს ჯერ სერია A-ს საგზური მოაპოვებინა, შემდეგ კი პაულისტა (სან პაულოს შტატის ჩემპიონატი) და ბრაზილიის თასი მოაგებინა. "ტიმაოში" ("კორინთიანსის" მეტსახელია) მისმა ყოფილმა დამრიგებელმა, **მანო მენეზესმა**, ელიაში ნაკრებშიც არაერთხელ გამოიძახა და 2010 წლიდან მოყოლებული, ელიაშმა "სელესაოს" ღირსება 13-ჯერ დაიცვა.

# დანილოს ერთი წელი მიუსაჯეს



დანილოს (მარჯვნივ) ციხე ემუქრება

"უდინეზეს" 28 წლის ცენტრალურ მცველს, ბრაზილიურმა სასამართლომ, მეტოქისთვის რასისტული შეურაცხყოფის მიყენების გამო, ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ყველაფერი 2010 წელს, ბრაზილიის თასის თამაშის დროს მოხდა, როდესაც **დანილოს** "პალმეირასი" "ატლეტიკო მინეიროს" ეთამაშებოდა. შეხვედრის დროს, დანილომ მეტოქე გუნდის ფეხბურთელ **მანოელს** სახეში შეაფურთხა და "მაკაკო" უწოდა, რაც პორტუგალიურად მაიმუნს ნიშნავს. ეს ყველაფერი კამერებმა დააფიქსირეს და მცველმაც სერიოზული სასჯელი მიიღო, თუმცა მოსალოდნელია, რომ ერთწლიან პატიმრობას, ასევე საკმაოდ სერიოზული ჯარიმით შეცვლიან, კერძოდ, საუბარია 127 000 ევროზე, რაც სან პაულოს შტატის მინიმალურ ხელფასს 500-ჯერ აღემატება.

დანილო, რომლის წლიური ხელფასიც 400 000 ევრო გახლავთ, "უდინეზეში" 2011 წელს გადავიდა. შარშან 37 შეხვედრაში 1 გოლი გაიტანა, წელს კი 16 მატჩში თავის გამოჩენა 2-ჯერ შეძლო. საკმაოდ დამაჯერებელი და კარგი თამაშის გამო, მისი შეძენით "იუვენტუსიც" დაინტერესდა და ტურინელები იანვარში ტრანსფერზე დალაპარაკებასაც აპირებდნენ, თუმცა, ამ სკანდალის შემდეგ, ძნელი სათქმელია მოისურვებენ თუ არა "ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელები დანილოსთან საქმის დაჭერას.

გვერდი მოამზადა
ტატო ბაციკაძემ

ბაიერნი

# ვინ გაწვრთნის ბაიერნს?

## რას გეგმავენ რეკორდმაისტერის შეფები იმ შემთხვევისთვის, თუ ჰაინკესი ზაფხულში წავა?

**მიუნხენის „ბაიერნთან“ მიმართებაში ახლა ნომერ პირველი სალაპარაკო თემა სამწვრთნელო საკითხია, რადგან სეზონის ბოლოს იუპ ჰაინკესს კონტრაქტი უმთავრდება და ჯერ კიდევ არაა გარკვეული, ვინ იქნება რეკორდმაისტერის დამრიგებელი მომდევნო სეზონში. ეს შეიძლება ისევ ჰაინკესიც იყოს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ზაფხულში რეკორდმაისტერს ახალი მწვრთნელი ეყოლება. ექსპერტების აზრით, მიუნხენური გრანდის შეფები „დონ იუპის“ შემცვლელზე ფიქრობენ და მას პენსიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში არ გაუშვებენ, თუ „ბაიერნისთვის“ ღირსეულ სპეციალისტს დაითანხმებენ.**

ანალიზი ფაქტებით დავიწყოთ: 67 წლის **ჰაინკესმა** თქვა, რომ ამ თემაზე უკვე ესაუბრა მეუღლეს, მაგრამ არ გაახმაურა, რა ურჩია ცოლმა. კლუბის ბოსებთან კი „დონ იუპს“ სამომავლო გეგმებზე ჯერ არ უსაუბრია. რეკორდმაისტერის სპორტული დირექტორი **მათიას ზამერი** აცხადებს, რომ საჩქარო არაფერია და რომ მას და გუნდის სხვა შეფებს ჰაინკესთან შეხვედრა მარტში აქვთ დაგეგმილი.

*„რაც უნდა მოხდეს და როგორც უნდა გადაწყდეს სამწვრთნელო საკითხი, გარწმუნებთ, მომდევნო სეზონში „ბაიერნს“ ბრწყინვალე დამრიგებელი ეყოლება,“* - ეს ზამერის ამასწინანდელი სიტყვებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მარტამდე ბავარიული გრანდის ბოსებისგან სხვა, უფრო დეტალურ კომენტარს ამ თემაზე არ უნდა ველოდოთ.

### გავა ჰაინკესი პენსიაზე, თუ არა?

მოვლენების განვითარების რამდენიმე ვარიანტი არსებობს, რომელთაგან პირველი ისაა, რომ 67 წლის ჰაინკესი პენსიაზე გასვლას გადაიფიქრებს და პოსტზე დარჩება. მეორე ვარიანტი ისაა, რომ ჰაინკესს პენსიაზე გასვლა გადაწყვეტილი აქვს, ამის შესახებ „ბაიერნის“ პრეზიდენტ ული **ჰიონესსაც** აცნობა, რომელიც მისი უახლოესი მეგობარია და რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ახლა „დონ იუპის“ შემცვლელს ეძებენ.

თუ ეს ასეა, გამოდის, რომ „ბაიერნის“ შეფები ცაიტნოტში არიან, რადგან თუ მათ მოთხოვნებს გავითვალისწინებთ, „ბაიერნს“ ბევრი მწვრთნელი ნამდვილად არ შეესაბამება. „ბაიერნის“ ახალი დამრიგებელი აუცილებლად მაღალი კალიბრის სპეციალისტი უნდა იყოს, გუნდის სულისკვეთებას უნდა შეესაბამებოდეს და სასურველია, რომ გერმანული ენა იცოდეს.

### რაც შეეხება გვარდიოლას...

„ბარსელონას“ ყოფილი თავკაცი ახლა ყველა გრანდისთვის სასურველი სპეციალისტია. გვარდიოლას მსურველთა რიცხვს „ბაიერნიც“ მიეკუთვნება, რადგან პეპის სავიზიტო ბარათს „ბარსას“ ერთად მოგებული 14 ტიტული ამშვენებს, რომელთაგან ორი ჩემპიონთა ლიგის თასია. 41 წლის პეპმა თქვა, რომ ზაფხულიდან დიდ ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვეტილი აქვს.

აქამდე მის დათანხმებაზე ყველაზე აქტიურად „მანჩესტერ სიტი“ და „მილანი“ მუშაობდნენ. ბოლო ცნობების თანახმად, „როსონერი“ ამ ბრძოლას გამოეთიშა - **სილვიო ბერლუსკონიმ** თქვა, გვარდიოლას დათანხმების იმედი აღარ მაქვსო, თუმცა ეს, შეიძლება სილვიოს მანევრი იყოს. არაერთხელ გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ პეპმა „სიტიში“ მუშაობა გადაწყვიტა, მაგრამ ეს ოფიციალურად არავის დაუდასტურებია. გვარდიოლას მსურველთა სიაშია ლონდონის „ჩელსიც“, სადაც **რაფა ბენიტესმა** კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გააფორმა და საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ „ჩელსის“ ბოს **რომან აბრამოვიჩს** პეპი ძალიან მოსწონს.

### რა შანსი აქვს ბაიერნს?

რეკორდმაისტერი გვარდიოლასთვის ბრძოლაში უშანსოდ ნაღდად არ არის - მეტიც, თუ პეპის ფილოსოფიას გავითვალისწინებთ, ბავარიელებს საკმაოდ კარგი შანსი აქვთ. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ესპანელი სპეციალისტი კონკრეტულად არაფერს ამბობს და ამას წინათ, გერმანელ ჟურნალისტს კითხვაზე „რა შანსი აქვს ბაიერნს მისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში“ ასე უპასუხა: *„ჩემი მხრიდან უდიდესი შეცდომა და უპატივცემულობა იქნებოდა იმ გუნდზე კონკრეტულად საუბარი, რომელსაც მწვრთნელი ჰყავს.“*

### სენსაციური კანდიდატი: რობერტო დი მატეო

ძნელია გამოცნობა, რამდენად აქტიურად მუშაობენ ბავარიელები გვარდიოლას მიმართულებით, გერმანულ პრესაში კი ამ ბოლო დროს „ბაიერნთან“ მიმართებაში უფრო და უფრო ხშირად ახსენებენ **რობერტო დი მატეოს**, რომელმაც „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: რატომ უნდა აიყვანოს „ბაიერნმა“ მაინცდამაინც ის მწვრთნელი, რომელმაც ბავარიულ გრანდს საკუთარ მოედანზე ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოუგო?

თუმცა: დი მატეო გერმანულად საუბრობს, შვეიცარიაში გაიზარდა და ძალიან ახლოსაა შვეიცარიულ საფეხბურთო და ცხოვრებისეულ ფილოსოფიასთან, რომელიც „ბაიერნის“ სპორტულ დირექტორ ზამერს ძალიან მოსწონს. დი მატეომ სამწვრთნელო ასპარეზზე პირველი გამოცდილება ინგლისში მიიღო, „ჩელსიში“ კი დაამტკიცა, რომ სუპერვარსკვლავებით გადაჭედილ გუნდში მუშაობა ეხერხება. ერთი ეგაა, რომ მის ხელში „ჩელსი“ დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობდა, რაც მიუნხენში ნაკლებად მოსწონთ...

### ექსპერიმენტი „ყოფილი ფეხბურთელი მწვრთნელად“?

დიდი შანსია, რომ „ბაიერნის“ შეფებმა რომელიმე ყოფილი ფეხბურთელის სასარგებლოდ მიიღონ გადაწყვეტილება - ბოლო დროს ეს ტენდენცია ხომ ისევ მოდაში შემოვიდა. რეკორდმაისტერს ამ მხრივ გამოცდილება აქვს: თავის დროზე გუნდი **ფრანც ბეკენბაუერმა** ჩაიბარა და წარმატებებს მიაღწია, **იურგენ კლინსმანის** სამწვრთნელო ხანა კი წარუმატებელი გამოდგა. რომელიმე ყოფილი მოთამაშის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა „ბაიერნის“ მხრიდან რევოლუციური ნაბიჯი იქნებოდა, რევოლუციური ექსპერიმენტები კი ული ჰიონესს და **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** არ უყვართ.

სამაგიეროდ, ასეთი მიდგომა ზამერს მოსწონს და თუ ეს უკანასკნელი ულის და კალეს დაითანხმებს, ყოფილი მოთამაშის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა რეალურია. გერმანული პრესა მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში „ბაიერნის“ დამრიგებლის რანგში ორ ექს-ბაიერნელს, **მეჰმეთ შოლს** და **შტეფან ეფენბერგს** განიხილავს.

### შოლმა იმედები ვერ გაამართლა

თუმცა ფაქტია, რომ ბავარიელები კლინსმანის პროექტის ჩავარდნის შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ ძალიან ფრთხილები გახდნენ. ცნობილია, რომ მეჰმეტ შოლი დიდხანს იყო ჰიონესის ფავორიტი. ული სწორედ ბარსელონური მოდელის გამეორებაზე ფიქრობდა და როგორც კატალონიელებმა დანიშნეს გვარდიოლა, ასე სურდა შოლის რეკორდმაისტერის თავკაცად დანიშვნა. მეჰმეთს თავისი სამწვრთნელო შესაძლებლობები ჯერ „ბაიერნის“ მეორე გუნდში უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა. ამასთან, ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით ჰიონესმა მეჰმეთზე გული უფრო მას მერე აიცრუა, რაც შოლმა ევროპის ჩემპიონატის დროს სატელევიზიო ექსპერტის რანგში **მარიო გომესი** მკაცრად გააკრიტიკა.

### ჰაინკესს ეფენბერგის სჯერა

შტეფან ეფენბერგი „ბაიერნის“ ლეგენდარული და ფანების უსაყვარლესი ფეხბურთელია, 2001 წელს, როცა ბავარიელებმა ჩემპიონთა ლიგა უკანასკნელად მოიგეს, ეფე გუნდის კაპიტანი გახლდათ. თავად ჰაინკესი დარწმუნებულია იმაში, რომ ეფე დიდ ფეხბურთში მწვრთნელობისთვის უკვე მზადაა.

*„ჩემი აზრით, შტეფანი სწორედ ამისთვისაა დაბადებული. ეფენბერგი დიდი ფეხბურთელი იყო და მჯერა, რომ დიდი მწვრთნელიც იქნება,“* - ჰაინკესმა ეს განცხადება ორიოდე დღის წინ გააკეთა.

თუმცა „დონ იუპი“ 44 წლის ეფეს ჯერ პრაქტიკის მიღებას ურჩევს - როგორც იცით, შტეფანს სამწვრთნელო გამოცდილება საერთოდ არ აქვს. არის ასეთი ვარიანტიც: ჰაინკესი კიდევ ერთი წლით დარჩეს „ბაიერნში“, ეფენბერგი კი მის ასისტენტად დაინიშნოს და ერთი წლის შემდეგ ჩაიბაროს რეკორდმაისტერი. სხვამხრივ, გუნდის ეფენბერგისთვის ჩაბარება „ბაიერნისთვის“ დიდი რისკია.



ვინ შეიძლება შეცვალოს იუპ ჰაინკესი (წინა პლანზე) ბაიერნში? - მარცხნიდან: რობერტო დი მატეო, მეჰმეთ შოლი, შტეფან ეფენბერგი და ხოსეპ გვარდიოლა

---

ამბები



### აინტრახტი ლაკიჩს უმიზნებს

ბუნდესლიგაში სენსაციურად მოასპარეზე ფრანკფურტის „აინტრახტის“ თავკაც **არმინ ფეეს** წინა ხაზის გაძლიერება უნდა და ცნობილია, რომ „ვოლფსბურგში“ ათვალწუნებული **სრდიან ლაკიჩი** მოსწონს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მისი ტრანსფერის დასაფინანსებლად ფეე ორი უსარგებლო ფორვარდის, **დორგე კუემაას და რობ ფრენდის** გუნდიდან გაშვებას აპირებს. ცნობილია, რომ ფრანკფურტელებს ლაკიჩის გადაბირება დიდი ხანია უნდათ და მისი შეძენა ახლა იმიტომ გახდა განსაკუთრებით აქტუალური, რომ არმინ ფეეს იმედები ვერც ახალწვეულმა **ოლივიე ოუშენმა** გაამართლა. თავის მხრივ, ლაკიჩი „ვოლფსბურგში“ უიმედო სიტუაციაშია, რადგან მასზე კარგი აზრის არც გუნდის ახალი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგია**.

### ფიოლერი: შალკე? სემი არ იყიდება!

გერმანული „კიკერის“ ინფორმაციით, „შალკემ“ **რაფაელთან** ერთად, ლევერკუზენელ **სიდნი სემსაც** დაადგა თვალი. როგორც იცით, გელზენკირხენელები ტრავმირებული იბრაჰიმ აფელაის შემცვლელს ეძებენ. „ლევერკუზენის“ სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა** „შალკეს“ ბოსებს გუშინ უარი შეუთვალა: *„სიდნი სემის გაყიდვაზე ერთი წამითაც არ გვიფიქრია. ეს ფეხბურთელი ძალიან გვჭირდება და მის გასხვისებას არ ვაპირებთ,“* - თქვა ფიოლერმა და დასძინა, რომ „შალკეს“ შეფებს ლევერკუზენისთვის არ მიუმართავთ.

### შიბერი დორტმუნდიდან ვოლფსბურგში?

„კიკერის“ ცნობით, **ივან პერიშჩის** შემდეგ „ვოლფსბურგს“ კიდევ ერთი დორტმუნდელის გადაბირება სურს. საუბარია თავდამსხმელ **იულიან შიბერზე**, რომელიც „ბორუსიას“ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. ჩვენი გერმანელი კოლეგები იმასაც წერენ, რომ „ვოლფსბურგის“ სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** 23 წლის შიბერის ყიდვას არა ახლა, არამედ ზაფხულში აპირებს. აქვე დავძენთ, რომ „დორტმუნდში“ გადასვლამდე შიბერი „ნიურნბერგში“ თამაშობდა და მაშინ მისი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** გახლდათ, რომელიც ახლა სწორედ „ვოლფსბურგის“ დამრიგებელია.

### სელტიკი მიტროღლუს ეპატიჟება

შოტლანდიურ და ბერძნულ პრესაში გუშინ გავრცელებული ცნობების თანახმად, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასულ „სელტიკს“ „ოლიმპიაკოსის“ ფორვარდ **კოსტას მიტროღლუს** შეძენა სურს. ოფიციალურად დაუდასტურებელი ინფორმაციით, გლაზგოელებმა ბერძნულ გრანდს 24 წლის მიტროღლუს სანაცვლოდ 3.5 მილიონი ევრო შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ მიტროღლუმ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ექვს მატჩში ოთხი გოლი გაიტანა.

### ლეტომ პანათინაიკოსი დატოვა

**კარაგუნისის** (ფულჰემშია), **კაცურანისისა** (პაოკ) და **ზუმსონგის** შემდეგ, ათენის „პანათინაიკოსიდან“ არგენტინელი **სებასტიან ლეტოც** წავიდა. ნახევარმცველმა კონტრაქტი გაწყვიტა და ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

● იტალიის თასი. 1/4 ფინალი

# გრანდების დავა ვუჩინიჩმა გადაწყვიტა
## იუვე-ლაციო ნახევარფინალში

**იუვენტუსი-მილანი 1:1 დ.დ. 2:1**

**გოლები:** 0:1 ელ შაარავი (6), 1:1 ჯოვინკო (12), 2:1 ვუჩინიჩი (96).

**იუვენტუსი (3-5-2):** სტორარი - კასერესი, ბონუჩი, ბარცალი - ლიხტშტაინერი (84. დე ჩელიე), ვიდალი, მარონე (77. პირლო), ჯაკერინი, ისლა - ჯოვინკო (65. ვუჩინიჩი), მატრი.

**მილანი (4-3-3):** ამელია - აბატე, მექსე, აჩერბი, დე შილიო - მონტოლივო, ამბროზინი (90. ტრაორე), ბოატენგი - ემანუელსონი (70. ბოიანი), ელ შაარავი, პაცინი (71. ნიანგი).

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| ინტერი-ბოლონია | 16.01 |
| ფიორენტინა-რომა | 17.01 |

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლაციო-იუვენტუსი | 22.01 |
| იუვენტუსი-ლაციო | 29.01 |


ჯოვინკომ ჯარიმა დელ პიეროს სტილში გაიტანა

იტალიის თასის მეოთხედფინალური ეტაპის მეორე შეხვედრამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, რადგან ერთმანეთის პირისპირ მსოფლიო ფეხბურთის გრანდები წარდგნენ: "იუვენტუსი" და "მილანი"... დღეს, ტურინულ გრანდს უკეთესი დროება უდგას, ფავორიტად ითვლებოდა და მოლოდინი გამართლდა კიდეც. მართალია, "იუვემ" მეტოქე მხოლოდ დამატებით დროში გატეხა, მაგრამ მთლიანობაში, მაინც დამსახურებულად გაიმარჯვა.

თამაში ტურინელთათვის შოკისმომგვრელად დაიწყო - ჯერ კიდევ მეექვსე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მილანელებმა ეფექტური კომბინაცია უზუსტესი დარტყმით დააგვირგვინეს... **სტეფან ელ შაარავიმ კევინ პრინს ბოატენგისგან** შესანიშნავი პასი მიიღო, ერთი კარგად გაისწორა ბურთი და მეკარისაგან მარჯვენა დაბალ კუთხეში მოათავსა, 0:1. მასპინძლები მალევე მოვიდნენ გონს და კიდევ ექვს წუთში ანგარიში გაათანაბრეს - **სებასტიან ჯოვინკომ** საჯარიმო დარტყმა **ალესანდრო დელ პიეროს** სტილში შეასრულა და გულშემატკივრები ალტაცებაში მოიყვანა. მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ხიფათი ორივე კართან დაახლოებით თანაბარი რაოდენობით შეიქმნა.

გადამწყვეტი გოლი დამატებით დროში გავიდა და ამჯერადაც მეექვსე, ანუ, 96-ე წუთზე - მასპინძლებმა რამდენიმესვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც **მირკო ვუჩინიჩმა** შესანიშნავად დააბოლოვა, 2:1. მილანელებმა სცადეს შეხვედრის გადარჩენა, მაგრამ ამაოდ - იტალიის თასის ნახევარფინალში "ლაციოს" "იუვენტუსი" შეერკინება.

ბოლოს ვთქვათ იმაზე, რაზეც ძირითადად თავში ვამბობთ ხოლმე - **ანტონიო კონტემ** და **მასიმილიანო ალეგრიმ** ექსპერიმენტებისგან მაქსიმალურად შეიკავეს თავი და შემადგენლობა მხოლოდ მინიმალურად გადაახალისეს. მაგალითად, "იუვეს" თავკაცმა **ანდრეა პირლო** დატოვა თადარიგში და მის ნაცვლად **ლუკა მარონე** ათამაშა. თუმცა, 77-ე წუთზე მარონემ მოედანი დატოვა და თამაშში პირლო ჩაერთო. კარში **ჯიჯი ბუფონის** ნაცვლად **მარკო სტორარი** იდგა, თუმცა თასის გათამაშებაში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ექსპერიმენტებისთვის არც ალეგრის მიუმართავს, თუმცა ამით მხოლოდ ღირსეულ მარცხს გამორჩა...

**მირკო ვუჩინიჩი (იუვენტუსი):** *"დაძაბული მატჩი იყო, რომელიც საბედნიეროდ, ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. "მილანი" არასდროს ყოფილა იოლი მეტოქე და ამჯერადაც ძალიან გაგვიჭირდა. მომენტები ორივე კართან შეიქმნა, თუმცა დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტი სიზუსტე გამოვიჩინეთ და გავიმარჯვეთ. ყველაფერთან ერთად, ეს "იუვეს" მებრძოლი ხასიათის და საჩემპიონო მენტალიტეტის დამსახურებაა. თასის მოგება ჩვენი ერთ-ერთი მიზანია და მჯერა, რომ საწადელს ავისრულებთ".*

**სტეფან ელ შაარავი (მილანი):** *"სიმართლე გითხრათ, კმაყოფილი ვარ როგორც საკუთარი თავის, ისე გუნდის თამაშით. მომენტებიც გვქონდა და მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. დიახ, ასეთ მატჩებში წაგება ყოველთვის გულდასაწყვეტია, მაგრამ რას ვიზამთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ტურინში "იუვენტუსის" წინააღმდეგ თამაში ურთულესია, ჩვენ კი მეტოქეს პრაქტიკულად არაფერი დავუთმეთ. უნდა დავივიწყოთ მარცხი და მომდევნო შეხვედრაზე ვიფიქროთ - სერია A-ში გადამწყვეტი ბრძოლები წინ გვაქვს".*

● ტრანსფერი

# არმერო ნაპოლის შეუერთდა
## კოლუმბიელთა კონკურენცია მარცხენა ფლანგზე


პაბლო არმერომ "უდინეზე" დატოვა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ნაპოლიმ" სატრანსფერო ბაზარზე პირველ წარმატებას მიაღწია... ლაპარაკია 26 წლის **პაბლო არმეროს** "უდინეზედან" ნეაპოლში გადაბარგებაზე. "გაძეტა დელო სპორტი" გვაუწყებს, რომ მხარეებს შორის მიმდინარე მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და დღეს, არმერო სამედიცინო შემოწმებას გაივლის, რის შემდეგაც ხელშეკრულებას გააფორმებს. კონტრაქტი საიჯაროა, თუმცა გამოსყიდვის პერსპექტივით. აღნიშნული ინფორმაცია, "ნაპოლის" პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** დაადასტურა:

*"დიახ, შეთანხმებას მივაღწიეთ და არმერო "ნაპოლიში" გააგრძელებს კარიერას. ყველანაირად ვცდილობთ, რომ გუნდი გავაძლიეროთ და მგონი გამოგვდის კიდეც. პაბლო უძლიერესი მოთამაშეა, რომელსაც თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც დაცვის მარცხენა ფრთაზე, ისე ნახევარდაცვაში და გარემარბად. მოკლედ, ვალტერ მაცარის უნივერსალური თვისებების ფეხბურთელი დაემატა".*

პაბლო არმერო **ვალტერ მაცარის** ტაქტიკურ მონახაზს წესით იდეალურად უნდა მოერგოს, რადგან "უდინეზეშიც" 3-5-2 სქემაში უწევდა ასპარეზობა. არმერო მარცხენა ფრთაზე **კამილო ცუნიგას** გაუწევს კონკურენციას, რომელმაც ბოლო პერიოდში მკვეთრად მოუკლო. თუ პაბლო ისევე ათამაშდა, როგორც უდინეურ გუნდში, კამილოს ძირითად შემადგენლობაში ადგილის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება... საგულისხმოა, რომ კამილო ცუნიგაც და პაბლო არმეროც კოლუმბიელები არიან.

● რომა/მილანი

# რომაელთა უარი მილანელებს
## დესტრო და სტეკელენბურგი რჩებიან

"მილანის" მესვეურები რომ "რომას" ფეხბურთელების გადაბირებით არიან დაინტერესებულნი, არაერთხელ გაცნობეთ... კერძოდ, ლაპარაკია **მარტინ სტეკელენბურგისა** და **მატია დესტროს** ლომბარდიულ გრანდში შესაძლო გადასვლის შესახებ. **ალეშანდრე პატოს** გასხვისების შემდეგ, "როსონერის" ფორვარდი სჭირდება და დესტროს მიმართ დაინტერესება მილანელებს არც დაუმალავთ. რაც შეეხება სტეკელენბურგს, ის 35 წლის **კრისტიან აბიატის** შემცვლელად მოიაზრება, უფრო სწორად კი მოიაზრებოდა, რადგან რომაელებმა მილანელთა შეთავაზებებს უარით უპასუხეს. ამაზე, დედაქალაქური კლუბის პრეზიდენტმა **ჯეიმს პალოტამ** ისაუბრა:

*"მილანელები მატია დესტროს სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს გვთავაზობდნენ, მარტინ სტეკელენბურგი კი მარკო ამელიაში უნდა გაგვეცვალა. ამ საკითხზე ზდენეკ ზემანთან ვისაუბრეთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ შეთავაზებაზე უარი უნდა გვეთქვა. 15 მილიონად დესტროზე უკეთესი ფორვარდის შეძენა ძალიან რთულია, თანაც ის მხოლოდ 21 წლისაა. რაც შეეხება სტეკელენბურგს, მან ნებისმიერ დროს შეიძლება მოუმატოს და ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდეს".*

● ლაციო

# ლოტიტო: მსოფლიოს თამაშით გავაოცებთ...
## ...და არა ტრანსფერებით

**"ლაციო" იტალიური პრესის ყურადღების ცენტრშია მოქცეული და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ვლადიმირ პეტკოვიჩის გუნდი ყველა ფრონტზე წარმატებით ასპარეზობს. სერია A-ში მეორე ადგილი და იტალიის თასის ნახევარფინალში გასვლა ამის ნათელი დადასტურებაა. არც ევროპის ლიგის გათამაშება უნდა დაგვავიწყდეს, სადაც "ბიანკოჩელესტე" პლეი ოფშია გასული. "კორიერე დელო სპორტი" კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოს გაესაუბრა - მის პასუხებს თემების მიხედვით გთავაზობთ...**

### პრიორიტეტული მიზანი

ბევრს ჰგონია, რომ იტალიის თასი ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი ტურნირია, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. კარგად მახსოვს რა ატმოსფერო იყო "სტადიო ოლიმპიკოზე", როდესაც ფინალში "სამპდორიას" ვეთამაშებოდით. ეს იყო უდიდესი ზეიმი, რომლის ნახვაც კიდევ ერთხელ მსურს. ამიტომ, სათასო ბატალიებს უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ. ასევეა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა, რადგან ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირზე გასვლა გუნდს განვითარების ახალ ეტაპზე აიყვანს. მოკლედ, ყველა ტურნირი პრიორიტეტულია.

### ტრანსფერები: სარატე და ლამპარდი

"ლაციოს" წარმატების ფორმულა არა ინდივიდუალურად ძლიერ ფეხბურთელებში, არამედ გუნდურ სულისკვეთებასა და ერთიანობაშია. ფრანკ ლამპარდი "ჩელსის" დატოვებას აპირებს და ვიცი, რომ მის მომავალს "ლაციოსაც" უკავშირებენ, მაგრამ ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ჭორებია. ინგლისელი უძლიერესი მოთამაშეა, მაგრამ ჯერ უნდა გავიაზროთ, ჩაჯდება თუ არა "ლაციოს" მონახაზში - არ ვაპირებ ფეხბურთელის გადაბირებას მხოლოდ იმიტომ, რომ ამით მსოფლიო საფეხბურთო სამყარო გავაოცო და ავალაპარაკო. ჩვენ გუნდის რეალური გაძლიერება გვინდა და ამიტომ, თითოეულ ასეთ საკითხზე მეტი ფიქრი გვმართებს. დღეს, ლამპარდი ჩვენს გეგმებში არ შედის და რა იქნება ხვალ, რთული სათქმელია. ერთი სიტყვით, მსოფლიოს გაოცებას თამაშით ვაპირებთ და არა ტრანსფერებით.

რაც შეეხება მაურო სარატეს, მას წასვლა მოუწევს და იმედია, ეს საკითხი მალე გადაწყდება. სამწუხაროდ, არგენტინელი ვერაფრით მოერგო ვლადიმირ პეტკოვიჩის ტაქტიკა-სტრატეგიასა და ამ შემთხვევაში, სრულიად უძლური ვარ. არადა, მაუროს დარი ტალანტი ბევრი ნამდვილად არ გვყავს.

### მწვრთნელი

ვლადიმირ პეტკოვიჩის მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მისი წარმატების მთავარი საიდუმლო იმაშია, რომ ყველაზე და ყველაფერზე წინ გუნდის ინტერესებს აყენებს. შეეძლო უარი ეთქვა ედუარდო რეიას მიერ დანერგილ ტაქტიკა-სტრატეგიაზე, რეფორმები გაეტარებინა და თავის იმიჯზე ეზრუნა, მაგრამ ამ ყველაფერზე უარი თქვა. რეიას გუნდი სწორი მიმართულებით მიჰყავდა, ვლადიმირმა კი ყოველგვარი არაჯანსაღი ამბიციის გარეშე, აღებული კურსი გააგრძელა. შედეგად, მივიღეთ უფრო ძლიერი "ლაციო", ვიდრე თუნდაც ერთი წლის წინ იყო. ბედნიერი ვარ, რომ არჩევანი პეტკოვიჩზე შევაჩერე.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**


კლაუდიო ლოტიტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპა დელ რეი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები


რეალი სელტას კარში სამი ხედირას გოლს ზეიმობს

# ესეც პირველი სუპერჯახი: რეალი-ვალენსია

## მესის რეკორდის ნაკვალევზე: რონალდო 2013 - 5 გოლი 2 თამაშში

**რეალი-სელტა 4:0 (1:2)**

**გოლები:** 1:0 რონალდო (2), 2:0 რონალდო (24), 3:0 რონალდო (87), 4:0 ხედირა (88)

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - ესიენი, რ. კარვალიო, ს. რამოსი, არბელოა - ხედირა, ჩაბი ალონსო (46. ვარანი) - იოზილი (75. დი მარია), მოდრიჩი, რონალდო - ბენზემა (65. იგუაინი).

**სელტა (4-2-3-1):** ს. ალვარესი - მალიო (45. ლაგო), კაბრალი, ტუნიესი (46. დემიდოვი), ბელვისი - ა. ლოპესი, ვილა - ა. ფერნანდესი, დე ლუკასი, კრონ-დელი - პარკი (55. ასპასი).

**გაძევება:** ს. რამოსი (71)

**სარაგოსა-ლევანტე 2:0 (1:0)**

**გოლები:** 1:0 სუკულინი (23), 2:0 მონტანიესი (60)

**სარაგოსა (4-2-3-1):** ლეო ფრანკო - სეპუნარუ, ალვარო, პარედესი, აბრაამი (68. პინტერი) - აპონიო, მოვილია - სუკულინი (73. ე. ორიოლი), მონტანიესი, ვ. როდრიგესი - არანდა (57. პოშტიგა)

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი - პ. ლოპესი, როდასი, ვოლტა, კარაბელასი - პალიარდო, მიჩელი (62. დუდკა) - რიოსი, როხერი (62. ბალესტეროსი), ხუანლუ - მარტინსი (60. ანხელი).

**გაძევება:** როდასი (58)

### რა ჭირს მოურინიოს?

**იკერ კასილიასი** კარში იდგა, **ჟოზე მოურინიო** უდისციპლინო მოსწავლესავით იქცეოდა სათადარიგოთა სკამზე, 0:2-ზე „სელტას" „რეალის" გაგდების 2-3 კარგი შანსი მიეცა, **კრიშტიანო რონალდომ** ჰეთთრიკი მიითვალა, **სამი ხედირა** დაეჩვია დახვეწილი გოლების გატანას, **სერხიო რამოსმა** კი მსაჯს აფერისტი უწოდა. ასეთია მოკლე რეზიუმე იმის,რაც „სანტიაგო ბერნაბეუზე" ოთხშაბათ საღამოს ხდებოდა.

### რა ხდებოდა მოედანზე?

კრიშტიანო რონალდომ პირველ ნახევარ საათში დუბლი შეასრულა (მეორე გოლზე **ლუკა მოდრიჩის** ბრწყინვალე პასია აღსანიშნავი), მაგრამ შემდეგ „რეალს" გაუჭირდა. ამის მიზეზი კი სერხიო რამოსია, რომელიც **აისა გამესმა** მეორე ტაიმში გააძევა. რამოსის დაწყნარება გაჭირდა, მან მსაჯს აფერისტი უწოდა, რის გამოც შეიძლება 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯონ.

მატჩის გადამწყვეტი მომენტი 87-ე წუთზე დადგა, როცა **გონსალო იგუაინის** შესანიშნავი კონტრშეტევა რონალდომ მესამე გოლით დაასრულა, რასაც მალე ხედირას გოლიც მოჰყვა. ტრავმის გამო ვერ გააგრძელა თამაში **ჩაბი ალონსომ** და ახლა ბასკის თამაში „ოსასუნას" წინააღმდეგ საეჭვოა.

### რა ხდებოდა მოედნის მიღმა?

იკერ კასილიასს „სანტიაგო ბერნაბეუ" ოვაციებით შეხვდა, ხოლო ჟოზე მოურინიოს ისევ უსტვინეს. ის კი არა, მწვრთნელს ხურდაში **ემილიო ბუტრაგენიოც** კი მიაყოლეს. რაც შეეხება თავად მოუს, პორტუგალიელი ძალიან უცნაურად იქცეოდა, მუდმივად რალაცას აპროტესტებდა, ერთხელ კი ბურთს ფეხი გაბრაზებით ამოჰკრა. ნამდვილად ველარ აკონტროლებდა თავს.

### რა ხდებოდა თამაშის მერე?

მატჩის გმირმა პუბლიკას მიმართა: იქნებ მოურინიოს სტვენას შევეშვათ და ერთად ვიბრძოლოთ „რეალის" საკეთილდღეოდო. შემდეგ რონალდო „სელტას" გასახდელში გაემართა, სტუმართა მცველის **უგო მალიოს** მოსანახულებლად. პირველი ტაიმის მიწურულს სწორედ რონალდოსთან ორთაბრძოლისას დაშავდა მალიო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ჟოზე მოურინიო კი პრესკონფერენციაზე არ მივიდა.

**პრესკონფერენცია**

**აიტორ კარანკა** (რეალი): *„მოურინიო საზოგადოებას სულაც არ ემალება. ის იმიტომ არ იყო ფიფას გალა-დაჯილდოებაზე, რომ გუნდი თასის მატჩისთვის ემზადებოდა, შემდეგ კი შვილის სანახავად წავიდა. ჟოზე არავისთან არ არის დაპირისპირებული. ფანებს აქვთ უფლება, რასაც ფიქრობენ ისე იმოქმედონ ტრიბუნებზე. ჩვენ კი ჩვენი საქმე გვაქვს და ის უნდა შევასრულოთ. მინდა დღევანდელი თამაშისთვის იკერ კასილიასი, კრიშტიანო რონალდო და ლუკა მოდრიჩი განსაკუთრებულად შევაქო".*

**პაკო ერერა** (სელტა): *„მარცხის ორი მიზეზია, ჩვენი ცუდი და „რეალის" კარგი თამაში. თუმცა მატჩის ბოლომდე 0:2 იყო და ერთი გოლი თამაშს დამატებით დროში გადაიყვანდა. არადა, 2-3 შანსი გვქონდა კიდევაც. მაგრამ მეტოქეს წინ კრიშტიანო, კარში კი იკერი ჰყავდა".*

„რეალის" მეტოქე მეოთხედფინალში „ვალენსიაა". მატჩები 16 და 23 იანვარს გაიმართება.

### არაგონელთა გასეირნება

„სარაგოსამ" საპასუხო მერვედფინალური მატჩიც მოუგო (2:0) „ლევანტეს" და ესპანეთის თასის მეოთხედფინალში გავიდა. როგორც ჩანს, „ლევანტესთვის" პრიორიტეტული ლა ლიგაში კარგი asპარეზობაა, სადაც ეს ვალენსიური კლუბი მეორე სეზონია, სასწაულებს სჩადის.

„სარაგოსა" მატჩის ტემპსა და მიმდინარეობას სრულად აკონტროლებდა, განსაკუთრებით კი სტუმართა მცველის, **ექტორ როდასის** გაძევების მერე.

**მანოლო ხიმენესი** (სარაგოსა): *„პირველი მატჩი მოგებული კი გვქონდა, თუმცა ჩვენი პრიორიტეტი მუდამ ფანების კმაყოფილებაა. ამიტომაც ფეხბურთელებს ძალიან სურდათ მოგება და მოიგეს კიდევაც. კმაყოფილი ვარ, საჰაერო დუელებს ვიგებდით, კარგად ვუტევდით და მიზანსაც მივაღწიეთ. ახლა უკვე მომავალ მატჩზე ვფიქრობთ, „ატლეტიკოს" წინააღმდეგ".*

**ხუან იგნასიო მარტინესი** (ლევანტე): *„მეტოქის პირველ გოლამდე კიდევ გვქონდა შანსები, თუმცა მეოთხედფინალში გასვლას ალალად არ ვიმსახურებდით. თუმცა ამ დაპირისპირებიდან პოზიტიურიც ბევრი გავიგეთ, თუნდაც ფეხბურთელების დამოკიდებულება საქმისადმი და თავგანწირვა".*

მეოთხედფინალში „სარაგოსა" „სევილიას" დაუპირისპირდება. მატჩები 16 და 23 იანვარს გაიმართება.


კრიშტიანო რონალდომ წლის პირველი ჰეთთრიკი მიითვალა

**P.S.** [illegible] სერხიო რამოსს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისაჯეს.

---

ამბები

### რონალდო: პსჟ? ცხოვრებაში ყველაფერი ხდება

ფრანგული პრესა იუწყება, რომ 27 წლის **კრიშტიანო რონალდო** არ გამორიცხავს მომავალში „პარი სენ-ჟერმენში" გადასვლას. შეგახსენებთ, რომ 9 იანვარს პარიზული კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ** განაცხადა, რომ, შესაძლოა, მომავალში კლუბის ფორმა კრიშტიანო რონალდომ მოირგოს.

ფრანგი ჟურნალისტების პირდაპირ კითხვაზე, პორტუგალიელმა ფეხბურთელმა შემდეგი განაცხადა:

*„პარი სენ-ჟერმენი"? ჩემი კონტრაქტი „რეალთან" 2015 წლის ზაფხულამდეა. მინდა, რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო „სამეფო კლუბთან" ერთად. მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ასე რომ, არაფერს გამოვრიცხავ".*

### „ბარსამ" ტიტო ისევ დაკარგა


ტიტო ვილანოვა დერბის დროს

როგორც ჩანს, **ტიტო ვილანოვას** ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს - ესპანური პრესის ცნობით, 44 წლის სპეციალისტი ალბათ 6 კვირას გამოტოვებს. ტიტო ამერიკაში გაემგზავრა, რათა ნიუ იორკში დამატებითი გამოკვლევა გაელო ყელ-ყურის სიმსივნის პოსტოპერაციულ რეაბილიტაციაზე.

საქმე არც ისე სახარბიელოდაა - ტიტოს დამატებითი კურსი ესაჭიროება, რომელმაც შესაძლოა, თვენახევარი გასტანოს.

შეგახსენებთ, რომ ტიტო ვილანოვამ 20 დეკემბერს სიმსივნეზე ხელმეორე ოპერაცია გაიკეთა, თუმცა კატალონიური დერბის დროს ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

### დელ ბოსკემ გადაწყვიტა: მიჩუ ურუგვაის შეუტევს


მიგელ მიჩუ პრემიერლიგის სენსაციად იქცა

**ვისენტე დელ ბოსკე** აგრძელებს ნაკრებისთვის „ახალი სისხლის" ძებნის კამპანიას. ის და მისი თანაშემწეები ინგლისის ჩემპიონატს აკვირდებიან, სადაც რამდენიმე ფეხბურთელი შეარჩიეს კიდევაც.

„მარკა" იუწყება, რომ ერთი გადაწყვეტილება დელ ბოსკემ უკვე მიიღო: „სუონსის" ახალწვეული, 26 წლის **მიგელ მიჩუ** სანაკრებო კაცია და მას უახლოეს მატჩში, ურუგვაისთან ამხანაგურ შეხვედრაში გამოცდის კიდევაც.

ურუგვაისთან თამაში 6 თებერვალს დოჰაში გაიმართება. ეს ბრწყინვალე შანსი იქნება „რაიო ვალეკანოს" ყოფილი წევრისთვის, რომელიც პრემიერლიგაში ყველასთვის მოულოდნელად ბრწყინავს (13 გოლი სეზონში).

დელ ბოსკეს ნაკრებში ყველაზე მეტად მარჯვენა მცველის პოზიცია ადარდებს. ამიტომაც მწვრთნელთა შტაბი **სესარ ასპილიკუეტას** (ჩელსი) და **ანხელ რანხელსაც** (სუონსი) აკვირდება.

### მანჩესტერი მეორე დავიდ დე ხეას ყიდულობს


დავიდ ხილი

„მანჩესტერ იუნაიტედი" ახალი მეკარის ძიებაშია, რომელიც **დავიდ დე ხეას** შემცვლელი იქნება. ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა ძველ, გაკაფულ გზას დაადგა: ისევ მადრიდის „ატლეტიკოს" მეკარე მოეწონა, საუბარია **დავიდ ხილზე.**

**მარტინ ფერგიუსონი,** სერ **ალექს ფერგიუსონის** ძმა ესპანეთში კლუბისთვის სკაუტობს და სწორედ მან შეამჩნია დავიდ ხილი. ის „ატლეტიკოს" სარეზერვო გუნდში თამაშობს და ესპანეთის 16, 18 და 20-წლამდელთა ნაკრებებში უთამაშია. დავიდ ხილი ახლახან შესრულდა 19 წლის.

### 2005 წელს მესი პსვ-ში გადადიოდა

„პსვ ეინდჰოვენის" ყოფილი პრეზიდენტი **რობ ვესტერჰოფი** ამტკიცებს, რომ 2005 წელს პსვ-ს ლიონელ მესის იჯარით აყვანის უნიკალური შანსი ჰქონდა და ახლოსაც იყო „ოქროს ბურთის" 4-გზის მფლობელის აყვანასთან.

*„ეს მოხდა 2005 წლის გაზაფხულზე, როცა კარგი ურთიერთობა მქონდა „ბარსელონას" პრეზიდენტ ჟოან ლაპორტასთან. ჯ-14-ის მორიგი სხდომა იყო, სადაც ლაპორტა ჩემთან მოვიდა და მესიზე დამელაპარაკა. ის თანახმა იყო მესი იჯარით დაეთმო ჩვენთვის, რადგან მაშინდელი კანონები ლეოს თამაშში ხელს უშლიდნენ. ჩვენ კლუბში განვიხილეთ ეს წინადადება - ყველა მომხრე იყო. მაგრამ შემდეგ დარეკა ლაპორტამ და მითხრა, რომ ტექნიკური პერსონალი წინააღმდეგი წავიდა. ჩემი აზრით, ეს ფრენკ რაიკაარდი იყო",* - განაცხადა ვესტერჰოფმა.

### ფლორენტინო ისევ პოპულარულია


ფლორენტინო პერესი

მადრიდის „რეალის" კლუბის წევრთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ პრეზიდენტ ფლორენტინო პერესს კვლავ უჭერენ მხარს. ფლორენტინომ კლუბის მენეჯმენტში და ორგანიზაციაში 7,37 ქულა მიიღო (ათი შესაძლებლიდან). ეს ჯერ კიდევ კარგი „ნიშანია", თუმცა ორი წლის წინათ, 2011 წლის მარტში ფლორენტინომ 8-იანი დაიმსახურა.

კლუბის წევრთა 70,2% მიიჩნევს, რომ არჩევნებზე კვლავ პერესს დაუჭერს მხარს და მხოლოდ 16,5%-ია მისი წინააღმდეგი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

დორტმუნდი

# გიოტცე კარიერის ბოლომდე ბორუსიაში?

## მარიო დორტმუნდში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში

გერმანული ფეხბურთის ახალგაზრდა ვარსკვლავი **მარიო გიოტცე** კარიერის ბოლომდე დორტმუნდის „ბორუსიაში" დარჩენას არ გამორიცხავს. *„სავსებით რეალურია ის, რომ კარიერის დამთავრებამდე დორტმუნდში ვითამაშო. ამ ქალაქში გავიზარდე და თავს ყველაზე კარგად სწორედ აქ ვგრძნობ. დორტმუნდში მყავს უახლოესი მეგობრები და ოჯახიც. ესეც რომ არ იყოს, „ბორუსია" ბრწყინვალე გუნდია,"* - განუცხადა 20 წლის გიოტცემ ჩვენს გერმანელ კოლეგებს ლა მანგაში, სადაც გერმანიის ჩემპიონი სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადის.

თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარიო აუცილებლად ასე მოიქცევა. *„ჩემს კონტრაქტს ვადა 2016 წლამდე აქვს და შესაბამისად, არ მაქვს საამისო მიზეზი, რომ სხვა რამეზე ვიფიქრო. დავრჩები თუ არა დორტმუნდში კარიერის ბოლომდე, ამას დრო მიჩვენებს,"* - დასძინა გიოტცემ.

მისი თქმით, „ბორუსიას" მიზანი ბუნდესლიგის მეორე წრეში რაც შეიძლება ბევრი ქულის აღება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება იქნება, გერმანიის ჩემპიონობაზე კი, „ბაიერნის" სოლიდური უპირატესობის გამო აღარ ფიქრობს.

შეგახსენებთ, რომ მარიო გიოტცე „დორტმუნდში" 9 წლის ასაკიდან თამაშობს. ბუნდესლიგაში მან „ბორუსიას" ფორმით უკვე 70 მატჩის ჩატარება მოასწრო (18 გოლი). ამ სეზონში მარიოს ანგარიშზე ბუნდესლიგაში 6 გოლია. ცნობილია, რომ მის გადაბირებაზე ბევრი ევროპული სუპერგრანდი ოცნებობს.

**გოტფრიდ ლენცი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვესლი გალას მიუახლოვდა!

## ინტერი გალათასარაის შეუთანხმდა, რას იტყვის თავად სნეიდერი?


გადავა სნეიდერი გალათასარაიში?

ჰოლანდიის ნაკრების გამთამაშებლის, **ვესლი სნეიდერის** მილანის „ინტერიდან" „გალათასარაიში" ტრანსფერი უფრო რეალური გახდა. მილანური გრანდის პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** დაადასტურა, რომ თურქულმა გრანდმა „ნერაძურის" ოფიციალური შეთავაზებით მიმართა და „ინტერი" და „გალა" უკვე მორიგებულები არიან. შესაბამისად, ახლა ჯერი თავად ფეხბურთელზეა! თუმცა მორატიმ იქვე დასძინა, რომ სნეიდერს „ინტერში" დარჩენაც შეუძლია - თუკი იმ პირობებს დათანხმდება, სადაც ერთ-ერთ პუნქტად ხელფასის შემცირებაა ჩადებული.

*„გალათასარაიმ" მისაღები წინადადებით მოგვმართა. ახლა ყველაფერი თავად ვესლიზეა დამოკიდებული. ბოლო სიტყვა მან უნდა თქვას,"* - უთხრა მორატიმ ჩვენს იტალიელ კოლეგებს.

ოფიციალურად უცნობია, რა თანხა შესთავაზეს თურქებმა მილანელებს, იქაური გაზეთი „მილიეთი" კი წერს, რომ „გალა" მზადაა, 28 წლის ჰოლანდიელს წელიწადში 6 მილიონი ევრო (ბონუსების გარეშე) უხადოს. იტალიური მედია ირწმუნება, რომ ჰოლანდიელს პრემიერლიგაში გადასვლა ურჩევნია და ინგლისური კლუბებისგან წინადადებებს ელის.

შეგახსენებთ, რომ ვესლი სნეიდერი „ინტერში" 2009 წლიდან თამაშობს და მას მერე „ნერაძურის" ფორმით ჩატარებულ 76 შეხვედრაში 13 გოლი გაიტანა. „ინტერთან" მას კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული. „ტრანსფერმარკტზე" სნეიდერი 28 მილიონ ევროდაა შეფასებული...

**გოტფრიდ ლენცი**

# არნაუტოვიჩი ფენერბაჩეში?

## თურქები ვერდერს 15 მილიონს სთავაზობენ

თურქულ მედიაში გავრცელებული ცნობების თანახმად, რამდენიმე დღეში „ფენერბაჰჩე" ბრემენის „ვერდერს" ოფიციალური წინადადებით მიმართავს - თურქულ გრანდს „მუსიკოსების" ავსტრიელი თავდამსხმელი **მარკო არნაუტოვიჩი** აინტერესებს. არნაუტოვიჩმა ბუნდესლიგის პირველი წრე კარგად ჩაატარა და „ფენერის" ინტერესის სფეროში მოხვდა.

გაზეთ „ჰაბერთურქის" ცნობით, „ფენერის" მწვრთნელ **აიქუთ ქოჩამანს** არნაუტოვიჩი ძალიან მოსწონს და მასზე დაკვირვება ასისტენტ **თურგაი ალთაის** დაავალა და ამ უკანასკნელმა მას დაუდასტურა, რომ ავსტრიელში დიდი ფულის გადახდა ღირს. როგორც ირკვევა, ქოჩამანი არნაუტოვიჩზე დიდი ხანია ფიქრობს. „ფენერმა" სეზონის პირველი ნახევარი ჩააგდო და მეორე წრისთვის გუნდის გასაძლიერებლად ფული არ ენანება. ცნობილია, რომ „ფენერბაჰჩეს" „მონპელიეს" წინახაზელ ბელჰანდას გადაბირებაც უნდა. რაც შეეხება არნაუტოვიჩს: „ფენერი" მზადაა, ავსტრიელში 15 მილიონი ევრო გადაიხადოს.

**გოტფრიდ ლენცი**

ჭადრაკი


დავით ბენიძე

# გამარჯვება მესამე ტურში

საერთაშორისო ოსტატმა **შოთა აზალაძემ** ანდრანიკ მარგარიანის მემორიალში, რომელსაც ერევანი მასპინძლობს, პირველი გამარჯვება იზეიმა.

ასპარეზობის მე-3 ტურში მან თეთრი ფიგურებით ჩეხ საერთაშორისო ოსტატ შტეფან ჟილკას სძლია. **დავით ბენიძე** მასპინძელ ტიგრან ჰარიუთიუნიანს დაუზავდა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ანდრეი ბარიშპოლეცი (უკრაინა) - ლევონ ბაბუჯიანი (სომხეთი) 0:1, კარენ გრიგორიანი (სომხეთი) - ალექსეი გოგანოვი (რუსეთი) 1:0, ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი) - მარტინ კრავცივი (უკრაინა) 0:1.

გუშინვე მე-4 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა. ქართველთაგან ამჯერად ბენიძემ იყოჩაღა, რომელმაც შავი ფიგურებით აჯობა ჟილკას, აზალაძე კი ერთპიროვნულ ლიდერ კრავცივთან დამარცხდა. გოგანოვმა და ბარიშპოლეცმა, შესაბამისად, გაბუზიანსა და გრიგორიანს მოუგეს. ბაბუჯიანისა და ჰარუთიუნიანის შეხვედრა ყაიმით დასრულდა.

ოთხი ტურის შემდეგ: კრავცივი - 3, გრიგორიანი, ჰარუთიუნიანი, გოგანოვი, ბენიძე - 2.5-2.5, ბარიშპოლეცი, ბაბუჯიანი - 2-2, აზალაძე - 1.5, გაბუზიანი - 1, ჟილკა - 0,5 ქულა.

დღეს მე-5 ტურში ითამაშებენ: ბაბუჯიანი - ჟილკა, კრავცივი - ჰარუთიუნიანი, გოგანოვი - ბენიძე, ბარიშპოლეცი - აზალაძე, გრიგორიანი - გაბუზიანი.

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# დაძაბულობამ იმატა

ჩემპიონთა ლიგის შესარჩევი ტურნირი რაც უფრო უახლოვდება ფინიშს, წყალბურთელ ვაჟთა გუნდების შეხვედრებში დაძაბულობა მატულობს. არც არის გასაკვირი, რადგან წინასწარ ეტაპზე რაც უფრო მაღალ ადგილს დაიკავებ, პლეი ოფში მით უფრო სუსტი მეტოქე დაგიპირისპირდება.

A ჯგუფში, როგორც გაუწყეთ, „ლიგამუსი-თბილისისა" და ჰანოვერის „ვასპო-98"-ის მატჩი ფრედ - 6:6 დასრულდა. პირველი მარცხი განიცადა გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა საბერძნეთის „ვულიაგმენმა". ელადელთა ჩემპიონმა გასვლითი პაექრობა უნგრეთის „ეგერთან" ერთბურთიანი სხვაობით დათმო - 9:10 (2:3, 2:3, 4:2, 1:2). ლიდერის ამ ნაგებით ისარგებლა ვოლგოგრადის „სპარტაკმა", რომელმაც შინ ჰოლანდიის „შუურმანს" აჯობა 12:7 (3:1, 3:2, 2:1, 4:3) და ქულებით „ვულიაგმენს" გაუთანაბრდა.

დღეისთვის A ჯგუფში ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: „ვულიაგმენი" - 18 (92:39), „სპარტაკი" - 18 (81:44), „ეგერი" - 12 (71:45), „შუურმანი" - 6 (45:83), „ვასპო-98" - 4 (33:75), „ლიგამუსი-თბილისი" - 1 (36:72).

**23 იანვარს** ითამაშებენ: „სპარტაკი" - „ლიგამუსი-თბილისი", „ვასპო-98" - „ეგერი", „შუურმანი" - „ვულიაგმენი".

**B ჯგუფი.** „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი) - „ოლიამპიაკოსი" (საბერძნეთი) 11:9, „დუბროვნიკი" (ხორვატია) - „მონპელიე" (საფრანგეთი) 17:5.

„დუბროვნიკი" - 18 (89:30), „ცრვენა ზვეზდა - 9 (61:43), „ოლიმპიაკოსი" - 9 (54:50), „მონპელიე" - 6 (51:66), „კრეუზლინგენი" - 0 (33:99).

23 იანვარი. „მონპელიე" - „ცრვენა ზვეზდა", „კრეუზლინგენი" - „დუბროვნიკი".

**C ჯგუფი.** „სინთეზი" (ყაზანი) - „მარსელი" (საფრანგეთი) 11:9, „ბარსელონეტა" (ესპანეთი) - „ბრეშა" (იტალია) 9:7.

„ბარსელონეტა" - 15 (50:27), „სინთეზი" - 9 (61:57), „ვოივოდინა" - 6 (40:53), „ბრეშა" - 6 (52:55), „მარსელი" - 6 (52:63).

**23 იანვარი.** „მარსელი" - „ბარსელონეტა", „ვოივოდინა" - „სინთეზი".

**D ჯგუფი.** „პარტიზანი" (ბელგრადი) - „ბეტონი" (უნგრეთი) 8:6, „გალათასარაი" (თურქეთი) - „ორადეა" (რუმინეთი) 6:5.

„ბეტონი" - 15 (53:41), „პარტიზანი" - 10 (41:36), „გალათასარაი" - 7 (41:45), „ორადეა" - 6 (56:58), „შპანდაუ-04" - 3 (44:55).

**23 იანვარი.** „შპანდუა-04" - „გალათასარაი", „ორადეა" - „პარტიზანი".

**ვაჟა დანელია**



ჭიდაობა: პრობლემა

# მიგრაცია...

## ჩაკვეტაძეც თანაქალაქელთა გზაზე?

ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატში ქუთაისელი **დავით ჩაკვეტაძე** (84) რომ არ გამოსულა, ოპერატიულად ვწერდით. მაშინ დაგპირდით, რომ ამ ფაქტს ისევ მივუბრუნდებოდით და დღეს თემის გაგრძელებას გთავაზობთ.

დავით ჩაკვეტაძე ბოლო წლებში 84 კილოგრამში ძლიერ კონკურენციას ქმნიდა - უფროსებსა თუ ახალგაზრდებში უმედლოდ არასოდეს რჩებოდა. შარშან ახალგაზრდებში ქვეყნის ჩემპიონი გახდა, უფროსებში კი მესამეზე გავიდა. ამიტომ წლეულს მის გამოსვლას ერთგვარი ინტერესითაც ველოდით, თუმცა დედაქალაქში არ გამოჩენილა. როგორც ქუთაისელმა მწვრთნელებმა გვითხრეს, ის თურმე რუსეთის ნაკრებში აპირებს გადასვლას და წინასაახალწლოდ ანუ ჩვენი ქვეყნის პირველობის პარალელურად მოსკოვში ყოფილა წასული. ქუთაისელი მწვრთნელების თქმით, მისი წასვლის ძირითადი მიზეზი ფინანსური პრობლემებია - ვერ იღებდა სათანადო ანაზღაურებას, იქ კი გაცილებით მეტს შეჰპირებიან. პირობებზე გარიგება არ გაუჭირდებოდათ - ჩაკვეტაძეს ხომ მოსკოვში თანაქალაქელები, რუსეთის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გოგი კოლუაშვილის** და იმავე ნაკრების წევრი, ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **ამბაკო ვაჩაძე** დახვდებოდნენ.

იმედია, საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია სასწრაფო რეაგირებას მოახდენს თავისი სპორტსმენის დასაბრუნებლად, რადგან ჩაკვეტაძე სჭირდება საქართველოს ნაკრებს. ნუ დავიწყებთ იმის დათვლას, რამდენად ჰქონდა მას ეროვნულ გუნდში ლიდერობის შანსი, ვინ სჯობდა ან პირიქით, ვის უგებდა ახალგაზრდულ ნაკრებში - ამ ბიჭმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ სავსებით სამართლიანად აცხადებდა პრეტენზიას, კონკურენცია კი ჰაერივით სჭირდება ნებისმიერ წონას, ნებისმიერ ფალავანს. სკეპტიკოსებს შევახსენებ, რომ თავის დროზე **მანუჩარ კვირკველია** საერთოდ ვერ ხვდებოდა ახალგაზრდულ ნაკრებში, ხოლო **რამაზ ნოზაძეს** ბოლო შანსი მისცეს, საბოლოოდ კი რა მწვერვალები დაიპყრეს ერთმაც და მეორემაც, კარგად მოგეხსენებათ. ჩაკვეტაძის შემთხვევაში გორელი „თავისუფალი" **ცოტნე ბარამიძეც** გვახსენდება, რომელიც ჯერ ყაზახეთში წავიდა, მაგრამ იქაურ ნაკრებში დამკვიდრება ვერ შეძლო, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის წესებით კი, რომელიც მოქალაქეობის შეცვლის უფლებას მხოლოდ ერთხელ იძლევა, ვერც საქართველოს ნაკრებში დაბრუნდა, ვერც სხვაგან გადავიდა და მისი ნიჭი შედარებით დაბალხარისხოვან შეჯიბრებებში იფლანგება.

ნამდვილად არ გვინდა, ჩაკვეტაძეს იგივე ბედი ეწიოს.

### უფულო სათადარიგოები

სამწუხაროდ და სავალალოდ, ფინანსური პრობლემა, კონკრეტულად კი სათადარიგო ათლეტთა სოციალური დაცვა, მთელი სიმწვავით დგას ქართული სპორტის წინაშე. იყო დრო, როცა ჩვენში ყველას ერთნაირად უჭირდა - ლიდერსაც და მის კონკურენტსაც, მოგვიანებით პრობლემა კი გამოსწორდა, მაგრამ რაღაც მახინჯი ფორმით - დაფინანსების მთელი სიმძიმე პირველ ნომერზე გადავიდა, დანარჩენებისა კი ოდნავ თუ გამოსწორდა. ცხადია, სპორტის ყველა აქამდელი მმართველი მოგვედავება და გვეტყვის, რომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ სათადარიგოთა სოციალური დაცვისთვის, მაგრამ ფაქტია - ქართული სპორტი თავკომბალას ჰგავს, სადაც ლიდერის ანაზღაურება აიწონის ყველა დანარჩენისას. გვესმის, რომ ხელფას-პრემიები წარმატებების ანალოგიური უნდა იყოს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კარგი კვება იმ სარეზერვოსაც სჭირდება, რათა მან ღირსეული სპარინგ-პარტნიორობა

>> მე-11 გვერდზე



« მე-10 გვერდიდან

გაუწიოს ლიდერს; რათა შეძლოს და მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად მოამზადოს პირველი ნომერი. შედეგების კლების ერთ-ერთ მიზეზად ხეირიანი სპარინგების ნაკლებობაც მიგვაჩნია. ვიდრე ახალგაზრდები არიან ან ძალიან მაღალ შედეგებზე არ გასულან, ანაზღაურებაში დიფერენცირება იმდენად არ ჩანს ხოლმე, რადგან ლიდერთა შედარებით დაბალი მოთხოვნებისთვის მომზადებას სარეზერვოები ამ პირობებშიც ახერხებენ - მათაც შედარებით ცოტა სჭირდებათ, მაგრამ, როცა ლაპარაკი ევროპისა და მით უფრო - მსოფლიოს ან ოლიმპიურ ჩემპიონობაზეა, აი, მაშინ იჩენს თავს ფინანსური განსხვავება. ახალს არაფერს ვიტყვით, რომ მაღალ შედეგს მაღალ დონეზე კვება, სათანადო

**ფინანსური პრობლემა, კონკრეტულად კი სათადარიგო ათლეტთა სოციალური დაცვა, მთელი სიმწვავით დგას ქართული სპორტის წინაშე**

ვარჯიშები, სპეციალური მომზადება სჭირდება, მშიერი სათადარიგო კი ლიდერს ამ დონის სპარინგს ვერ გაუწევს. ამიტომაა აუცილებელი, რომ ხელფასით ორივე უზრუნველვყოთ. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ახლაც ასეა და ვისაც ყოფილი საბჭოთა კავშირი ახსოვს, იქ ნაკრებში ყოველ წონაში 5-6 კაცი შედიოდა, რომლებიც ჩვეულებრივ ხელფასს იღებდნენ. ბუნებრივია, განსხვავება იქაც იყო, მაგრამ არა ასეთი. ახლანდელი რეალობისგან განსხვავებით, ეს ლიდერთა მთელ სარეზერვო გუნდს მოგვცემს, რომელიც ლიდერის ტრავმის შემთხვევაში მუდამ სათანადო დონეზე იქნება მზად ნებისმიერ ტურნირში საჭიდაოდ. ახლანდელი რეალობით პირველი ნომერი რომ დაშავდეს, მის შემცვლელს მოვალეობის მოსახდელად თუ წავიყვანთ, იმხელა სხვაობაა ლიდერსა და დანარჩენებს შორის. ცხადია, ახლებური მიდგომა კონკურენციასაც გააჩენს, რაც მყისვე დადებითად აისახება შედეგზე. თან ფსიქოლოგიური მომენტიცაა - როცა სათადარიგო მოჭიდავე აქ იღებს 300-400 ლარს (ბევრ სახეობაში ესეც სანატრელია), ხოლო უცხოეთში 3-4-ჯერ მეტის შანსი აქვს, ყოველთვის ეცდება წასვლას.

უცხოეთში ამ პრობლემას დიდწილად საკლუბო ან მუნიციპალური დაფინანსება აგვარებს, ამგვარი რამ კი, სამწუხაროდ, ქართული მენტალიტეტისთვის დღემდე მიუღებელია.

### შიდა მიგრაცია

ჩაკვეტაძეზე საუბრისას ქუთაისელებმა ერთი საგულისხმო ფაქტიც მითხრეს - ჩვენი უმცროსი ასაკის მოჭიდავეთა ნაწილი ბათუმში აპირებს სავარჯიშოდ გადასვლას, სადაც ხელფასებთან ერთად პრემიებსაც შეპირდნენო... მათი თქმით, ქუთაისი ხელფასს კი უხდის ამ ბავშვებს, მაგრამ წარმატების მიღწევის შემთხვევაში პრემიებს ვერ აძლევს, რისთვისაც ბათუმი მზადაა. ბათუმელთა ნიადაგზე ერთგვარი შიდა მიგრაცია აქამდეც შეინიშნებოდა, თუმცა ჯერ მხოლოდ ოზურგეთელთა ხარჯზე, ახლა კი ამას, შეიძლება, ქუთაისიც დაემატოს...

ბუნებრივია, ბათუმელთა საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს - ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ და საკმაოდ მაღალ დონეზეც. მათ სასახელოდ ისიც მეტყველებს, რომ შექმნეს ისეთი სისტემა, რაც სხვებისთვისაც მიმზიდველია და საკუთრივ მათთვის შედეგიც მოაქვს. ამისთვის მათ მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, მაგრამ გაგვკვირვებია სხვა ქალაქების თუ რაიონებისა, სადაც საკუთარ სპორტსმენებს ასე არ აფასებენ და იოლად ელევიან... ვფიქრობ, ოზურგეთს არ უნდა გაუჭირდეს თავისი წარმატებული სპორტსმენების ადგილზე დამაგრება და იმ სკოლის სახელის ეჭვქვეშ დაყენება, რომელმაც მხოლოდ ბოლო წლებში იგივე კვირკველია, **რევაზ ჭელიძე, ლაშა ლომაძე** და კიდევ არაერთი წარმატებული სპორტსმენი გამოზარდა. ძალიან ბევრი იქაური დღესაც აჭარის სახელით გამოდის, რაც საერთო საქმისთვის ცუდი არაა, მაგრამ ოზურგეთისთვის არა გვგონია, საამაყო იყოს. ძალიან ცუდი, თუ ამ სიტყვების გამეორება ქუთაისის მისამართითაც მოგვიწევს.

ვერ დავიჯერებთ, რომ წარმატების შემთხვევაში რომელიმე ქალაქს ერთი პრემიის გაცემის საშუალება არ ჰქონდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან სპორტი ჯერ კიდევ არ განიხილება პრესტიჟულ სოციალურ სფეროდ. მაგალითად, იგივე რაიონები ბევრად უფრო მეტი ხალისით დააფინანსებენ სასწავლო ოლიმპიადებზე წამსვლელ იმავე ასაკის მოსწავლეთა გუნდებს, ვიდრე - სპორტულებს. ვერ დავიჯერებთ, რომ თავის დროზე დმანისის გამგეობამ სახსრები ვერ გამოძებნა, რომ ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიოს პირველობაზე გამარჯვებისათვის **სლავა რეზესიძის** წარმატება როგორმე აღენიშნათ - როგორც სამბოს ფედერაციისგან ვიცი, მსგავსი არაფერი მომხდარა. ან რატომ არ უნდა აფინანსებდეს ასპინძა მშვილდოსან **სანდრო აზნაურიძეს?** თუმცა რამდენადაც ვიცი, ასპინძა კი ეხმარება მას და იქნებ ეს საყვედური არ ეკუთვნის, უბრალოდ, ზოგადად ვამბობ, რომ ამ რანგის სპორტსმენის დახმარება ნებისმიერი რაიონის ხელმძღვანელობის პრეროგატივა უნდა იყოს. ალალად ვთქვათ - განა რომელიმე რაიონს და ბევრ სხვასაც რა შანსი აქვს, ცენტრალური პრესის ფურცლებზე მოხვდეს? მაქსიმუმ - კრიმინალურ ქრონიკაში მოხვდნენ, რაც არა მგონია, მათთვის საამაყო იყოს, აი, სპორტი კი სულ სხვაა.

**ირაკლი თავაძე**

● ჩვენ და სპორტის ოლიმპიური სახეობები

# ფარიკაობა

საქართველოში ფარიკაობის ხელოვნებას უძველესი დროიდან იცნობდნენ და უმთავრესად სამხედრო საქმეში იყენებდნენ. ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი ფარიკაობის ორიგინალური სტილი, რომელიც გამოირჩევა პირდაპირი საბრძოლო დგომით, შეტევითი და თავდაცვითი ილეთების მრავალფეროვნებით, ფარით და ხმლით მოქმედების სინქრონულობით. ხევსურულისგან არსებითად განსხვავებულია ე.წ. კლასიკური ფარიკაობა. საქართველოში ფარიკაობის სასწავლო ჯგუფი XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოაყალიბა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ავსტრიელმა პედაგოგმა, რუსეთის ქვეშევრდომმა რუდოლფ ვაისმა. 1887 წელს ფარიკაობას თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეებიც გაეცნენ, 1894 წელს კი გადამდგარმა ოფიცერმა პეტრე სალტიკოვმა თბილისში დააარსა ფარიკაობის მოყვარულთა პირველი წრე. მანვე კომერციული მიზნით 1900 წელს გახსნა საფარიკაო დარბაზი. მოგვიანებით თბილისს კიდევ ერთი დარბაზი შეემატა. აქ ძირითადად ვარჯიშობდა ოფიცრობა და საზოგადოების შეძლებული ფენა, რომელთა მიზანი იყო გართობა და არა შეჯიბრებებში მონაწილეობა.

საქართველოს მოფარიკავეები სსრკ ჩემპიონატში 1944 წელს ჩაებნენ, პირველი ოქროს მედლები კი 1948 წელს მოიპოვეს (დაშნა, გუნდური -გიგა ერისთავი; ხმალი, გუნდური - ალექსანდრე ბათმანოვი). 1945 წელს საკავშირო ჩემპიონატი თბილისში ჩატარდა. ხმლით მოფარიკავეთა პირადი ტურნირი თბილისელმა ალექსანდრე ადაროვმა მოიგო. სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველებმა შეასრულეს კაცებში ოთარ დიდებულიძემ და ბორის ბონდარევმა (1941), ქალებში - იზოლდა ესაიშვილმა (1958).

1950-იან წლებში თბილისში რამდენიმე საფარიკაო ცენტრი შეიქმნა, მათ შორის - არმიის სპორტულ კლუბში, სპორტსაზოგადოება „დინამოში", ფიზკულტურის ინსტიტუტში. აქ მუშაობდნენ შემდგომში სახელოვანი მწვრთნელები - ლევ გოლოვნია, აკაკი მეიფარიანი, ანატოლი ფიოდოროვი. ფარიკაობამ ფეხი მოიკიდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, გაგრაში, ზესტაფონში, რუსთავში, გაიხსნა სპეციალიზებული სპორტული სკოლა და ფარიკაობის ჯგუფები კომპლექსურ სპორტულ სკოლებში. ფარიკაობის მიმდევართა წრე ისე გაფართოვდა, რომ ოსტატის ნორმატივს ყოველწლიურად 10-15 სპორტსმენი ასრულებდა. მათგან საუკეთესოებს სსრკ ნაკრებში იწვევდნენ. ამ გუნდის შემადგენლობაში პირველ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია დაშნით მოფარიკავე გურამ კოსტავამ, რომელმაც 1959 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ორი წლის შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ქართველთაგან პირველმა ასევე კოსტავამ მიიღო ოლიმპიური მედალიც (ბრინჯაო. რომი, 1960), ოლიმპიური ჩემპიონობა კი ნუგზარ ასათიანმა დაიმსახურა (ტოკიო, 1964, ხმალი, გუნდური).

1960-იანი წლები ყველაზე წარმატებული გამოდგა ქართული ფარიკაობისთვის. გარდა კოსტავასი და ასათიანისა, მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს იური ოსიპოვმა, რევაზ ცირეკიძემ, მორის სახვაძემ, გურამ ლორთქიფანიძემ, ძმებმა გიორგი, კოტე და არჩილ გოგელიებმა. ამ თაობის მოფარიკავეებს ავარჯიშებდნენ საქვეყნოდ ცნობილი მწვრთნელები: ტრიფონ მესხი, სიმონ საყვარელიძე, შოთა დარასელია. მოგვიანებით, უმაღლესი სპორტული ტიტულები დაიმსახურა რაპირისტმა ვლადიმერ აფციაურმა (მწვრთნელები - მალხაზ გაბუნია, სიმონ აჯიმამუდოვი). მან სსრკ ნაკრებთან ერთად ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო (1982), შემდეგ კი სეულის 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ფარიკაობის განვითარება შეფერხდა და წარმატებებმაც იკლო. თუმცა ბოლო წლებში ახალგაზრდა მუშკეტერებმა სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს სამამულო სპორტის ისტორიაში: შარშანწინ მოხმალავე მიხეილ მარდალეიშვილმა კადეტთა მსოფლიოს პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა, შარშან ბექა ბაზაძემ 23-წლამდელთა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო სანდრო ბაზაძემ მსოფილოს და ევროპის თასების გათამაშების რამდენიმე ეტაპი მოიგო.



მარცხნიდან: კოტე გოგელია, გურამ კოსტავა, მურმან ასათიანი, რევაზ ცირეკიძე. 1957 წელი

**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია** დაფუძნდა 1991 წლის 27 ივნისს.

1992 წლის 7 ივნისიდან ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციისა (FIE) და ევროპის ფარიკაობის კავშირის (UEF) წევრია.

პრეზიდენტი: არჩილ გოგელია (1991 წლიდან).

● ცხენოსნობა



შალვა გაჩეჩილაძე

# ქართველი მხედარი მსოფლიოს თასის ფინალში

ქართველი მხედარი, თბილისელი **შალვა გაჩეჩილაძე** მსოფლიოში იმ 75 უძლიერესს შორის მოხვდა, რომლებიც წლეულს 24-28 აპრილს გეტებორგში მსოფლიო თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. ეს სასიხარულო ცნობა გუშინ ოფიციალურად მიიღეს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციიდან (ფეი) ჩვენს ეროვნულ ფედერაციაში.

შალვამ რთული გზა გაიარა ფინალამდე. მან არაერთხელ მოიგო კავკასიის ლიგა - თასის ეტაპი და დააგროვა მაღალი სარეიტინგო ქულები, ფეიმ კი იგი მსოფლიოში 2012 წლის ყველაზე მზარდ ახალგაზრდა პერსპექტიულ მხედრად დაასახელა. დავძენთ, რომ ჩვენმა სპორტსმენმა პირველად შარშან მოიპოვა მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლება, მაგრამ თბილისში გვიან მოვიდა შეტყობინება, ცხენოსნობა კი სპორტის ისეთი სახეობაა უამრავი პრობლემაა მოსაგვარებელი, განსაკუთრებით ეს ეხება ვეტერინარული მოთხოვნების მკაცრ დაცვას და უცხო ქვეყანაში ცხოველის, ამ შემთხვევაში ცხენის შეყვანის უფლების მოპოვებას, მის ტრანსპორტირებას, საერთო ხარჯების მოძიებას და ა.შ.

ახლა აპრილამდე დროა და ჩვენი ფედერაცია თადარიგიანად დაიწყებს მზადებას გეტებორგში ცხენ-მხედრის გასამგზავრებლად. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ეს იქნება პირველი შემთხვევა ცხენოსნობისა და, საერთოდ, საქართველოს სპორტის ისტორიაში, როცა ქართველი მხედარი ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაში იასპარეზებს.

**თორნიკე გაჩეჩილაძე**

● ჩოგბურთი

# ნახევარფინალში შეაჩერეს

თბილისელმა ჩოგბურთელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** ჩინური გუანჩჟოუს საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი) ასპარეზობა დაასრულა. ერთეულთა თანრიგში, როგორც გაუწყეთ, ძირითადი ბადის სტარტზევე დამარცხდა, წყვილებში კი ტაილანდელ ნოპავან ლერტჩეევაკარნთან ერთად ორი წრე გაიარა. გუშინ ნახევარფინალშიც ჩინელთა დუეტს (ჩენ ლიანი - შენ-ხან სუნი) პირველი ხელი 6:4 მოუგო და გადამწყვეტ შეხვედრამდეც არაფერი რჩებოდა, მაგრამ მასპინძლებმა მობილიზება შეძლეს - მეორე სეტში 6:1 სძლიეს ქართულ-ტაილანდურ ტანდემს, ტაიბრეიკებში კი 10:6 იმარჯვეს და ფინალში გავიდნენ.

■ ■ ■

ანთალიაში 10.000-იანი ტურნირის წყვილთა პაექრობას შემორჩა **სოფიო ქვაცაბაია,** რომელიც უკრაინელ მარია ზაკარლიუკთან ერთად მე-4 ნომრადაა განთესილი. პირველი შეხვედრა მათ გერმანელ კლიმოვას და რუმინელ პოსირკას მოუგეს, მეორე წრეში ჰოლანდიელ მარით ბოონსტრასა და უკრაინელ ტაისია ზაკარლიუკთან გაარკვევენ ურთიერთობას. ამ შეჯიბრების შემდეგ ქვაცაბაია ანთალიაშივე დარჩება და მორიგი 10.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში, ალბათ, მე-5 ნომრად იქნება განთესილი.



სოფიო ქვაცაბაია

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

● ინტერვიუ დავით ხინჩაგიშვილთან

# დამაჯერებლად და ლამაზი ბურთაობით უნდა ვძლიოთ

**საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ხინჩაგიშვილი ქართულ რაგბიში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. მუდამ თავმდაბალი, უპრეტენზიოდ ასრულებს მწვრთნელების მითითებას. უბრალო და უშუალო ურთიერთობაში, რადიკალურად უკომპრომისო და დაუნდობელია თამაშისას. მისი ყველაზე გამოკვეთილი დადებითი თვისებები დაცვაში შესანიშნავი თამაში და შერკინებაში შეუდრეკელი დგომაა.**



ირაკლი ნატრიაშვილი, დავით ხინჩაგიშვილი და ვასილ კაკოვინი

ხინჩაგიშვილი, ამჟამად საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის „ბრივში" თამაშობს, რომელიც პირველი დივიზიონიდან შარშან დაქვეითდა. თუმცა ცოტა ხნის წინათ ფრანგულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომავალი სეზონიდან პირველდივიზიონელ „მეტრო რასინგში" გადაბარგდება. დათოს საფრანგეთში დავუკავშირდით და საუბარი სწორედ ამ ტრანსფერის თემით დავიწყეთ.

- „მეტრო რასინგში" ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის დასრულების შემდეგ უნდა გადავსულიყავი. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ამ პარიზულ კლუბს ჩემს პოზიციაზე საკმარისი რაოდენობის მოთამაშე ჰყავდა. ერთ-ერთი მათგანი ასაკოვანი იყო და, ფაქტობრივად, თამაშიც არ უწევდა, მაგრამ კონტრაქტით კიდევ ერთი წელიწადი უნდა ყოფილიყო გუნდში. ამიტომ, მითხრეს, ეს სეზონი „ბრივში" ითამაშე და მომავალი წლისთვის აუცილებლად აგიყვანთო. ასეც მოვიქეცი და დიდი ხანი არ არის, რაც „მეტრო რასინგთან" ახალი კონტრაქტი გავაფორმე. ასე რომ, მომავალი სეზონიდან ისევ პირველ დივიზიონში ვითამაშებ.

**- ახლა შუა სეზონია. რა მდგომარეობაშია ამჟამად „ბრივი", შეძლებს ის ელიტაში დაბრუნებას?**

- ელიტაში დაბრუნება ძალიან ძნელი იქნება. მეორე წრეში ცოტა გაგვიჭირდა, მარტო ჩვენ არა, ყველა გუნდს უჭირს. ჩვენი მიზანია, სულ მცირე, მესამე ადგილზე გავიდეთ, რათა პლეი ოფში შინ ვითამაშოთ. რატომაც არა, კარგი გუნდი გვყავს თუ თამაშის ეს დონე შევინარჩუნეთ, ყველაფერი შესაძლებელია.

**- შარშან პირველი დივიზიონის დატოვების შემდეგ გუნდი რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. მეორე დივიზიონში გადაბარგების გამო პირობები ხომ არ გაუარესებულა?**

- არა, კლუბის ბიუჯეტი მცირედით კი შემცირდა, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია მოთამაშეთა ხელფასებზე. შარშან წლიური ბიუჯეტი 13 მილიონი ევრო იყო, ახლა 9 მილიონია და ამ მაჩვენებლით მეორე დივიზიონში მეორე ადგილზე ვართ. ჩვენზე მეტი მხოლოდ „ლიონს" აქვს. ასე რომ, ამ მხრივ პრობლემები არ შეგვქმნია. აი, წლეულს თუ პირველ დივიზიონში დაბრუნება ვერ შევძელით, მომავალი სეზონისთვის კლუბის ხელმძღვანელებს ამოდენა თანხის მოზიდვა ძალიან გაუჭირდებათ.

**- „ბრივი" ერთ-ერთი უძველესი, მდიდარი ტრადიციების გუნდია. წესით, ის ასეთ მდგომარეობაში არ უნდა იყოს...**

- გეთანხმებით, „ბრივს" მართლაც დიდი ტრადიციები და დიდი ისტორია გააჩნია. მის ტიტულებში „ჰაინეკენის თასის" მფლობელობაც კია. ბრივიდან ორასი კილომეტრის რადიუსში მასზე დიდი სარაგბო კლუბი არ არის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის წამყვანი გუნდია. რაგბი ძალიან პოპულარულია და რეგიონში სხვა სახეობებს, ფეხბურთს, კალათბურთს არც მისდევენ. სამწუხაროდ, დიდი ფინანსების მოზიდვა უჭირთ, რადგან ბრივი ინდუსტრიული ცენტრი არ არის. აქ ძირითადად სოფლის მეურნეობით არიან დაკავებული.

რამდენიმე წლის წინათ, როცა „ბრივში" გადმოვედი, ძალიან კარგი გუნდი შეკრიბეს. მაღალი დონის მორაგბეები მოიწვიეს. გუნდების სიებისთვის რომ გადაგეხედათ, ჩვენზე სოლიდურად მხოლოდ „ტულუზი" გამოიყურებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მწვრთნელი გვყავდა სუსტი. ვერაფრით შეძლო თამაშის დალაგება. პირველი დივიზიონი რომ დავტოვეთ, ყველა, ვინც „ბრივს" გამოეთხოვა, საფრანგეთის წამყვან გუნდებში გადავიდა.

**- ბოლო მატჩებში არ გითამაშიათ, რა არის ამის მიზეზი?**

- მხარი მქონდა დაშავებული. ახლა ყველაფერი წესრიგშია. ვარჯიში ერთი კვირაა, რაც დავიწყე და მომავალ უქმეებზე ვითამაშებ კიდეც.

**- „ბრივში" თქვენ გარდა კიდევ ორი ქართველი, ირაკლი ნატრიაშვილი და გოდერძი შველიძე თამაშობს. დიდხანს აპირებენ ამ გუნდში დარჩენას?**

- დარჩება თუ არა ირაკლი „ბრივში", ძნელი სათქმელია. მას სოლიდურ ინგლისურ გუნდში თამაშის შანსი გაუჩნდა და თუ გამოუვიდა იქ გადასვლა, ძალიან კარგი იქნება. გოდერძის კი უკვე შესთავაზეს „ბრივის" ხელმძღვანელებმა კიდევ ერთი წლით დარჩენა და მომავალი კვირის ბოლოს კონტრაქტის პირობებზე მოილაპარაკებენ.



**- როგორ ხედავთ, თქვენს კარიერას მომავალ გუნდში, პარიზულ „მეტრო რასინგში"?**

- გუნდს რომ იცვლი, ერთი მხრივ ცუდია. ერთსა და იმავე გუნდში რამდენიმე წელიწადი რომ თამაშობ, თავს დაცულად გრძნობ, გუნდში შენი ადგილი გაქვს. ახალ გუნდში რომ მიდიხარ, ყველაფერი თავიდან გაქვს დასაწყები, კვლავ უნდა დაამტკიცო, რომ თამაშის ღირსი ხარ.

„მეტრო რასინგში" რომ გადავალ ჩემს პოზიციაზე სამი-ოთხი ერთმანეთზე უკეთესი მოთამაშე დამხვდება. დიდი კონკურენციაა. ამას რომ გაუძლო და გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი მოიპოვო, მეტი გარჯა, მეტი მონდომება იქნება საჭირო. ამ მხრივ კარგია, რადგან ამას პროგრესი მოჰყვება. ამის დასტურად ვასილ კაკოვინის მაგალითი შეიძლება მოვიყვანო. ის „ბრივიდან" „ტულუზში" გადავიდა და სწორადაც მოიქცა. აქ რომ დარჩენილიყო, პროგრესი არ ექნებოდა. იმ გუნდში კი, სადაც ლამის ყველა მორაგბე მსოფლიო დონის ვარსკვლავია, მეტი შრომა დასჭირდა საკუთარ თავზე და შედეგიც აშკარაა.

**- მოდით, ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. ნოემბერში ჩვენმა გუნდმა ორი ტესტმატჩი ითამაშა და ორივეში დამარცხდა. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?**

- მარცხი, ცხადია, კარგი არ არის, მაგრამ თვითონ ასეთი მაღალი დონის გუნდებთან თამაშის ფაქტს პოზიტიურად ვაფასებ. მეტსაც გეტყვით, იაპონიის ნაკრებთან ჩვენ მსაჯმა წაგვაგებინა. მან რამდენჯერმე არ დააჯარიმა იაპონელები შერკინებისას. ხოლო, რაც მატჩის ბოლო წამებზე მოხდა, იმის ახსნა უკვე შეუძლებელია.

ასეთი მაღალი დონის გუნდებს ხშირად უნდა ვეთამაშოთ, რათა მივეჩვიოთ თუნდაც იმ ტემპს, რომელშიც ისინი თამაშობენ. ასეთ გუნდებთან თამაშისას უფრო ხედავ საკუთარ ნაკლოვანებებს, შეცდომებს, აფიქსირებ რა გაკლდა გამარჯვების მოპოვებისთვის. იმედი მაქვს, რომ მწვრთნელები ყოველივეს სერიოზულ ანალიზს გააკეთებენ და შეცდომებს გამოვასწორებთ. მით უფრო, რომ მიმაჩნია, ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებლები საუკეთესოები არიან მათ შორის, ვინც აქამდე გვყოლია.

**- მალე ევროპის ერთა თასის გათამაშება დაიწყება, რომელიც იმავდროულად 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა...**

- ევროპის ერთა თასს ყოველთვის ვიგებდით და ამჯერადაც მოვიგებთ. მაგრამ მიმაჩნია, რომ უბრალოდ მოგება საკმარისი არ იქნება. ამ გათამაშებაში გამოჩნდება, მოახერხეს თუ არა ნაკრების მწვრთნელებმა თამაშის ახალი სისტემის დანერგვა, აქვს თუ არა გუნდს პროგრესი. ვფიქრობ, რომ მეტოქეები უბრალოდ კი არ უნდა დავამარცხოთ, არამედ დიდი ანგარიშით, დამაჯერებლად და ლამაზი ბურთაობით უნდა ვძლიოთ. სწორედ ამის შემდეგ შეგვეძლება, მსოფლიოს თასზე ორი თამაშის მოგების პრეტენზია გვქონდეს.

● შვიდკაცა რაგბი



# მოსკოვამდე გზა ლიონზე გადის

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრები წლეულს 28-30 ივნისს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს. ეს უფლება „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა" შარშან ევროპის სერიაში წარმატებული გამოსვლის შემდეგ მოიპოვეს.**

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების ვინაობა უკვე ცნობილია, თუმცა ჯერ წილსყრა არ გამართულა და ვის დავუპირისპირდებით ჯგუფურ ეტაპზე, ამჟამად უცნობია. იქამდე კი საქართველოს ნაკრებს ევროპის შვიდკაცა რაგბის სერიაში მოუწევს ასპარეზობა.

პირველი ეტაპი საფრანგეთის ქალაქ ლიონში 8-9 ივნისს გაიმართება, სადაც ჩვენი გუნდი A ჯგუფში ინგლისის, ესპანეთის, უელსის, უკრაინისა და რუმინეთის ნაკრებებთან ითამაშებს. ტურნირზე ამ გუნდების გარდა პორტუგალიის, საფრანგეთის, რუსეთის, შოტლანდიის, იტალიისა და გერმანიის ნაკრებებიც იასპარეზებენ.

### ევროპის სერია

#### I ეტაპი. ლიონი

**A ჯგუფი:** საქართველო, ინგლისი, ესპანეთი, უელსი, უკრაინა, რუმინეთი.

**B ჯგუფი:** პორტუგალია, საფრანგეთი, რუსეთი, შოტლანდია, იტალია, გერმანია.

### მსოფლიოს ჩემპიონატი

ვაჟები: **არგენტინა, ავსტრალია, ინგლისი, ფიჯი, საფრანგეთი, საქართველო, ჰონგკონგი, იაპონია, კენია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, პორტუგალია, რუსეთი, სამოა, შოტლანდია, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, ტონგა, ტინისი, აშშ, უელსი, ზიმბაბვე.**

ქალები: **ავსტრალია, კანადა, ჩინეთი, ინგლისი, ფიჯი, საფრანგეთი, ირლანდია, იაპონია, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, რუსეთი, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, ტუნისი, აშშ.**

● ერთა თასი

# არბიტრთა სამი ბრიგადა ცნობილია

**საქართველოს ნაკრების ის კანდიდატები, რომლებიც ქართულ კლუბებში ასპარეზობენ, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ახალზელანდიელი თავკაცის მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით ერთა თასის გათამაშებისთვის მზადებას განაგრძობენ.**

ამასობაში კი FIRA AER-მა „ბორჯღალოსნების" სამი შეხვედრის მსაჯთა ბრიგადა დაასახელა. პირველ მატჩს, რომელსაც საქართველოს ნაკრები სტუმრად გამართავს 2 თებერვალს ბელგიის ნაკრებთან, იტალიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი **მატეო ლიპერანი** იქნება. აღსანიშნავია, რომ ბელგიელები საყოველთაოდ ცნობილ „ეიზელის" სტადიონზე გვიმასპინძლებენ.

მეორე ტურში, ერთი კვირის თავზე, „ბორჯღალოსნები" თბილისში პორტუგალიის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ამ მატჩის განმსჯელი ფრანგული ბრიგადა იქნება. მთავარი არბიტრის მოვალეობას **ჟილ ლებორალი** შეასრულებს. თამაში სავარაუდოდ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

მომდევნო მესამე ტურში კი ჩვენი ნაკრები სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. აქაც თემიდის მსახურნი ფრანგები იქნებიან. მატჩს გამოცდილი **ლორან კარდონა** განსჯის.

ესპანეთისა და რუმინეთის ნაკრებებთან ჩვენი გუნდის დაპირისპირების არბიტრთა ვინაობა მოგვიანებით დადგინდება.

### ერთა თასი 2013

#### I ტური
**2 თებერვალი**

ბელგია-საქართველო
პორტუგალია-რუმინეთი
რუსეთი-ესპანეთი

#### II ტური
**9 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია
რუმინეთი-რუსეთი
ბელგია-ესპანეთი

#### III ტური
**23 თებერვალი**

რუსეთი-საქართველო
ესპანეთი-რუმინეთი
პორტუგალია-ბელგია

#### IV ტური
**9 მარტი**

საქართველო-ესპანეთი
პორტუგალია-რუსეთი
ბელგია-რუმინეთი

#### V ტური
**16 მარტი**

რუმინეთი-საქართველო
ესპანეთი-პორტუგალია
რუსეთი-ბელგია

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



ძმები მალუფები

# კინგზი: საკრამენტოდან სიეტლში

სიეტლელი გულშემატკივრების ჯგუფმა, "მაიკროსოფტის" მმართველ **სტივ ბალმერისა** და **კრის ჰანსენის** მეთაურობით, მოილაპარაკეს NBA-ის კლუბ "საკრამენტოს" შეძენაზე. გარიგების თანხა დაახლოებით 500 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ლიგის ისტორიაში.

შეგახსენებთ, რომ სიეტლში დაწყებულია ახალი არენის მშენებლობა, რომელიც შეიკედლებს NBA-ის ყოფილი კლუბის - "სუპერსონიქსის" მემკვიდრეს. არენა ექსპლუატაციაში 2015-16 წლების სეზონისთვის შევა.

ვარაუდობენ, რომ "კინგზი" სიეტლში უკვე 2013-14 წლების სეზონში გადავა და საშინაო მატჩებს ძველ Key Arena-ზე ჩაატარებს, სადაც თამაშობდა "სიეტლ სუპერსონიქსი" 1967-2008 წლებში.

სხვათა შორის, "კინგზი" საკრამენტოში კანზას-სიტიდან 1985 წელს გადავიდა.

"საკრამენტოს" ყოფილი მფლობელები - ძმები **მალუფები** შეინარჩუნებენ უმნიშვნელო წილს კლუბში და არ შეეძლებათ კლუბის მართვაში მონაწილეობის მიღება.

# მერისგან მიყენებული ტრავმა

ქალაქ ნიუ იორკის მერმა **მაიკლ ბლუმბერგმა** აღიარა, რომ ხელი ჰკრა „სპურსის" ფორვარდ **სტივენ ჯექსონს** იმ ეპიზოდში, როცა კალათბურთელმა მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ჯექსონმა ფეხი გასულ კვირას, „ნიუ იორკთან" მატჩის პირველ მეოთხედში, სამქულიანის შესრულების დროს იტკინა. მაშინ წერდნენ, რომ მოთამაშე მოედნის მიღმა გადავარდა და ცუდად დაეცა ოფიციანტ ქალს, რომელიც იმ მომენტში ბლუმბერგს ემსახურებოდა.

*„ის არ ეცემოდა. როცა მომიახლოვდა, მე მას ხელი ვკარი"*, - განაცხადა ბლუმბერგმა.

„სან ანტონიოს" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა** იმედი გამოთქვა, რომ ინციდენტი უყურადღებოდ არ დარჩება ლიგის ხელმძღვანელობას.

*„ცხადია, რომ მსგავსი სიტუაცია არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს. ლოგიკური იქნებოდა, გულშემატკივრები თამაშის მსვლელობისას ლუდს რომ არ უკეთავდნენ. პაუზებისას კი შეუძლიათ აკეთონ ის, რაც მოესურვებათ"*, - აღნიშნა პოპოვიჩმა.

# საუკეთესო დაიანა

ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთის ფედერაციამ ქვეყნის ეროვნული ნაკრებისა და ქალთა NBA-ის კლუბის "ფინიქს მერკურის" წევრი **დაიანა ტაურაზი** 2012 წლის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელა. ტაურაზიმ აშშ-ის ნაკრების შემადგენლობაში მესამედ მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი.

ლონდონის თამაშებზე ტაურაზი საშუალოდ მატჩში 12.4 ქულას აგროვებდა და ამ მაჩვენებლით გუნდის ლიდერი იყო. აშშ-ის ქალთა ნაკრებმა ოლიმპიური ტურნირი წაგების გარეშე დაასრულა. ოლიმპიადის სამჯერ მოგებით, ტაურაზი გაუთანაბრდა თანამემამულე **ლიზა ლესლის**. ამერიკული ქალთა კალათბურთის ისტორიაში უფრო მეტი ოლიმპიური ოქრო **ტერეზა ედვარდსს** აქვს - ოთხი (1984, 1988, 1996, 2000).

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ამერიკის კალათბურთის ფედერაციამ მამაკაცებს შორის საუკეთესო მოთამაშედ "მაიამი ჰიტის" ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** დაასახელა.


დაიანა ტაურაზი

ჰოკეი

# სეზონი დამტკიცებულია

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გაიმართება 2012-13 წლების სეზონი. გუშინ, NHL-ის კლუბების მფლობელებმა ახალი კოლექტიური ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინეს. ახლა, იგივე პროცედურა მოთამაშეებმა უნდა გაიარონ, რაც სრული ფორმალობაა, ასე რომ, შემოკლებული რეგულარული ჩემპიონატი მალე დაიწყება.

როგორც იტყობინებიან, 13 იანვარს გაიხსნება საწვრთნელი ბანაკები, ხოლო ჩემპიონატი 19 იანვარს აიღებს სტარტს. ლიგის ყოველ გუნდს, შემოკლებულ სეზონში 48 მატჩის ჩატარება მოუწევს.

ხელშეკრულების რატიფიკაციასთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადებით გამოვიდა ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარი **გერი ბეტმენი** და გაჭიანურებული მოლაპარაკებების გამო ბოდიში მოუხადა ჰოკეისტებს, კომერციულ პარტნიორებსა და გულშემატკივრებს.

# ლეიკერსი პლეი ოფს მოწყდება

წინა დღეს, ჰიუსტონში უშანსოდ წაგების შემდეგ, ძალაგამოცლილი და "მაღლების" გარეშე დარჩენილი "ლეიკერსი" სან ანტონიოში ჩავიდა სათამაშოდ. თითქოს, ამ ვიზიტს ფორმალური ხასიათი უნდა ჰქონოდა და წესით, კალიფორნიელებს ვერაფერი ვერ უნდა დაეპირისპირებინათ **გრეგ პოპოვიჩის** გუნდისთვის.



სან ანტონიო-ლეიკერსი

კარგა ხანი, ეს პროგნოზი ასი პროცენტით მართლდებოდა. **დ'ენტონის** შეგირდების საშინელმა დაცვამ ის გამოიწვია, რომ საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე, "სპურსის" ზედიზედ ოთხი (!) სამქულიანის შემდეგ (მათგან სამი **სტივენ ჯექსონს** ეკუთვნოდა), მასპინძლები 16 ქულას იგებდნენ. "ლეიკერსის" დამრიგებლის მიერ აღებული ტაიმ-აუტი უაზრობად მოჩანდა. ასევე გასაკვირი იყო მოედნიდან **ირლ კლარკის** გაყვანა. **ჰილის, ჰოვარდისა** და **გასოლის** არყოფნაში, ამ გიგანტმა დიდი სათამაშო დრო მიიღო და 22 ქულა მოიპოვა, აგრეთვე მოხსნებით თავის გუნდში ლიდერი იყო.

მაგრამ, გადამწყვეტ მომენტში ინიციატივა ვეტერანებმა აიღეს. დარჩენილ დროში, **ნეშმა** გამოიყენა ორი (!) ტექნიკური, **ჯეიმისონმა** სამწამიანიდან სამჯერ ჩააგდო, **ბრაიანტმა** ხუთი ქულა დააგროვა, **მეტა უორლდ პისმა** კი სამჯერ ჩაჭრა თავისი ვიზავის პასი. ამ ოთხეულის მონდომებით, "ლეიკერსმა" საფინალო სირენამდე სამი წუთით ადრე სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. მაგრამ ამას მოჰყვა თითქმის ორწუთნახევრიანი "მშრალი" სერია და "ლეიკერსმა" თითქოს ისევ დაკარგა თამაშის გადარჩენის შანსი. თუმცა სირენამდე 30 წამით ადრე, კლარკმა შორეული ტყორცნით კვლავ სამ ქულამდე შეამცირა დეფიციტი.

**ტონი პარკერის** მორიგმა დაკარგვამ სტუმრებს იმედი გაუჩინა, მაგრამ ვერც ბრაიანტმა და ვერც კლარკმა მიზანს ვერ მიაღწიეს. საბოლოოდ, „ლეიკერსმა" 35 მატჩში მე-20 მარცხი იწვნია - 50 წლის განმავლობაში, ამ გუნდს მხოლოდ სამჯერ ჰქონდა ასეთი ცუდი სტარტი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ბოლო 15 წელიწადში დასავლეთი კონფერენციის მხოლოდ ოთხმა გუნდმა შეძლო ასეთი სტარტის შემდეგ პლეი ოფში გასვლა.

■ ■ ■

ამასობაში, მეორე კალიფორნიულმა გუნდმა „კლიპერსმა" მორიგი რეკორდი დაამყარა. ამჯერად, საკუთარ მოედანზე მოპოვებული გამარჯვებების რაოდენობით. „სტეიპლ ცენტრში" **ვინი დელ ნეგროს** შეგირდები ზედიზედ 13 მატჩია არ მარცხდებიან.

თუმცა „დალასი" უნდა შევაქოთ იმ წინააღმდეგობის გამო, რომელიც მან რეგულარულის ერთ-ერთ ლიდერს გაუწია. მაგალითად, სირენამდე ორი წუთით ადრე, „მავერიქსი" მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს, მაგრამ მალე **კრის პოლის** მორიგი პასით (სულ 16 დაუგროვდა), **გრიფინმა** გააორმაგა უპირატესობა, ამას კი მოჰყვა **კოლისონის, კარტერისა** და **მაიოს** შეცდომები და სტუმრების ყველანაირი მონდომება წყალში ჩაიყარა.

### ტორონტო-ფილადელფია 90:72

**24:21, 18:19, 29:21, 19:11**

ტ: ჯონსონი (19+12 მოხსნა), დეროზანი (19), დევისი (17+9 მოხსნა), კალდერონი (14+11 პასი), ფილდსი (10+11 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ფ: ტ. იანგი (16+7 მოხსნა), ჰოლიდეი (16), ტერნერი (10+7 მოხსნა).

### შარლოტი-იუტა 102:112

**20:27, 24:36, 29:27, 29:22**

შ: გორდონი (20), კიდ-გილკრისტი (15+8 მოხსნა), უოკერი (14+6 პასი), ჰენდერსონი (14+3 ჩაჭრა), სეშენსი (14), უორიკი (10+8 მოხსნა).

ი: ჯეფერსონი (26+8 მოხსნა), მილსეპი (19+3 დაფარება), ჰეივორდი (14), ბერქსი (12), კეროლი (10), ფეივორსი (10).

### კლივლენდი-ატლანტა 99:83

**29:28, 20:12, 28:23, 22:20**

კ: ირვინგი (33+3 ჩაჭრა), გი (15), ტომპსონი (11+14 მოხსნა), ზელერი (11+12 მოხსნა).

ა: სმიტი (17+8 მოხსნა+6 დაფარება), ტიგი (15+8 პასი), ჰორფორდი (14), კორვერი (12+7 მოხსნა), ფაჩულია (8+10 მოხსნა).

### ბოსტონი-ფინიქსი 87:79

**23:24, 30:17, 14:23, 20:15**

ბ: გრინი (14), ტერი (13), სალინჯერი (12+16 მოხსნა), გარნეტი (10+3 ჩაჭრა).

ფ: სკოლა (16+8 მოხსნა), დადლი (14+10 მოხსნა), გორტატი (12+14 მოხსნა+5 დაფარება), დრაგიჩი (12).

### ჩიკაგო-მილუოკი 96:104

**33:23, 24:27, 23:31, 16:23**

ჩ: ბუზერი (22+11 მოხსნა), რობინსონი (19+6 პასი+5 ჩაჭრა), დენგი (18), ნოა (8+12 მოხსნა).

მ: ჯენინგსი (35+6 პასი), დანლივი (16), ელისი (14+5 ჩაჭრა), ილიასოვა (13), უდრიხი (10), სანდერსი (6+12 მოხსნა+7 დაფარება).

### ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი 88:79

**18:22, 16:14, 25:33, 29:10**

ნ-ო: ვასკესი (17+11 პასი+3 ჩაჭრა), სმითი (17+10 მოხსნა+3 დაფარება), მეისონი (17), ლოპესი (14), ამინუ (4+10 მოხსნა).

ჰ: ჰარდენი (25), პატერსონი (6+10 მოხსნა).

### სან ანტონიო-ლეიკერსი 108:105

**24:17, 30:28, 31:30, 23:30**

ს-ა: პარკერი (24+6 პასი+3 ჩაჭრა), ჯინობილი (19+8 მოხსნა), სპლიტერი (14+14 მოხსნა), ჯექსონი (14), ნილი (12), ლეონარდი (11).

ლ: ბრაიანტი (27), უორლდ პისი (23+8 მოხსნა+7 ჩაჭრა), კლარკი (22+13 მოხსნა), ნეში (14+9 პასი).

### ოკლაჰომა-მინესოტა 106:84

**16:16, 31:26, 29:22, 30:20**

ო: დურანტი (26+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+4 დაფარება), უესტბრუკი (23+8 მოხსნა+7 პასი), მარტინი (19), სეფოლოშა (10+3 ჩაჭრა).

მ: შვედი (18), პეკოვიჩი (17+10 მოხსნა), უილიამსი (14+11 მოხსნა), რიდნური (11+6 პასი+4 ჩაჭრა), კირილენკო (10).

### დენვერი-ორლანდო 108:105

**22:30, 31:25, 17:22, 38:28**

დ: ფარიდი (19+19 მოხსნა), ლოუსონი (19+8 პასი), მილერი (18), ბრიუერი (16), გალინარი (15+8 მოხსნა), იგუოდალა (11).

ო: ნელსონი (20+8 პასი), რედიკი (17), ნიკოლსონი (12), აფლალო (12), ჯონსი (11), ვუჩევიჩი (10+14 მოხსნა).

### კლიპერსი-დალასი 99:93

**25:21, 27:29, 20:25, 27:18**

კ: პოლი (19+16 პასი), ბარნსი (19+7 მოხსნა+3 დაფარება), გრიფინი (15+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატლერი (11), კროუფორდი (11).

დ: კოლისონი (22+6 პასი), მაიო (17+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (15), მერიონი (11+7 მოხსნა).

### გ. სტეიტი-მემფისი 87:94

**26:27, 20:28, 17:13, 24:26**

გ-ს: კარი (24), ტომპსონი (20+7 მოხსნა+7 პასი), ლი (14+10 მოხსნა), ლენდრი (13+9 მოხსნა).

მ: რენდოლფი (19+12 მოხსნა), გეი (18+6 პასი), კონლი (16+3 ჩაჭრა), გასოლი (12+9 მოხსნა), ალენი (10).

# კობის ცუდი რეკორდი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველი **კობი ბრაიანტი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეკორდსმენი გახდა თამაშიდან არაზუსტი ტყორცნების რაოდენობით. ამ რეკორდში გათვალისწინებულია როგორც რეგულარული ჩემპიონატის, ასევე პლეი ოფის შეხვედრები.

"ჰიუსტონთან" მატჩის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გაფუჭებული სროლა რიგით 15296-ე აცილებული ტყორცნა იყო კობისთვის. "ლეიკერსის" ლიდერმა გააუმჯობესა "ბოსტონ სელტიქსის" ლეგენდის **ჯონ ჰავლიჩეკის** "მიღწევა" (15295).



კობი ბრაიანტი

ბრაიანტს ასევე ეკუთვნის რეკორდი პლეი ოფში აცილებული ტყორცნების რაოდენობით (2485). 2011 წელს, კობიმ ამ მაჩვენებლით გაუსწრო NBA-ის ლეგენდა **მაიკლ ჯორდანს** (2309).

თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ რეგულარულ ჩემპიონატებს, 34 წლის ბრაიანტი მესამე ადგილზეა (12811) ჰავლიჩეკისა (13417) და სახელოვანი ცენტრის **ელვინ ჰეიესის** (13296) შემდეგ.

# მაღლებს ტრავმები მოექალათ

## ლავი სამ თვეს გამოტოვებს, ვარეჟაო ორს

ბოლო დღეებში, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ისეთ იმატა ტრავმების ეპიდემიამ - ერთმანეთის მიყოლებით გამოაკლდნენ რეგულარულ ჩემპიონატს "კლივლენდისა" და "მინესოტას" ლიდერები - **ანდერსონ ვარეჟაო** და **კევინ ლავი**.

როგორც NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, ვარეჟაომ მუხლზე ოპერაცია გადაიტანა. ვარაუდობენ, რომ ბრაზილიელი ლეგიონერის აღდგენითი კურსი დაახლოებით 6-8 კვირას დაიკავებს. შეგახსენებთ, რომ ბოლო დროს, "მინესოტას" ხელმძღვანელობა განიხილავდა თავისი ცენტრის - **ნიკოლა პეკოვიჩის** ვარეჟაოში გაცვლას, მაგრამ, ახლა, ეს გარიგება არ შედგება.

მიმდინარე სეზონში 30 წლის ვარეჟაო ლიგის ლიდერია საშუალოდ მატჩში მოპოვებული მოხსნების რაოდენობით - 14.5, რასაც ემატება 14.1 ქულა.

"მინესოტა" ღმერთს მადლობას უნდა სწირავდეს, რომ ჩაიშალა ვარეჟაოსა და პეკოვიჩის ტრეიდი. ამ შემთხვევაში, "მგლები" ნორმალური მაღალი კალათბურთელის გარეშე დარჩებოდნენ. საქმე ისაა, რომ "მინესოტას" დაახლოებით სამი თვის ვადით გამოაკლდა ასევე მოხსნების სპეციალისტი, მძიმე ფორვარდი **კევინ ლავი**. მისი ტრავმის შესახებ უკვე ვწერდით - ლავმა მარჯვენა ხელი მოიტეხა და საბოლოოდ, კალათბურთელი ოპერაციას ვერ გადაურჩა, რის გამოც, 8-10 კვირა ვერ დაბრუნდება მოედანზე.

ეს კევინის მეორე ტრავმაა მიმდინარე სეზონში, რის გამოც მან მხოლოდ 18 მატჩი ითამაშა რეგულარულ ჩემპიონატში და საშუალოდ 18.3 ქულა და 14 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

აქვე ერთი სასჯელის შესახებ. „ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდმა **კარმელო ენტონიმ** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო **კევინ გარნეტთან** სიტყვიერი კამათისთვის, რომელიც „ნიუ იორკთან" მატჩის შემდეგ გაიმართა, - იტყობინება NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

ასე რომ, ენტონი გამოტოვებს გასვლით შეხვედრამ „ინდიანას" წინააღმდეგ, რომელიც დღეს დილით უნდა გამართულიყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი


ჯონ ისნერი

# ჯონ ისნერი ავსტრალიის მიღმა

ავსტრალიისღია პირველობას ერთი განთესილი ჩოგბურთელი გამოაკლდა. მსოფლიოს მე-13 ნომერმა, ამერიკელმა **ჯონ ისნერმა** უარი თქვა სეზონში "დიდი სლემის" პირველ ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც 14-27 იანვარს მელბურნში გაიმართება. უარის მიზეზი მუხლის ტრავმაა, რომელიც ისნერმა ჰოპმანის თასზე მიიღო.

*"ბოლო დროს ტკივილს ვგრძნობდი მუხლის არეში და ექიმებმა მითხრეს, რომ ვარჯიშებისა და ტურნირებში მონაწილეობის გაგრძელებას, შესაძლოა, სავალალო შედეგები მოეტანა"*, - ამბობს 27 წლის ჩოგბურთელი ავსტრალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ 2012 წელს, ჯონ ისნერმა ავსტრალიის ღიას მესამე წრემდე მიაღწია, სადაც ხუთ სეტში დამარცხდა ესპანელ **ფელისიანო ლოპესთან**.

# როგორც დეპარდიე

## ილიე ნასტასემ რუსეთის მოქალაქეობა მოითხოვა


ილიე ნასტასე

ლეგენდარული რუმინელი ჩოგბურთელი, ATP-ის კლასიფიკაციის ყოფილი ლიდერი, 66 წლის **ილიე ნასტასე** აცხადებს, რომ მოქალაქეობის შეცვლა სურს თავის ქვეყანაში მაღალი გადასახადების გამო. ნასტასემ გადაწყვიტა მიჰბაძოს ფრანგ მსახიობ **ჟერარ დეპარდიეს** და რუსეთის მოქალაქე გახდეს.

რუმინელი ლეგენდის თქმით, **ჩაუშესკუს** დიქტატურის დროსაც არ გაუფიქრებია სხვა ქვეყანაში წასვლა, მაგრამ ახლა, ასეთი სურვილი გაუჩნდა. ნასტასე, რაც შეიძლება სწრაფად ფიქრობს რუსული პასპორტის აღებას, თუმცა რუსეთში გადასვლას ზაფხულში გეგმავს, როცა იქ დათბება.

ილიე ნასტასე პირველი ჩოგბურთელია, რომელიც მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდა. ეს 1973 წელს მოხდა, როცა ATP-მ მოთამაშეთა კლასიფიკაცია შემოიღო. ნასტასეს პროფესიულ კარიერაში 88 ტურნირი აქვს მოგებულ ერთეულთა თანრიგში და 45 – წყვილებში.

# 10 პროცენტით მეტი

ცნობილი გახდა, რომ 2013 წელს, ქალთა პროფესიულ ტურში გათამაშდება 58 700 000 დოლარი. გასულ წელს, ეს მაჩვენებელი 53 300 000 დოლარს შეადგენდა, ასე რომ, WTA-ის ჯამური საპრიზო ფონდი 10 პროცენტით გაიზარდა. აღვნიშნავთ, რომ ამ თანხაში არ შედის "დიდი სლემის" ჩემპიონატების საპრიზო თანხები, რადგან ეს ტურნირები ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ტარდება.

ასევე ცნობილი გახდა, რომ მომდევნო ორ სეზონში, ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის კალენდარში ხუთი ახალი ტურნირი გაჩნდება:

კატოვიცე, პოლონეთი (2013 წლის აპრილი);

უჰანი, ჩინეთი (2014 წლის სექტემბერი);

ჰონგკონგი, ჩინეთი (2014);

ფლორიანაპოლისი, ბრაზილია (2013 წლის თებერვალი);

რიო-დე-ჟანეირო (2014).

● კრივი

# კლიჩკო–პოვეტკინი აპრილში?

ძმები **კლიჩკოების** პრომოუტერული კომპანია - K2 Promotions-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **ტომ ლეფლერმა** განაცხადა, რომ სუპერმძიმე წონაში ოთხი ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** თავის მომდევნო ბრძოლას აპრილში, გერმანიაში ან რუსეთში გამართავს.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს საკრივო ასოციაციამ (WBA) უმცროსი კლიჩკოსა და WBA-ის „რეგულარული" ჩემპიონის, რუსი **ალექსანდრ პოვეტკინის** გუნდები დაავალდებულა, რომ მათ ბრძოლის ორგანიზება 17 იანვრამდე მოახერხონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დღეს პრომოუტერული ვაჭრობა გაიმართება.

როგორც ჩანს, საქმე სწორედ აუქციონამდე მივა და უკვე ამის შემდეგ, ორივე მხარეს მიეცემა 90 დღე რომ, ერთმანეთში ბრძოლა გამართოს.


ვლადიმერ კლიჩკო

# ისინი ჩოგბურთს დააკლდებიან

**2012 წელს, საჩოგბურთო სამყაროში ბევრი საინტერესო მოვლენის მოწმენი გავხდით, თუმცა იყო ნაღვლიანი მომენტებიც. დღეს უნდა გავიხსენოთ ის ჩოგბურთელები, რომლებიც ვერ ითამაშებენ მოახლოებულ ავსტრალიის ღიაზე იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ შარშან, კარიერის დასრულება გადაწყვიტეს...**

### ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 32 წლის)

ჩილეს ჩოგბურთის ლეგენდა, ოლიმპიური მედლების სრული კოლექციის მფლობელი, ATP-ის რეიტინგის ყოფილი მეხუთე ნომერი. მას ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი აქვს წაგებული **როჯერ ფედერერთან**.

2012 წლის სეზონის დასაწყისში, **გონსალესმა** გამოაცხადა, რომ მალე დაასრულებდა კარიერას. საბოლოოდ, ის საჩოგბურთო საზოგადოებას მაიამის მასტერსის საწყისი რაუნდის წაგების შემდეგ გამოემშვიდობა. ახლა, ზოგიერთი ექსპერტი მას დევისის თასზე ჩილეს ნაკრების კაპიტნობას უწინასწარმეტყველებს, თუმცა ჯერჯერობით ჩოგბურთელი თავისუფალი ცხოვრებით ტკბება.

### ხისელა დულკო (არგენტინა, 27 წლის)

იუნიორის ასაკში **ხისელა** დიდ იმედებს იძლეოდა, იგებდა WTA-ის ტურნირებს, მაგრამ თანდათან წყვილთა თანრიგზე გააკეთა აქცენტი. იტალიელ **ფლავია პენეტასთან** ერთად, მას მოგებული აქვს ავსტრალიის ღია პირველობა და WTA-ის შემაჯამებელი ტურნირი, იყო წყვილთა შორის პირველი ჩოგანი.

მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ტრავმებმა თავისი კორექტივები შეიტანეს დულკოს ცხოვრებაში. იძულებითი პაუზების დროს შეიცვალა მისი პრიორიტეტები, ცოტა ხნის წინ კი მან განაცხადა, რომ ის და მისი მეუღლე, ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი **ფერნანდო გაგო** პირველი შვილის დაბადებას ელიან. ბუნებრივია, ხისელამ პროფესიული კარიერა შეწყვიტა გაურკვეველი ვადით.

### კიმ კლაისტერსი (ბელგია, 29 წლის)

**კიმმა** ერთხელ უკვე მიატოვა ჩოგბურთი - სწორედ ფეხმძიმობის მიზეზით. მისი დაბრუნება ერთ-ერთი ყველაზე ტრიუმფალური იყო სპორტის ამ სახეობის ისტორიაში, მაგრამ შემდეგ, ორგანიზმმა ისევ რამდენჯერმე დაალალატა ბელგიელი.

2012 წელს, კლაისტერსმა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე მიაღწია, შემდეგ კი წინასწარ გამოაცხადა, რომ ამერიკის ღია პირველობა ბოლო ტურნირი იქნებოდა მის კარიერაში. ეფექტურად წასვლა კიმს არ გამოუვიდა, რადგან აშშ-ის ღიას მეორე წრეში მას ნორჩმა ბრიტანელმა **ლორა რობსონმა** მოუგო.

### არნო კლემანი (საფრანგეთი, 34 წლის)

90-იანი წლების ბოლოს, ფრანგული ჩოგბურთის ბრწყინვალე თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი. ცნობილი იყო თავისი "საფირმო" ბანდანათი და მზის დამცავი სათვალით (**არნოს** სერიოზული პრობლემები აქვს მხედველობასთან დაკავშირებით). ფრანგმა კარიერის პიკს 2001 წელს მიაღწია, როცა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ითამაშა.

მაგრამ უკვე ჩოგბურთისთვის საკმაოდ ხანდაზმულ ასაკშიც, ტრიუმფალური წლების გავლის შემდეგაც, კლემანი "ავტორიტეტთა რისხვად" რჩებოდა. ბოლო დროს, ლეგენდარული ფრანგი, ძირითადად "ჩელენჯერებზე" გამოდიოდა, სადაც ხშირად ამარცხებდა გაცილებით ახალგაზრდა მოთამაშეებს. საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ სათანადოდ დააფასა არნოს მიღწევები - კარიერის დასრულებისთანავე ის სათავეში ჩაუდგა დევისის თასზე ქვეყნის ნაკრებს.

### ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია, 33 წლის)

გასული ათწლეულის შუაში, ხორვატი პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ მიიჩნეოდა და სამართლიანად ეჭირა მსოფლიოს რეიტინგში მეორე ადგილი. მას უთამაშია როლან გაროსის ნახევარფინალში, მოგებული აქვს ATP-ის ათი ტიტული, სენსაციურად იმარჯვა 2010 წელს ინდიან უელსის მასტერსზე.

წლებთან ერთად, ლუბიჩიჩი სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ადმინისტრაციულ სამუშაოს (ჯერ კიდევ 2008 წელს შეიყვანეს ATP-ის დირექტორთა საბჭოში). თან ასაკიც აღარ აძლევდა მაღალი შედეგების ჩვენების საშუალებას. მონტე კარლოს მასტერსზე ხორვატმა თავისი ბოლო მატჩი ჩაატარა პროფესიულ ტურში - პირველ რაუნდში წააგო თანამემამულე **ივან დოდიგთან**.

### მარკ ნოულზი (ბაჰამის კ-ები, 41 წლის)

ATP-ის ტურის ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული ვეტერანი. თავისი პირველი ტიტული წყვილთა თანრიგში შორეულ 1993 წელს მოიპოვა, ხოლო მისი პარტნიორი იყო დღეს დევისის თასზე აშშ-ის ნაკრების კაპიტანი **ჯიმ კურიე**.

მას შემდეგ, **მარკმა** წყვილთა თანრიგში მოიგო ATP-ის 55 ტურნირი, მათ შორის სამი "მეიჯორი". თავისი ბოლო ტიტული მან პირველის მოგებიდან თითქმის 19 წლის თავზე მოიხვეჭა - ბელგიელ **ქსავიე მალისესთან** ერთად მოიპოვა მთავარი პრიზი სან ხოსეს ტურნირზე. კარიერის დასრულების შემდეგ, ბაჰამელმა ქველმოქმედებას მიჰყო ხელი და წარმატებით ჩაატარა სამშობლოში პირველი საჩვენებელი ტურნირი.


ენდი როდიკი და კიმ კლაისტერსი

### ენდი როდიკი (აშშ, 30 წლის)

ჭორი იმის შესახებ, რომ **ენდი როდიკს**, შესაძლოა, კარიერა მიეტოვებინა, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ გაჩნდა, როცა ამერიკელს წარუმატებლობების სერია გაუგრძელდა. მაშინ ენდიმ მწვრთნელ **ლარი სტეფანსკის** დახმარებით მეორე სიცოცხლე შთაბერა თავის კარიერას, რომლის მწვერვალი იყო 2009 წელს, უიმბლდონის ეპიკური ფინალი როჯერ ფედერერის წინააღმდეგ.

მაგრამ, გასულ სეზონში ენდიმ ისევ უკლო თამაშს. ამჯერად, თავად ჩოგბურთელიც აღარ უარყოფდა ჭორების ახალ ტალღას. როგორც აღმოჩნდა, ის ლამაზად წასვლის შესაძლებლობას ეძებდა. ასეც გამოვიდა - ისტბურნისა და ატლანტას ტურნირებზე გამარჯვების შემდეგ, როდიკმა აშშ-ის ღიაზე მიატოვა თამაში. ის ვერ გახდა ჩოგბურთის ისტორიის ერთ-ერთი უდიადესი, მაგრამ, ეჭვგარეშეა, იქ თავისი კვალი დატოვა.

### ხუან კარლო ფერერო (ესპანეთი, 32 წლის)

„ფედერერამდე ეპოქის" კიდევ ერთი ყოფილი პირველი ჩოგანი. სწრაფი ესპანელი, მეტსახელად "მოსკიტი", ტურში ერთ-ერთი ყველაზე მრავალმხრივი და ჭკვიანი ჩოგბურთელი იყო. ტრიუმფალური 2003 წლის შემდეგ, როცა ფერერომ როლან გაროსზე გაიმარჯვა და აშშ-ის ღია ფინალში ითამაშა, მსგავსი წარმატებისთვის აღარ მიუღწევია, თუმცა ყოველთვის ცდილობდა სტაბილურად მაღალი დონე შეენარჩუნებინა. ამის გაკეთება კი რეგულარული ტრავმების გამო რთული აღმოჩნდა.

ვალენსიას ტურნირის შემდეგ, ხუან კარლოსმა კარიერა დაასრულა. ახლა, ის ბიზნესით იქნება დაკავებული, აგრეთვე გაწვრთნის თავის მეგობარ **ნიკოლას ალმაგროს**.

### ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა, 33 წლის)

ჯერ კიდევ შარშანწინდელ სეზონში, არგენტინელი ვეტერანი მეორე ახალგაზრდობას განიცდიდა და საუკეთესო ოცეულში მოხვედრას ლამობდა, მაგრამ 2012 წელი წარუმატებელი აღმოჩნდა ჩელასთვის. ტრავმების სერიამ და პირველ წრეში ხუთჯერ გამოვარდნამ, სერიოზულად დააზარალა არა მარტო მისი რეიტინგი, არამედ მომავალი გამოსვლების პერსპექტივა.

უიმბლდონის შემდეგ, არგენტინელი კორტზე აღარ დაბრუნებულა, დეკემბერში კი კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა. მის აქტივში დარჩა ATP-ის ექვსი ტიტული და "დიდი სლემის" ტურნირებზე სამი მეოთხედფინალი.

### რაინერ შუტლერი (გერმანია, 36 წლის)

ტურის კიდევ ერთი დამსახურებული "ბაბუა", რომელმაც კარიერა ჯერ კიდევ 1995 წელს დაიწყო. მისი კარიერის უბრწყინვალესი მომენტია 2003 წელს, ავსტრალიის ღიას ფინალში გასვლა, აგრეთვე ATP-ის ჯილდო - "წლის პროგრესი".

რაინერი ორი წელი ATP-ის მოთამაშეთა საბჭოს პრეზიდენტი იყო და ადმინისტრაციულ სამუშაოზე გამოცდილება მას კარიერის დასრულების შემდეგ დაეხმარება. ოქტომბერში შუტლერმა გამოაცხადა, რომ მან დაიკავა დიუსელდორფში ტურნირის დირექტორის პოსტი. შესაძლოა, ის ოდესმე ATP-ის პრეზიდენტიც გახდეს...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ავტოსპორტი. დაკარი 2013

# ეტაპი ცვლილებების გარეშე


სტეფან პეტერანსელი

რალი-რეიდ დაკარის მონაწილეებმა პირველად გადალახეს საზღვარი - ისინი პერუდან ჩილეში გადავიდნენ. გაიმართა მეხუთე ეტაპი, რომლის სიგრძე 509 კილომეტრს შეადგენდა.

ბევრი არაფერი შეცვლილა ავტომობილების კლასში - კვლავ ვერ მოიგო ეტაპი მოქმედმა ჩემპიონმა **სტეფან პეტერანსელმა**, თუმცა გაიზარდა გენერალურ კლასიფიკაციაში მისი უპირატესობა უახლოეს მდევართან, წინა ორი ეტაპის მომგებ **ნასერ ალ-ატიიასთან.** პეტერანსელმა მეორე დრო აჩვენა, ალ-ატიიამ - მეშვიდე, რის შემდეგაც, მათ შორის სხვაობამ თითქმის ათ წუთს მიაღწია.

ეტაპი მოიგო ესპანელმა **ხუან „ნანი" რომამ**, რომელმაც წუთი და 23 წამი აჯობა პეტერანსელს. მესამეზე გავიდა წინა ეტაპის ანტიგმირი, ამერიკელი **რობი გორდონი.** შეგახსენებთ, რომ წინა დღეს, ამერიკელის „ჰამერი" ამოტრიალდა და ნასკარის პილოტმა ძალიან ბევრი დრო დაკარგა, ამჯერად კი რობიმ უშეცდომოდ გაიარა მთელი დისტანცია და კარგი დროც აჩვენა, მაგრამ ის ძალიან არის დაშორებული საერთო ჩათვლის ლიდერებს და საბოლოო პოდიუმის არანაირი შანსი არ გააჩნია.

**V ეტაპი**

**ავტომობილები**

1. **ხოან "ნანი" რომა** (ესპანეთი, Mini) - 1:49.40; 2. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - +1.23; 3. **რობი გორდონი** (აშშ, Hammer) - +1.41; 4. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +1.51; 5. **კარლოს საინსი** (ესპანეთი, Buggy) - +3.41...

**საერთო ჩათვლა**

1. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - 10:55.32; 2. **ნასელ ალ-ატიია** (კატარი, Buggy) - +9.54; 3. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +33.50; 4. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +37.35; 5. **ხოან "ნანი" რომა** (ესპანეთი, Mini) - +37.43...

**მოტოციკლები**

1. **დავიდ კასტო** (საფრანგეთი, Yamaha) - 1:39.42; 2. **ოლივიე პენი** (საფრანგეთი, Yamaha) - +1.09; 3. **ხუან პედრერო** (ესპანეთი, KTM) - +2.58; 4. **ალესანდრო ბოტური** (იტალია, Husqvarna) - +3.25; 5. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +4.07...

**საერთო ჩათვლა**

1. **ოლივიე პენი** (საფრანგეთი, Yamaha) - 11:51.29; 2. **დავიდ კასტო** (საფრანგეთი, Yamaha) - +1.15; 3. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +6.07; 4. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +13.34; 5. **ხორდი ვილადომსი** (ესპანეთი, Husqvarna) - +13.36...

გია **თვალაბეიშვილი**

# სიკვდილის ანგარიშით გაიხსნა

რალი-რეიდ "დაკარის" მეხუთე ეტაპმა არა მარტო განაახლა მიმდინარე შედეგები, არამედ შეავსო ავტომარათონის ტრაგიკული სტატისტიკა. 1979 წლიდან მოყოლებული, როცა "დაკარზე" პირველი სასიკვდილო შემთხვევა დაფიქსირდა, ლეგენდარულ რალის ისე არ ჩაუვლია, ვინმეს სიცოცხლე რომ არ წაეღო თან. 10 იანვარს, სიკვდილმა მიმდინარე მარათონსაც უწია.


მაყურებლის სიახლოვე ხშირად ტრაგედიის მიზეზი ხდება

ჩილეს საზღვართან ახლოს მოხდა ავარია სამი მანქანის მონაწილეობით - ერთი იყო ესკორტის ავტომობილი და ორი ტაქსი. ავტოკატასტროფამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ერთ-ერთი ტაქსი შეეჯახა ესკორტის მანქანას, მეორე ტაქსის მძღოლმა კი ავარიის თავიდან აცილება სცადა და მკვეთრად მოუხვია - ავტო რამდენჯერ ამოტრიალდა და მაყურებელთა ჯგუფში შევარდა, რის გამოც ორი ადამიანი დაიღუპა, ხოლო შვიდი სხვადასხვა სიმძიმის ტრავმით ქალაქ ტაკნას საავადმყოფოში გადაიყვანეს.

"დაკარი" შემთხვევით არ მიიჩნევა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო შეჯიბრებად. თანაც აქ ხიფათში თავს არა მხოლოდ მონაწილეები, არამედ მაყურებლებიც იგდებენ, რომლებსაც სურთ მოვლენათა ეპიცენტრში იყვნენ და ხშირად ივიწყებენ უსაფრთხოების წესებს.

ყველაფერი 1979 წელს დაიწყო, როცა ნიგერის რესპუბლიკის ქალაქ აგადესში დაიღუპა მოტომრბოლელი **პატრიკ დოდინი.** მას შემდეგ, ავტომარათონი, თითქოს დაწყევლესო, მსხვერპლის გარეშე არ სრულდება. უსიამოვნო ტრადიცია არც მაშინ აღმოიფხვრა, როცა რალი-რეიდი აფრიკიდან სამხრეთ ამერიკაში გადაბარგდა.

2013 წლის "დაკარის" სტარტამდე, რბოლებმა 62 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. აქედან 22 სპორტსმენია და 40 გულშემატკივარი.

გია **თვალაბეიშვილი**

● რაგბი. ექვსი ერი

# რეკორდი სტადიო ოლიმპიკოზე

ინგლისის ნაკრების თავკაც **სტიუარტ ლანკასტერის** კვალდაკვალ, ეროვნული გუნდის 30-კაციანი განაცხადი დაასახელა იტალიელთა მთავარმა მწვრთნელმა **ჟაკ ბრუნელმა.**

„სკუადრა აძურას" საწვრთნელი შეკრება 20 იანვარს დაიწყება. ექვს ერზე პირველ შეხვედრას იტალიელები 3 თებერვალს, რომში „სტადიო ოლიმპიკოზე" საფრანგეთის ნაკრებთან გამართავენ. ერთი კვირის თავზე კი ედინბურგში, „მერიფილდზე" შოტლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან.

პირველ ხაზში ბრუნელი ისევ გამოცდილ მოთამაშეებს ეყრდნობა. **მარტინ კასტროჯოვანი, ანდრეა ლო ჩიჩერო** და **ლეონარდო ჯილარდინი** დიდი ხანია შერკინების ბურჯები არიან, რომლებსაც ახალგაზრდები მხარს

იოლად აუბამენ. შვიდი პირველხაზელიდან ოთხი ტრევიზოს „ბენეტონიდანაა", რომელიც „კელტთა ლიგაში" ასპარეზობს და ექვსი ერის ქვეყნების კლუბებთან ხშირად თამაშის გამოცდილება აქვს.

მეორეხაზელთა შორის, ოთხიდან ორი ნატურალიზებული იტალიელია - **ჟოშუა ფრუნო** და **ქვენტინ გელდანჰაუზი.** მესამე ხაზში კი „ბენეტონის" ჰეგემონიაა. ბრუნელის მიერ გამოძახებული შვიდი მოთამაშისგან ექვსი ტრევიზოელია. იტალიელთა რიგებში საკმაოდ ხანგრძლივი იძულებითი შესვენების შემდეგ ისევ გამოჩნდა **პოლ დერბიშირი**, რომელმაც ბოლოს ეროვნულ გუნდში ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე ითამაშა. ჯანმრთელადაა და გუნდს დაეხმარება მსოფლი-

ოს ერთ-ერთი საუკეთესო რვა ნომერი **სერჯო პარისეც.**

ტრავმის გამო ნაკრებს დააკლდება შუამარბი **მირკო ბერგამასკო** („სტად ფრანსე"). სამაგიეროდ ისევ შესანიშნავ ფორმაშია ვეტერანი **გონსალო კანალე.** საინტერესოა, როგორ ფორმაშია და რამდენად შეძლებს თავისი პოტენციალის წარმოჩენას იტალიური რაგბის ამომავალი ვარსკვლავი **ჯოვანბატისტა ვენდიტი.** ცხრა ნომრისა და მეგზავის დუეტი კი, სავარაუდოდ, **ედუარდო გორი** და **კრისტოფ ბარტონი** იქნება.

*„წლევანდელი ექვსი ერის გათამაშება განსაკუთრებით რთული გამოვა. ვიწყებთ საფრანგეთით. თუ ნოემბრის ტესტების შედეგებს გავითვალისწინებთ, ძალიან საინტერესო თამაში გველის. ჩვენ და საფრანგეთის ნაკრებს თითქმის ერთნაირი პოტენციალი გვაქვს, თუმცა ფრანგები ოდნავ უფრო ნიჭიერები არიან.*

*იტალიის ნაკრებისთვის ჯერ ადრეა ექვსი ერის მოგებაზე ფიქრი. თუმცა შინ სამი თამაში გვაქვს და გამორიცხული არ არის შარშანდელი შედეგი გავაუმჯობესოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენთვის მთავარი განვითარებაა, უნდა ვისწავლოთ მეტოქისთვის საკუთარი თამაშის თავს მოხვევა და ამით სარგებლობის ნახვა.*

*იმედი მაქვს, ქომაგები ისევ შეავსებენ „სტადიო ოლიმპიკოს", როგორც ეს შარშანდელ გათამაშებაში იყო და „სკუადრა აძურას" გამარჯვებაში დაეხმარებიან"*, - თქვა იტალიის ნაკრების ფრანგმა მთავარმა მწვრთნელმა ჟაკ ბრუნელმა.

ალსანიშნავია, რომ 2012 წელს, იტალიურ რაგბიში ერთი საინტერესო რეკორდი დაფიქსირდა. „სტადიო ოლიმპიკოზე" ექვსი ერის მატჩებს იტალიის ნაკრების მონაწილეობით, საშუალოდ 50 388 მაყურებელი დაესწრო. აქამდე მორაგბეთა ნაკრების თამაშზე ამდენი გულშემატკივარი არასდროს მისულა. შეგახსენებთ, რომ იტალიის ეროვნული ნაკრების სტადიონ „ფლამინიოზე" რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და ამიტომ, „სკუადრა აძურა" წლევანდელ მატჩებსაც „ოლიმპიკოზე" გამართავს.



**გაფართოებული შემადგენლობა**

პირველი ხაზი: **მარტინ კასტროჯოვანი** (ლესტერი), **ლორენცო ჩიტადინი, ალბერტი დე მარკი, მიკელე რიზო, ლეონარდო ჯილარდინი** (ოთხივე-ბენეტონი), **დავიდე გიაზონი** (ზებრე), **ანდრეა ლო ჩიჩერო** (მეტრო რასინგი);

მეორე ხაზი: **ჯოშუა ფურნო** (ნარბონი), **ფრანჩესკო მინტო, ანტონიო პავანელო** (ბენეტონი);

მესამე ხაზი: **რობერტ ბარბიერი, პოლ დერბიშირი, სიმონე ფავარო, მანოა ვოსავაი, ალესანდრო ძანი** (ხუთივე-ბენტონი), **სერჯო პარისე** (სტად ფრანსე);

№9: **ტობიას ბოტესი, ედუარდო გორი** (ორივე-ბენეტონი);

№:10: **კრისტოფ ბარტონი** (ბენეტონი), **ლუჩანო ორკუერა** (ზებრე);

№12-13: **ტომაზო ბენვენური, ტომაზო აიონე** (ორივე-ბენეტონი), **გონსალო კანალე** (ლა როშელი);

№11-14: **პაულო ბუსო, გონსალო გარსია** (ორივე-ზებრე), **ანდრეა მასი** (ვოსფსი), **ალბერტო სგარბი** (ბენეტონი);

№15: **ჯოვანბატისტა ვენდიტი** (ზებრე), **ლუკ მაკლინი** (ბენეტონი).

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

**ნაკრებები**

| | |
|---|---|
| გაბონი-ტუნისი | 1:1 |
| კაპე ვერდე-ნიგერია | 0:0 |
| განა-ეგვიპტე | 3:0 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| ქარაბუძი-ვილემი | 1:1 |
| მეპენი-ლოტე | 0:4 |
| სტანდარდი-ვოლფსბურგი | 1:3 |
| გენტი-გრონინგენი | 3:3 |
| დორტმუნდი-მეხელენი | 1:0 |
| ვარეგემი-როდა | 0:1 |
| ნიურნბერგი-ლოკერენი | 2:0 |
| ჰიკ-სტრიომსგოდსეტი | 1:0 |
| ტვენტე-ლოზანა | 2:0 |

**ინგლისი**

**League Trophy**

| | |
|---|---|
| ქოვენთრი-პრესტონი | 3:2 |

**ესპანეთის თასი**

**1/8 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ხეტაფე-ატლეტიკო | 0:0 (0:3) |
| ბეტისი-ლას პალმასი | 1:0 (1:1) |
| ბარსელონა-კორდობა | 5:0 (2:0) |

**საბერძნეთის თასი**

**1/8 ფინალი. I მატჩები**

| | |
|---|---|
| იანინა-ფოსტირასი | 2:0 |
| კალითეა-პაოკ | 2:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ცსკა-ბამბერგი | 90:83 |
| პანათინაიკოსი-უნიკახა | 78:73 |
| მაკაბი-ფენერბაჰჩე | 91:73 |
| კახა ლაბორალი-ბეშიქთაში | 77:51 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ს. იულიაევი-სკა | 2:4 |
| ლოკომოტივი-სევერსტალი | 1:3 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (მ) | 5:2 |
| ტორპედო-დინამო (მნ) | 1:2 |
| ატლანტი-ვიტიაზი | 7:3 |
| სპარტაკი-დინამო (რ) | 1:4 |
| ცსკა-მეტალურგი (მ) | 3:2 (ო) |
| ლევ პოპრადი-ტრაქტორი | 6:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ფრედერიკჰავნი-ოლბორგი | 2:3 (ო) |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-სპარტა | 1:2 |
| ტონსბერგი-ვოლერენგა | 3:7 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 4:1 |
| ლორენსკოგი-სტავანგერი | 4:5 |
| ლილეჰამერი-სტრიერნენი | გადაიდო |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ბლუზი-ჰამეენლინა | 3:2 (ო) |
| ილვესი-კერპეტი | 0:3 |
| პელიკანსი-ტაპარა | 2:1 |
| საიპა-ესეტი | 2:3 |
| ჰიფკ-კალპა | 3:6 |
| იუვიასკიულა-ლუკო | 1:3 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პლზენი-ტრშინეცი | 2:3 (ო) |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-ფრიოლუნდა | 1:3 |
| ვექსიო-ლინჩოპინგი | 1:3 |
| ლულეა-როგლე | 5:2 |
| მოდო-ბრინასი | 3:1 |
| ჰვ71-ფერიესტადი | 4:7 |
| შელეფტეო-ტიმრა | 3:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ოკლენდი**

| | |
|---|---|
| მალისე-**კოლშრაიბერი** | 6:7, 4:6 |
| ლევინი-**კუერი** | 4:6, 6:7 |
| **ფერერი**-ლაჩკო | 6:2, 6:1 |
| ჰაასი-**მონფილსი** | 6:3, 5:7, 3:6 |

**ATP. სიდნეი**

| | |
|---|---|
| ისტომინი-**ანდერსონი** | 4:6, 3:6 |
| ჰარისონი-**ბენეტო** | 4:6, 2:6 |
| **ტომიჩი**-ნიემინენი | 6:7, 6:4, 6:2 |
| გრანოლერსი-**სეპი** | 4:6, 5:7 |

**WTA. ჰობარტი**

| | |
|---|---|
| გაიდოშოვა-**ვესნინა** | 3:6, 2:6 |
| პირონკოვა-**ბარტელი** | 3:6, 3:6 |
| **სტივენსი**-დევისი | 6:3, 4:6, 7:5 |
| ნიკულესკუ-**ფლიპკენსი** | 6:2, 4:6, 0:6 |

**WTA. სიდნეი**

| | |
|---|---|
| **ა. რადვანსკა**-ნა ლი | 6:3, 6:4 |
| **ციბულკოვა**-კერბერი | 6:2, 4:6, 6:3 |

● TV პროგრამა

**11 იანვარი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ლივერპული.
**11:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. პარტიზანი-ინტერი.
**14:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-პსჟ.
**16:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სელტიკი-ბარსელონა.
**18:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ევერტონი.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ბილბაო.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ჩელსი-შახტარი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ნიუ იორკი.
**15:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-დორტმუნდი.
**17:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. III ტური. კახა ლაბორალი-ბეშიქთაში.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-ნიუ იორკი.
**22:00** NBA ACTION.
**23:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. III ტური. ბარსელონა-ოლიმპიაკოსი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
**12:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია (LIVE).
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
**18:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბილბაო-ლიონი.
**20:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-მინესოტა.
**22:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
**00:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-კასტრი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -3 | 4 | (მზე) |
| ქუთაისი | -2 | 4 | (მზე) |
| ბათუმი | 1 | 6 | (თოვლჭყაპი) |
| ფოთი | 1 | 6 | (თოვლჭყაპი) |
| ზუგდიდი | -3 | 4 | (მზე) |
| გორი | -6 | 2 | (მზე) |
| თელავი | -4 | 4 | (მზე) |
| სიღნაღი | -4 | 2 | (მზე) |
| ბაკურიანი | -14 | -3 | (მზე) |
| ბორჯომი | -9 | 0 | (მზე) |
| მესტია | -13 | -5 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1726 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6581 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6614 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4606 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისი ბიჭია მათეუსი?

## ...როგორც ბრაზილიურ სერიალებში

გუშინ დაიწყო სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული საფეხბურთო ჩემპიონატი, რომლისადმი დიდ ყურადღებას სკაუტები იჩენენ. მათი პროფესია ხომ ნიჭიერი ახალგაზრდების ტრანსფერებით ხელის მოთბობაა. გამოგიტყდებით, სამხრეთამერიკელი ნიჭიერი ახალგაზრდების ხილვა მეც ძალიან მაინტერესებს. გარდა იმისა, რომ თამაშები უთუოდ სანახაობრივი იქნება, არის ერთი დეტალი, რამაც ინტერესი გაამძაფრა: ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობის გაცნობისას ორი ერთნაირი გვარი ამოვიკითხე - **მათეუსი.** ერთი მეკარეა, მეორე - ნახევარმცველი. განაცხადში **რომარიო, დუნგა, ბებეტო,** ან **ბრანკო** რომ დაეწერათ, იოლი მისახვედრი იქნებოდა, ვის ვაჟზეა ლაპარაკი.

ვისაც 80-90-იანი წლების ფეხბურთი ახსოვს, **ლოთარ მათეუსის** თამაშიც თვალწინ წარმოუდგება. მან ხომ გერმანიის ნაკრებში ზუსტად 20 წელი ითამაშა, ბოლოს ალემანებს ევროპის 2000 წლის პირველობაზე უკაპიტნა. გერმანიის ნაკრებში სათამაშოდ გადასული ბრაზილიელები გვინახავს, პირიქით, გერმანიიდან ბრაზილიაში წასული - არა. ამიტომ, დაუჯერებელია, ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული რომელიმე მათეუსი ლოთარის ვაჟი იყოს.

მოდით, მივბაძოთ ბრაზილიური სერიალების გმირებს და ბოლომდე გამოვიძიოთ, ვინ არიან სამხრეთამერიკელი მათეუსები. გული მიგრძნობს, რომ ერთ-ერთ მათგანს მაინც აქვს კავშირი ლეგენდარულ ლოთართან.

გამახსენდა: 1994 წლის აგვისტოში ფეხბურთის მოყვარული ნაცნობისგან ვიდეოკასეტა ვითხოვე, რომელზეც ბრაზილიისა და ჰოლანდიის ნაკრებთა მატჩი ეწერა. ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი, რომლის წინ **იოჰან კრუიფმა** იწინასწარმეტყველა: ამ ჩემპიონატზე ყველაზე საინტერესო მატჩი ჰოლანდია-ბრაზილია იქნებაო. განსხვავებით პელეს პროგნოზისგან (კოლუმბიის ნაკრების ჩემპიონობა ივარაუდა) კრუიფის სიტყვა გამართლდა. ბებეტომ და **რომარიომ** ჰოლანდიელებს გოლები ბრაზილიურ სტილში გაუტანეს. არ დანებდნენ ნიდერლანდელები, **დენის ბერგკამპმა** ჩვეული მოხერხებულობით პირველობის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოლი გაიტანა, ხოლო **აარონ ვინტერმა** კუთხურიდან თავით ანგარიში გაათანაბრა - 2:2. კომენტატორმა 81-ე წუთზე ასეთი რამ თქვა: დღესაც დავრწმუნდით ფრთიანი ფრაზის ჭეშმარიტებაში - ბრაზილიელები ერთ გოლს თუ გაუშვებენ, ორს იტანენო. ...81-ე წუთზე **კლაუდიო ბრანკომ** ჯარიმიდან ზუსტი, დაბალი დარტყმით სამხრეთამერიკელები ნახევარფინალში გაიყვანა. იცით, მატჩის მეორე გოლისას (ბებეტომ მცველებთან ერთად მეკარე დე გუიც მოატყუა) კიდევ რა თქვა კომენტატორმა? - „ბებეტო ხელის მოძრაობით ბავშვის რწევას იმიტომ განასახიერებს, რომ ორი დღის წინათ შვილი შეეძინა და ვაჟს გერმანელი ლოთარის საპატივსაცემოდ მათეუსი დაარქვა“.


მამა-შვილი, ბებეტო და მათეუსი

შეიძლება გაგიკვირდეთ, 20 წლის წინანდელი გამონათქვამი დღეს ასე კარგად რატომ უნდა მახსოვდეს... აკი გითხარით, ბრაზილია-ჰოლანდიის მატჩის ვიდეოჩანაწერი მქონდა და ვინ იცის, რამდენჯერ მაქვს ნანახი. იგი საფეხბურთო მატჩების კლასიკაში ღირსეულ ადგილას ჩაეწერება.

ვფიქრობ, ზედა აბზაცის მიხედვით ბევრი რამ გაცხადდა: დიდია ალბათობა, ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებული ერთ-ერთი მათეუსი ბებეტოს ვაჟი იყოს, ფეხბურთელისა, რომელმაც გოლის აღნიშვნისას ბავშვის რწევის ჟესტი დაამკვიდრა. მამა-შვილის კავშირის დადგენა 21-ე საუკუნეში პრობლემა არ არის, ინტერნეტში, საიტ „ევროსპორტზე“ აღმოჩნდა სტატია, რომელშიც ვკითხულობთ:

„1994 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას დაბადებული ბებეტოს ბიჭი მათეუსი ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს. აი, როგორი ემოციით შეხვდა ამ ამბავს 48 წლის მამა:


1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონები, ბებეტო და რომარიო ოქროს თასით

*- პირველად, როცა ჩემმა ვაჟმა უმაღლესი ლიგის გუნდში „ფლამენგოს“ მაისურით ითამაშა, გონებაში დრო უკან დატრიალდა, თითქოს ფილმში ვყოფილიყავი. გამახსენდა შვილის დაბადება ჰოლანდიასთან მატჩში როგორ აღვნიშნე. თითქოს, ეს ორი დღის წინათ მომხდარიყოს.*

ესეც ასე, ბრაზილიის ნაკრებში გამოძახებული მათეუსი ნამდვილად 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონის ძეა. ბებეტოს სრული სახელია **ჟოზე რობერტო გამა და ოლივეირა.** ახლა, ამ რამდენიმესიტყვიანი გვარ-სახელით გავარკვიოთ, ბებეტოს შვილი ნახევარმცველია, თუ მეკარე. გოლკიპერის სახელიც ინტერნეტში მოვიძიე: **მათეუს კალდეირა ვიდოტო დე ოლივეირა.** „ოლივეირა“ აქაც ემთხვევა, ნუთუ პელეს ვაჟის მსგავსად ბებეტოს შვილმაც ფეხბურთელობას მეკარეობა არჩია?! დასკვნების გამოტანა ნაადრევია, ჯერ ნახევარმცველი მათეუსის სრული გვარი წავიკითხოთ: მათეუს დე ანდრადე გამა და ოლივეირა! ამ შემთხვევაში „გამა და ოლივეირა“ ემთხვევა.


ეს ჟესტი 1994 წლის შემდეგ არაერთმა ფეხბურთელმა გაიმეორა

ისლა დაგვრჩენია, როგორც ბრაზილიურ სერიალებში, ბავშვების დაბადების თარიღები და გარემოებები გამოვიკვლიოთ. ამისთვის ბებია ქალების ძიება საჭირო არ არის, მხოლოდ თარიღების დადგენა მიგვიყვანს ლოგიკურ პასუხამდე:

მეკარე მათეუსი სან პაულუში 1993 წლის 10 აპრილს დაიბადა. ამჟამად „კორინთიანსის“ კარს იცავს.

ნახევარმცველი მათეუსი 1994 წლის 7 ივლისს რიო დე ჟანეიროში გაჩნდა. ამჟამად „ფლამენგოში“ თამაშობს. აი, სწორედ მას არწევდა (ვირტუალურად) ბებეტო ჰოლანდიასთან 1994 წლის 9 ივლისს გამართულ მეოთხედფინალში. იგი შვილის პირველად სანახავად ამერიკიდან მსოფლიოს თასით ხელდამშვენებული ჩავიდა.

ქართველი NBA-ში

# 222-ე სასტარტო

## ზედიზედ მეოთხე მარცხი

„ატლანტა ჰოქსმა“ პირველ იანვარს „ნიუ ორლენი“ დაამარცხა და მას მერე გამარჯვების „გემო არ გაუსინჯავს“ - ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა. ამჯერად **ზაზა ფაჩულიას** გუნდმა „კლივლენდთან“ სტუმრად დათმო - 83:99.

მატჩის წინ გაცხადდა, რომ მწვრთნელ **ლარი დრიუს** ქართველი ცენტრი სასტარტო ხუთეულში უნდა გაემწესებინა. „ატლანტამ“ ტანმაღალი ხეთეულით დაიწყო (**სმიტი, ჰორფორდი,** ფაჩულია) და პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარმართა. მესამე პერიოდის ბოლოს კლივლენდელებმა სამქულიანების მეშვეობით 14-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. მასპინძლებმა საბოლოოდ 12 შორეული ტყორცნა გამოიყენეს, რამაც საბოლოოდ მათი წარმატება განაპირობა. გამოირჩეოდა **კაილ ირვინგი,** რომელმაც 33 ქულას მოუყარა თავი (6-დან 5 სამიანი).

ფაჩულიასთვის ეს იყო 222-ე მატჩი სასტარტო შემადგენლობაში NBA-ში გადასვლის შემდეგ. მას ორმაგ დუბლამდე ორი ქულა დააკლდა - 10 მოხსნა, 8 ქულა. ჯორჯიელთაგან ყველაზე მეტი, 17 ქულა ჯოშ სმიტმა ჩააგდო.

„ატლანტა“ აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამედან მეოთხე ადგილზე გადავიდა.

**კლივლენდი-ატლანტა 99:83**

**ზაზა ფაჩულია:** 26 წუთი, 8 ქულა (7/4 ორქულიანი), 10 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 3 შეცდომა, 5 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 11:33 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 0-0 |
| 10:42 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 2-2 |
| 10:29 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 2-2 |
| 10:27 | ორქულიანი: არაზუსტი | 2-2 |
| 9:30 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 | 5-2 |
| 9:11 | ფოლი: 1 | 7-4 |
| 7:48 | შეცდომა: 1 | 7-7 |
| 5:37 | ორქულიანი 2ძ | 16-16 |
| 3:06 | ჯენკინსმა შეცვალა | 20-24 |
| 1:52 | ჰორფორდი შეცვალა | 24-24 |
| 1:39 | პასი: 1 (სმიტი 2ძ) | 26-24 |
| **II პერიოდი** | | |
| 11:21 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 | 28-29 |
| 10:30 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 | 28-29 |
| 10:23 | შეცდომა: 2 | 28-29 |
| 10:03 | ფოლი: 2 | 28-31 |
| 10:03 | შეცდომა: 3 | 28-31 |
| 9:15 | მოხსნა: შეტ-2, დაც-5 | 28-33 |
| 9:14 | ორქულიანი: 4ძ | 30-33 |
| 8:33 | სმიტმა შეცვალა | 30-33 |
| **III პერიოდი** | | |
| 11:21 | ორქულიანი: არაზუსტი | 40-49 |
| 11:21 | ფოლი: 3 | 40-49 |
| 10:36 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 | 42-49 |
| 7:28 | ფოლი: 4 | 51-56 |
| 7:28 | ჯონსონმა შეცვალა | 51-56 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:34 | დაფარება: 1 (ჯონსს დაუფარა) | 63-77 |
| 11:00 | მოხსნა: შეტ-3, დაც-6 | 63-79 |
| 9:30 | მოხსნა: შეტ-3, დაც-7 | 67-81 |
| 9:15 | ორქულიანი: 6ძ | 69-81 |
| 7:35 | ორქულიანი: 8ძ | 74-84 |
| 6:24 | ორქულიანი: არაზუსტი | 74-88 |
| 5:03 | ფოლი: 5 | 76-88 |
| 5:03 | უილიამსმა შეცვალა | 76-89 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ზემოდან ქვემოთ: კაილ კორვერი, ზაზა ფაჩულია და ტრისტან თომპსონი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608